ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი
სოფიო ჩერქეზიშვილი

ხელოვნება 1

მასწავლებლის წიგნი

ეროვნული

ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი,
სოფიო ჩერქეზიშვილი

ხელოვნება

I კლასი

მასწავლებლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს

ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი, სოფიო ჩერქეზიშვილი

ხელოვნება

I კლასი, მასწავლებლის წიგნი

© გამომცემლობა „კლიო“, 2023
© ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი, სოფიო ჩერქეზიშვილი, 2023

ყველა უფლება დაცულია
ISBN 978-9941-496-49-3
პირველი გამოცემა – 2023

შპს „გამომცემლობა კლიო“
აღმაშენებლის გამზ., №181,
თბილისი, 0112
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge; www.klio.ge

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია I კლასის სახელმძღვანელოს შესახებ 4
2. დავალებები 7
3. განმავითარებელი შეფასება 8
4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების
   დაწყებითი საფეხურის სტანდარტი 10
5. მოსწავლის წიგნის სარჩევი 12
6. თემატური ბლოკების მატრიცები და კომპლექსური
   დავალებების შეფასების რუბრიკები SOLO
   ტაქსონომიის მიხედვით 14
7. შეფასების რუბრიკები 110
8. ლექსიკონი 116

1. ზოგადი ინფორმაცია I კლასის სახელმძღვანელოს შესახებ

I კლასის სახელმძღვანელო შედგება მოსწავლის წიგნისა და მასწავლებლის წიგნისაგან.

მოსწავლის წიგნი

I კლასის წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია:

- აზიაროს მოსწავლე ხელოვნების სამყაროს;
- მოსწავლემ დაიწყოს ხელოვნების ენის, მისი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, მასალისა და ტექნიკის შესაძლებლობების შესწავლა და გამოყენება შემოქმედებით საქმიანობაში, გაეცნოს ხელოვნების დარგებსა და ჟანრებს;
- მოსწავლემ შეძლოს ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნიმუშების ყოველდღიურ ცხოვრებასთან და საკუთარ შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირება, ხელოვნების მრავალფეროვნების აღქმისა და დამოკიდებულების გამომუშავებისათვის;
- ე.წ. „ქეისებით“ სწავლების საფუძველზე მოსწავლეს განუვითაროს შემოქმედებითი და ანალიტიკური აზროვნება, გამოუმუშაოს პრობლემების გადაჭრის უნარი, უმარტივესი განზოგადების, პრეზენტაციისა და შეკითხვის ფორმულირებისა თუ შეკითხვაზე პასუხისას საკუთარი აზრის არგუმენტირების უნარი.

მოსწავლის წიგნის სტრუქტურა იმგვარია, რომ მიზნად ისახავს როგორც სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ძირითადი პრინციპებისა და ელემენტების შესწავლას, ასევე, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, გარკვეული თეორიული ცოდნის ათვისებას, ცოდნისა, რომელიც განსაზღვრულია დაწყებითი საფეხურის სტანდარტით საგანში „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“.

მოსწავლის სახელმძღვანელოში მთავარი აქცენტი კეთდება მოსწავლის აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე:

- სახელმძღვანელო ხელს უწყობს მოსწავლის ორიენტირებას ნამუშევარში შთა-ბეჭდილებების, გუნება-განწყობილების (ემოციების), ჩანაფიქრის, იდეის გადმოცემაზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების შესაბამისი საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით; ასევე, შესაბამისი მასალისა და ტექნიკის შერჩევითა და გამოყენებით.
- სახელმძღვანელო მოწოდებულია, რომ მოსწავლემ შეძლოს ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების ამოცნობა და თავადაც მოახერხოს ხელოვნების ამ დარგებში ნამუშევრების შექმნა;
- სახელმძღვანელო ასევე ორიენტირებულია, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და არგუმენტირება, ნამუშევარზე საუბრისას, აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება შესაბამისი ტერმინების გამოყენებით.
- სახელმძღვანელო ისეა აგებული, რომ მოსწავლე შეძლებს სხვადასხვა ჟანრის ნიმუშების ამოცნობას, მათ დაკავშირებას ყოველდღიურ ცხოვრებასთან, საკუთარ გამოცდილებასთან, რაც საშუალებას მოგვცემს სწავლის პროცესი მოსწავლისათვის ცოცხალი და საინტერესო იყოს.

მოსწავლის წიგნის სტრუქტურა

წიგნს მოსწავლისათვის გასაგები, ნათელი სტრუქტურა აქვს. რამდენიმე სტრუქტურული ელემენტის საშუალებით ხდება განშლის მოწესრიგება და, რაც მთავარია, ეს ელემენტები სისტემატურია. სახელმძღვანელოში შესული მასალა (როგორც მხატვრების, ისე მოსწავლეების ნამუშევრები და ფოტოები) შერჩეულია რამდენიმე პრინციპით:

1. ნიმუშის მაქსიმალური ტიპურობა განსახილველ თემასთან, ცნებებთან და ქვეცნებებთან

მიმართებით;

2. მასალის მრავალფეროვნება;
3. მოსწავლის თვალსაწიერის გაფართოება;
4. მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებებისა და საჭიროებების გათვალისწინება.

წიგნში მოცემული მასალა შერჩეულია იმგვარად, რომ მკაფიოდ და ნათლად იყოს განსაზღვრული სამიზნე ცნებები და მოსწავლეს გამოუმუშაოს მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. წიგნის თითოეული გაკვეთილის საკითხებიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება და, სამიზნე ცნებებთან ერთად, ქვეცნებების ფართო სპექტრსაც მოიცავს. გარდა ამისა, გაკვეთილები აწყობილია იმ პრინციპით, რომ თითოეულ ბლოკში შემავალი გაკვეთილები ნაბიჯებად ჯგუფდება და საბოლოოდ კომპლექსურ დავალებაში იყრის თავს, რაც მოსწავლეს ეხმარება ამ დავალების შესრულებაში.

სახელმძღვანელო მოიცავს სტანდარტით განსაზღვრულ სამ სავალდებულო თემატურბლოკს და ამ თემებთან დაკავშირებულ ხუთ თავს:

თემატური ბლოკი – **ადამიანი და ხელოვნება –** წარმოდგენილია ორი თავით:

თავი 1. გავიცნოთ ერთმანეთი

თავი 4. შთაბეჭდილება და იდეა

თემატური ბლოკი **– მე და გარესამყარო –** წარმოდგენილია ორი თავით:

თავი 2. ჩვენს დედამიწაზე

თავი 3. მიმოვიხედოთ ირგვლივ

თემატური ბლოკი **– ხელოვნება ჩვენ გარშემო –** წარმოდგენილია ერთი თავით:

თავი 5. სად ვიპოვოთ ხელოვნება?

თავი 6. ჩვენი დღესასწაულები

მე–6 თავში, რომელსაც „ჩვენი დღესასწაულები“ ეწოდება, თავმოყრილია გაკვეთილები, რომლებიც სხვადასხვა დღესასწაულს ეხება. მასწავლებელს შეუძლია ეს გაკვეთილები თავისი შეხედულებისამებრ შესაბამის დროს ჩაატაროს.

მოსწავლის წიგნში კომპლექსური დავალებები მინიშნებულია სათაურთან დასმული ფერადი ფიფქით.

მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნი, პრაქტიკული თვალსაზრისით, მოსწავლის წიგნის თანმდევ მეთოდოლოგიურ მხარდაჭერას ახორციელებს და საშუალებას აძლევს მასწავლებელს, ისარგებლოს წიგნის ავტორების მიერ შეთავაზებული სასწავლო თემებით. ამავე დროს, აუცილებელ თავისუფლებას ანიჭებს მასწავლებელს, შემოქმედებითად წარმართოს სასწავლო პროცესი მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად და კლასის რეალური საჭიროებებიდან გამომდინარე.

მასწავლებლის წიგნში გაწერილია თითოეული თემის მკვიდრი წარმოდგენები, თემის საკვანძო შეკითხვები, სამიზნე ცნებები და მათი შესაბამისი კონკრეტული ქვეცნებები, რომლების სიღრმისეული დამუშავებისთვისაც არის შერჩეული კონკრეტული თემა. აქვეა მოცემული ყველა კომპლექსური დავალება და ამ დავალებათა პირობაშიც მკაფიოდ ჩანს

შემოქმედებითი პროდუქტი, ქვეცნებები და ის კრიტერიუმები, რომლებითაც შესაძლებელია ნამუშევრის შეფასება.

მასწავლებლის წიგნის მატრიცებში მკაფიოდაა გაწერილი, თუ კონკრეტული თემის ფარგლებში როგორ წარიმართება სწავლა-სწავლების პროცესი. აქ თანმიმდევრული ეტაპებისა და ნაბიჯების საშუალებით მკაფიოდაა ნაჩვენები კომპლექსური დავალებისაკენ მიმავალი გზა.

ყოველი თემის დასაწყისში მოცემულია ე.წ. „ქეისი“, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გაიაზრონ, თუ რისთვის, რატომ უნდა შეისწავლონ ეს თემა და შეასრულონ ეს დავალება.

მასწავლებლის წიგნში გაწერილი ნაბიჯები კორელაციაშია კომპლექსური დავალების პირობაში მოცემულ კრიტერიუმებთან და მათ ფარგლებში კონკრეტული ცნებების/ ქვეცნებების დამუშავება ხდება. გარდა ამისა, ყველა ნაბიჯში ჩანს, რომ მოსწავლეებს მუშაობა უწევთ ცოდნის სამივე კატეგორიაზე – დეკლარატიულზე, პროცედურულზე დაპირობისეულზე.

2. დავალებები

სახელმძღვანელოში პრაქტიკული დავალებები საკმაოდ მრავალფეროვანია.

მოსწავლის წიგნის თითოეული თავის ბოლოს მოცემულია კომპლექსური დავალება. (მთლიანად მოსწავლის წიგნში 5 კომპლექსური დავალებაა წარმოდგენილი). თავები ისეა აგებული, რომ დავალებები, შეძლებისდაგვარად, თანაბრად გადანაწილდეს გაკვეთილების საერთო რაოდენობასთან მიმართებით და თითოეულმა კომპლექსურმა დავალებამ დაასრულოს სახელმძღვანელოს ამ თავში განხილული კონკრეტული თემა. მთელი წიგნის საგაკვეთილო მასალა იმგვარადაა აგებული, რომ ყოველი მათგანი ეტაპობრივად ამზადებს მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესასრულებლად.

აღსანიშნავია, რომ კომპლექსური დავალებები შემაჯამებელი გაკვეთილის ფუნქციას ითავსებს და მათი მეშვეობით განისაზღვრება და შეფასდება სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთში გავლილი თეორიული მასალის და შეძენილი პრაქტიკულ-შემოქმედებითი უნარების ათვისების ხარისხი და დონე.

კომპლექსური დავალებები მრავალფეროვანი შინაარსისაა, შესასრულებელი სამუშაო სხვადასხვა ტიპის მოცემულობებისაგან შედგება, რაც საშუალებას იძლევა, შემოწმდეს სასწავლო პროცესის გავლილ მონაკვეთში მოსწავლის მიერ გააზრებული მკვიდრი წარმოდგენების, სამიზნე ცნებებისა თუ ქვეცნებების ურთიერთმიმართება და, რაც მთავარია, ამგვარი დავალების შესრულების პროცესი მოსწავლეს უღვივებს მიღებული ცოდნის ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრების სურვილს.

მნიშვნელოვანია, რომ კომპლექსური დავალებების თემატიკა განსხვავდება მოსწავლის მიერ უკვე შესრულებული სამუშაოსაგან, თუმცა აღნიშნული დავალების შესასრულებლად მან უნდა გამოიყენოს ყველა ის უნარი, რომლებიც გამომუშავდა წინარე საგაკვეთილო პროცესში. ამგვარად, კომპლექსური დავალება აგვირგვინებს სასწავლო პროცესის ერთ კონკრეტულ მონაკვეთს და მიღწეული შედეგების შეფასება.

3. განმავითარებელი შეფასება

I კლასში მოქმედებს განმავითარებელი შეფასება. განმავითარებელი შეფასების მიზანს სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა, სწავლის პროცესის/არსებული საჭიროებების შეფასება, პროგრესის მონიტორინგი და მეტაკოგნიტური აზროვნების ხელშეწყობა წარმოადგენს. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას, აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას, თუ როგორ არის შესაძლებელი სწავლის შედეგის გაუმჯობესება, ეხმარება მათ ადეკვატური თვითშეფასების, სხვათა შეფასების უნარის ფორმირებასა და წარმატების მიღწევაში. მასწავლებელს შეუძლია აირჩიოს დაკვირვების რამდენიმე ობიექტი, ან დააკვირდეს მთელ კლასს, დაკვირვება ითვლება განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. დააკვირდეს მოსწავლეს, მის მიღწევებს, დააფიქსიროს მისი საჭიროებები, ხოლო შემდეგ ხელი შეუწყოს მის განვითარებას. მასწავლებელს შეუძლია შეაჯამოს დაკვირვების შედეგები და გამოიყენოს სწავლა/სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. განმავითარებელი კომენტარები/რჩევები, განმავითარებელი შეფასების ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტია და ხელს უწყობს მოსწავლეს, ხარვეზის/სუსტი მხარეების დანახვასა და უკეთესი შედეგების მისაღწევად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაში.

განმავითარებელი შეფასება ასევე ეყრდნობა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კომპონენტებს.

ურთიერთშეფასებისას, მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთის ნამუშევრებს, სწავლობენ სხვის ნამუშევრებში ძლიერი და სუსტი მხარეების დანახვას, შეფასებასა და კრიტიკული აზრის კორექტულად გამოთქმას. ეს ერთგვარი როლური თამაშია, რომელიც სახალისოა მოსწავლეებისათვის და ზრდის მათ მოტივაციასა და ჩართულობას.

საკუთარი სწავლის პროცესის შეფასება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოსწავლეს განუვითარდეს საკუთარი თავის ობიექტურად შეფასების უნარი. რისთვისაც შესაძლებელია სახელმძღვანელოში შემოთავაზებული მოსწავლის თვითშეფასების ფორმის გამოყენება ან თავად შექმნათ საკუთარი შეხედულებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

შემოხაზე ის გამოსახულება რომელიც გაკვეთილზე შენ მუშაობას შეესაბამება	
	

თანასწორობა

სახელმძღვანელო ორიენტირებულია, მოსწავლეებს განუვითაროს ისეთი უნარები და დამოკიდებულებები, რომელიც საშუალებას მისცემს მათ მონაწილეობა მიიღონ ტოლერანტული, თანასწორუფლებიანი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში და ჩამოუყალიბოს პასუხისმგებლობის

გრძნობა,რაც განაპირობებს საზოგადოების ყოველი წევრის მიერ სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-ვალდებულებების გაცნობიერებას, განსხვავებულ იდენტობებთან მშვიდობიან თანაარსებობას, ზოგადად, მრავალფეროვნებისადმი სოლიდარულ განწყობასა და აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას. სახელმძღვანელოში განხილული თემები ეხმარება მოზარდს იმის გააზრებაში, რომ ყოველი ადამიანი წარმოადგენს გარკვეული ენის, კულტურის, ტრადიციის მატარებელ ინდივიდს, რომელსაც თავისი უნიკალური წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა თუ საზოგადოების წინსვლაში, ხელს უწყობს კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების დამკვიდრებასა და შემწყნარებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რაც გულისხმობს მსოფლიოში არსებული მრავალფეროვნების მიმღებლობასა და პატივისცემის გამოხატვას, რაც ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. სახელმძღვანელოში განხილული საკითხები ეხმარება მოსწავლეს იმის გაცნობიერებაში, რომ ყველა ადამიანი თანასწორია და ყველას აქვს უსაფრთხოდ ცხოვრებისა და გადაწყვეტილებების მიღების უფლება.

4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებითი საფეხურის სტანდარტი

შესავალი

სწავლების **დაწყებით საფეხურზე (I–VI კლასები)** საგან **„სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების“** ფარგლებში მოსწავლეები იწყებენ ხელოვნების ენის, მისი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, მასალისა და ტექნიკის შესაძლებლობების შესწავლას და გამოყენებას შემოქმედებით საქმიანობაში, ხელოვნების დარგებისა და ჟანრების, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების, ხალხური შემოქმედების გაცნობას.

სტანდარტში **შედეგებისა** და **სამიზნე ცნებების** სახით განსაზღვრულია **გრძელვადიანი მიზნები. საფეხურის საკვანძო შეკითხვები** სწავლა-სწავლების პროცესს გრძელვადიანი მიზნებისკენ მიმართავს.

შინაარსი აღიწერება თემების (ქვეთემების), საკითხების და ქვეცნებების სახით. ამ შინაარსებზე დაყრდნობით ყალიბდება შუალედური მიზნები.

სტანდარტში სავალდებულოდ განსაზღვრულია ქვეცნებები, თემატური ბლოკები, ხოლო თემებს, ქვეთემებსა და საკითხებს სკოლები თავად აკონკრეტებენ.

შედეგები მუშავდება თითოეულ თემაში. თითოეულ თემას ახლავს **შედეგების მიღწევის ინდიკატორები**. ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. კრიტერიუმთან აღნიშნულია, თუ რომელ სამიზნე ცნებებთანაა დაკავშირებული.

ა) I-IV კლასების სტანდარტი
ინდექსების განმარტება

დაწყებითი საფეხურის სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., **ს.გ.დაწყ.(I).1.:**

„ს.გ.“ – მიუთითებს საგანს „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“;

„დაწყ“ – მიუთითებს დაწყებით საფეხურს;

„(I)“ – მიუთითებს, რომ სტანდარტი მოიცავს I-IV კლასებს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტის შედეგები (I-IV კლასები)		
შედეგების ინდექსები	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	**სამიზნე ცნებები**
ს.გ.დაწყ.(I).1.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებისა და ხერხების გამოყენება ჩანაფიქრის, იდეის, გუნება-განწყობის (ემოციების), შთაბეჭდილებების გადმოსაცემად ნამუშევარში.	**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)** (შედეგი: 1, 3, 4)
ს.გ.დაწყ.(I).2.	სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება საკუთარი ჩანაფიქრის და იდეის განსახორციელებლად.	**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა** (შედეგი: 2, 3, 4)

ს.გ.დაწყ. (I).3.	ინდივიდუალური და ერთობლივი ნამუშევრის წარდგენა, საუბარი შესაბამისი ტერმინების გამოყენებით საკუთარ, თანაკლასელთა ან ცნობილ ხელოვანთა ნამუშევრებზე აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გასაზიარებლად.	**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** (შედეგი: 1,2,3,4) **სახვითი ხელოვნების ჟანრები** (შედეგი: 1,2,3,4)
ს.გ.დაწყ.(I).4.	ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნიმუშების ყოველდღიურ ცხოვრებასთან და საკუთარ შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირება ხელოვნების მრავალფეროვნების აღქმისა და დამოკიდებულების გამომუშავებისათვის.	

სამიზნე ცნებები და ქვეცნებები

დაწყებითი საფეხური (I-IV კლ)	
სამიზნე ცნება	**ქვეცნება**
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)	**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებები (ელემენტები):** **ხაზი** (სხვადასხვა ტიპის სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური; კონტური, შტრიხი); **ფერი** (ძირითადი და შედგენილი, ცივი და თბილი, ღია და მუქი, კონტრასტული, ტონი, ნახევარტონი); **ფორმა** (მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული, სიბრტყობრივი (2D) და სივრცითი (3D), სიმეტრიული და ასიმეტრიული). **ფაქტურა. ფონი.** **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ხერხები (პრინციპები):** რიტმი, ელემენტთა განმეორებადობა, ძირითადის გამოყოფა, წინა და უკანა ხედი, კონტრასტი, სტატიკა, დინამიკა, ნამუშევრაში გამოსახულებების განაწილება, ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატის შერჩევა.
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა	**ტექნიკა:** ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, მოზაიკა, ანაბეჭდი, კონსტრუირება, კომპიუტერული სახატავი პროგრამა და სხვა.
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები	**დარგები:** მხატვრობა (ფერწერა, გრაფიკა), ქანდაკება, არქიტექტურა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება.
სახვითი ხელოვნების ჟანრები	**ჟანრები**: პეიზაჟი, პორტრეტი, ნატურმორტი, ყოფითი და სხვ.

სასწავლო თემების ფარგლებში შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორები:

დაწყებითი საფეხური (I-IV კლ)
სტანდარტის ზოგადი კრიტერიუმები დაკონკრეტდება ცალკეულ თემაში წარმოდგენილი შინაარსის გათვალისწინებით. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • ნამუშევარში შთაბეჭდილებების, გუნება-განწყობის (ემოციების) გადმოცემა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით; • ნამუშევარში ჩანაფიქრის, იდეის გადმოცემა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით; • ნამუშევარზე საუბრისას, აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება შესაბამისი ტერმინების გამოყენებით. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • ჩანაფიქრის და იდეის გადმოსაცემად შესაბამისი მასალისა და ტექნიკის შერჩევა და გამოყენება; • ნამუშევარზე საუბრისას, აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება შესაბამისი ტერმინების გამოყენებით. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • ხელოვნების სხვადასხვა დარგში ნამუშევრების შექმნა; • ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშების ამოცნობა და ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება, აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება შესაბამისი ტერმინების გამოყენებით. **სახვითი ხელოვნების ჟანრები** – მოსწავლემ უნდა შეძლოს: • ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში ნამუშევრების შექმნა; • ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის ნიმუშების ამოცნობა და ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება, აზრის, იდეების, შთაბეჭდილებების გაზიარება შესაბამისი ტერმინების გამოყენებით.

დაწყებითი საფეხურის საკვანძო შეკითხვები
საფეხურის საკვანძო შეკითხვების საშუალებით გამოიკვეთება აქცენტები, რომლებზე ორიენტირებითაც უნდა წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი.

- რატომ ქმნიან ადამიანები ხელოვნების ნიმუშებს?
- რა შეგვიძლია გადმოვცეთ და გავიგოთ ხელოვნების ნიმუშების მეშვეობით?
- რისთვის და როგორ ვიყენებ სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობით ხერხებს, ტექნიკას, მასალას და იარაღს?

თემატური ბლოკები დაწყებით საფეხურზე (I-VI კლასები)
დაწყებით საფეხურზე შემოთავაზებულია სამი თემატური ბლოკი. სასწავლო წლის განმავლობაში უნდა დამუშავდეს სამივე თემატური ბლოკი, რომლებიც, თავის მხრივ შეიძლება შედგებოდეს თემებისა და ქვეთემებისგან. დასაშვებია მათი რამდენჯერმე გამეორებაც. თემა/ქვეთემა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებულ შინაარსიან კონტექსტს (თემის/ქვეთემის დასახელება არ უნდა ემთხვეოდეს სამიზნე ცნებების, ქვეცნებების დასახელებებს), რომელიც იძლევა სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სიღრმისეულად დამუშავების საშუალებას.

თემატური ბლოკები:
- **მე და გარესამყარო**
- **ადამიანები და ხელოვნება**
- **ხელოვნება ჩვენ გარშემო**

5. მოსწავლის წიგნის სარჩევი

1. ადამიანი და ხელოვნება	გავიცნოთ ერთმანეთი	
1.	ხაზი სამყაროში	6
2.	ფორმა სამყაროში	9
3.	ეს მე ვარ	11
4.	განწყობილება	14
5.	ჩვენ ვმოძრაობთ	18
6.	ჩემი მეგობრები	22
2. მე და გარე სამყარო	ჩვენს დედამიწაზე...	
7.	დღე და ღამე	26
8.	როგორი ამინდია?	29
9.	მოგზაურობა ზღვაზე	34
10.	მთები	36
11.	წელიწადის ოთხი დრო	38
12.	ხეების სამყარო	40
13.	ხილის ბაღები	44
14.	რას მივირთმევთ?	46
15.	ჩვენი სამყარო	50
3. მე და გარე სამყარო	მიმოვიხედოთ ირგვლივ	
16.	ცის ბინადარები	52
17.	ოთხფეხა მეგობრები	56
18.	სოფლის ეზო	58
19.	გარეული ცხოველები	60
20.	მობილი	62
21.	სად ბინადრობენ ფრინველები და ცხოველები	64
4. ადამიანი და ხელოვნება	შთაბეჭდილება და იდეა	
22.	ფერადი ქალაქი	68
23.	ხმაურიანი ქუჩა	71
24.	ბუნება და განწყობილება	74
25.	ღამის ცა	76
26.	მუზეუმში	78
27.	სანახაობა და შთაბეჭდილება	80
5. ხელოვნება ჩვენ გარშემო	სად ვიპოვოთ ხელოვნება?	
28.	უცნაური ფორმის ნაგებობები	84
29.	მრავალფეროვანი ფიგურები	86
30.	დასურათებული ამბები	88
31.	ნივთები ჩვენ გარშემო	91
32.	ნივთის „სამკაული“	94

33.	ხელოვნების ქუჩა	96
6. ჩვენი დღესასწაულები		
34.	საახალწლო ნაძვის ხე	102
35.	საახალწლო წინდა	104
36.	შობა	106
37.	ახალი წლის დღესასწაული – „ნორ ტარი“	108
38.	აღდგომა	110
39.	ნოვრუზი	112
40.	გილოცავთ დაბადების დღეს!	113
	ლექსიკონი	116

6. თემატური ბლოკების მატრიცები და კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები SOLO ტაქსონომიის მიხედვით

I თემატური მატრიცა

კლასი: I **თემატური ბლოკი:** ადამიანი და ხელოვნება **თემა**: ვინ ვართ ჩვენ? **საათების სავარაუდო რაოდენობა:** 9
თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში): • სხვადასხვა ტიპის ხაზითა და ფორმით შესაძლებელია მრავალფეროვანი გამოსახულებების შექმნა; • ადამიანები განსხვავდებიან გარეგნობით, თვისებებით, ემოციების გამოხატვით და მათი ასახვა შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ხაზით, ფორმით, მრავალფეროვანი მასალითა და ტექნიკით.
1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახ-ველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4) ქვეცნებები: • **ხაზი** - სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, დიაგონალური; • **ფორმა** - მარტივი გეომეტრიული; **2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4) ქვეცნებები:** ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კონსტრუირება. **3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები (შედეგი 1,2,3,4) ქვეცნებები:** მხატვრობა, ქანდაკება. **4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები - (შედეგი 1,2,3,4). ქვეცნება:** პორტრეტი.
საკითხი – ხაზით და ფორმით გამოსახულების შექმნა **საკვანძო შეკითხვები**: • როგორ გამოვსახო გამოსახულებები სხვადასხვა ტიპის ხაზის, ფორმის, მასალისა თუ ტექნიკის გამოყენებით? • როგორ გამოვიყენო სხვადასხვა ტიპის ხაზი, ფორმა, მასალა და მრავალფეროვანი ტექნიკა განსხვავებული ადამიანების ასასახად? (გარეგნულად, თვისებებით და ემოციების გამოხატვით).

კომპლექსური დავალების პირობა
წარმოადგინე შენი მეგობარი თოჯინის სახით. თოჯინის კონსტრუქციისათვის გამოიყენე ქაღალდის ჩანთა, ყუთი ან რულონი, რომელსაც ზემოდან დაახატავ, დააძერწავ ან დააწებებ სახის ნაკვთებს, სხეულის ნაწილებს და ტანსაცმელს. მსგავსების მისაღწევად გაიხსენე ის ნივთები, რომლებსაც იყენებს შენი მეგობარი (მაგ., სათვალე, თმის სამაგრი, ქუდი და სხვ.); გამოიყენე შესაბამისი გეომეტრიული ფორმები და სხვადასხვა ტიპის ხაზები.

განსახილველი ქეისი კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:

სარკე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქალაქი. ამ ბედნიერ ქალაქში ერთი უცნაური რამ ხდებოდა: აქ არ იყო არც ერთი სარკე. მისმა მცხოვრებლებმა არც კი იცოდნენ ამ ნივთის არსებობის შესახებ; ამიტომაც ისინი ერთმანეთს კი ცნობდნენ, მაგრამ თავად როგორ გამოიყურებოდნენ, არც ერთმა ადამიანმა არ იცოდა. ერთ მშვენიერ დღეს ქალაქის განაპირას მცხოვრები და–ძმები ტყეში სოკოს საკრეფად წავიდნენ. უღრან ტყეში ერთი დიდი ხის ძირში ფუღურო დაინახეს, რომლის გარშემო უამრავი სოკო იზრდებოდა. მიჰყვნენ სოკოების კრეფას და ფუღუროში რომ შეიხედეს უცნაური სანახაობა დახვდათ. პატარა სუფთა და მოწესრიგებულ ოთახში იდგა მაგიდა, საწოლები, სკამები, კარადა...

– ეს ხომ ჯუჯების სახლია! – წამოიძახა უმცროსმა დამ.

უცბად ბავშვებს თვალი რაღაც ელვარე საგანმა მოჭრა, რომელიც მაგიდაზე იდო. უფროსმა ძმამ ეს ჰრიალა საგანი ხელში აიღო, შეხედა და გაოგნებულმა წამოიყვირა:

– აქედან ვიღაც მიყურებს!

დანარჩენებიც მიცვივდნენ და სათითაოდ ჩაიხედეს ამ საგანში. მერე ყველამ ერთად ჩაიხედა და იმდენი სახე დაინახა, რამდენიც თვითონ იყვნენ. ის ნივთი იმდენად ჯადოსნურად მოეჩვენათ, რომ დასტაცეს ხელი და სახლისაკენ გამოიქცნენ.

მეორე დღეს მთელი ქალაქი შეიკრიბა ამ უცნაური ნივთის სანახავად, რომლიდანაც სხვადასხვა ადამიანი იცქირებოდა ხოლმე. ბოლოს მიხვდნენ, რომ მასში თავად ისინი ჩანდნენ. ასე გაჩნდა სარკე მათ ცხოვრებაში. სარკე ხელიდან ხელში გადადიოდა, ყველას უნდოდა საკუთარი სახის დანახვა, რადგან მანამდე არც კი იცოდნენ, როგორი ფერის თვალები, როგორი ფორმის ცხვირი ან პირი ჰქონდათ. ეს მე ვარ. ამბობდა თითოეული მათგანი.

ასე გაჩნდა ქალაქში სარკე და ასე „გაიცნო“ თითოეულმა ადამიანმა საკუთარი თავი. შემდეგ კი სარკემ თითოეულ ოჯახში დაიმკვიდრა ადგილი.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)**
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) • სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.).	• როგორი ხაზები და ფორმები გამოიყენე „ჩემი მეგობრების “ თოჯინების შესაქმნელად (სამ. ცნება 1) • რომელი **მასალა და ტექნიკა** შეარჩიე შენი თოჯინების შესაქმნელად და რატომ? (სამ. ცნება 2)
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა. • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** • ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; • სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** • ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსები:

- https://www.youtube.com/watch?v=cDyksXdhqV4
- https://www.youtube.com/watch?v=d-FeQpT0OAg&t=86s

- https://www.youtube.com/watch?v=TQ2qttvbknQ
- https://www.youtube.com/watch?v=1ycuC4wY2PI
- https://www.youtube.com/watch?v=kQETpMy30fY
- https://www.youtube.com/watch?v=eOdnJmuWa4Y

<u>კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:</u>

- როგორ გამოვსახო საკუთარი თავი და მეგობრები სხვადასხვა ტიპის ხაზისა და მარტივი გეომეტრიული ფორმების გამოყენებით
- როგორ შევქმნა თოჯინები სხვადასხვა ტიპის ხაზის, მარტივი გეომეტრიული ფორმების, მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით თემისათვის „ჩემი მეგობრები“;
- როგორი ხაზებით, ფორმებით, რომელი მასალითა და ტექნიკით გამოვსახო თითოეული მეგობრის თოჯინაზე მათი დამახასიათებელი გარეგნული ნიშნები ?

კომპლექსური დავალების არსი:

კომპლექსური დავალების არსია, მოსწავლემ დაინახოს, რომ ხაზისა და ფორმის გამოყენებით იხატება გამოსახულებები და რომ მხატვრები იყენებენ სხვადასხვა ტიპის ხაზს და სხვადასხვა ფორმას ადამიანისა და გარემოს ასასხად. მხატვრების ყურადღების ცენტრში მუდამ იყო ადამიანი და მას განსხვავებულად გამოსახავდნენ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით (ხაზით, ფორმით). ამ კომპლექსური დავალების არსი იმაშიც მდგომარეობს, რომ ადამიანები ვგავართ ერთმანეთს, შეგვიძლია სიცილი, ტირილი, გართობა, თამაში და ა.შ. ამავე დროს, განვსხვავდებით ერთმანეთისაგან გარეგნობით, ემოციების გამოხატვით. ადამიანის ინდივიდუალურობას, პირველ რიგში, მისი გარეგნობა განსაზღვრავს. ხელოვნება საშუალებას გვაძლევს, რომ დავაკვირდეთ და დავინახოთ საკუთარი თავისა და სხვების დამახასიათებელი გარეგნული ნიშნები და ამის გამოსახვა შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ხაზით, მარტივი გეომეტრიული ფორმების საშუალებით, სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით. კომპლექსურ დავალებაში უნდა წარმოჩინდეს თემატური ბლოკის ფარგლებში დამუშავებული საკითხები, როგორებიცაა: სხვადასხვა ტიპის ხაზი და მარტივი გეომეტრიული ფორმები. ასევე მნიშვნელოვანია, მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის მიზანმიმართულად გამოყენება ნამუშევრების შესაქმნელად. ამგვარი მიდგომა მოსწავლის შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1.

1. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)**

   ქვეცნებები:
   - **ხაზი –** სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური;
   - **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული..
2. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა - (შედეგი 2,3,4) .**

   ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია
3. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები - (შედეგი 1,2,3,4).**

1

ქვეცნება: მხატვრობა.

4. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები - (შედეგი: 1,2,3,4).**

ქვეცნება: პორტრეტი.

https://www.youtube.com/watch?v=cDyksXdhqV4
https://www.youtube.com/watch?v=d-FeQpT0OAg&t=86s
https://www.youtube.com/watch?v=jqNuEJCxkLg

გაკვ. 1. ხაზი სამყაროში

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი დაფაზე თანმიმდევრობით ხატავს სხვადასხვა ტიპის ხაზს: სწორს, ტალღოვანს, წყვეტილს, ხვეულს და ა.შ. და ყოველი ხაზის დაფაზე გამოსახვის შემდეგ, მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ როგორი ხაზი გამოსახა მან. თუ თავად მოსწავლეებმა არ იციან, მასწავლებელი განუმარტავს მათ გამოსახული ხაზის შესაბამის სახელწოდებას. ამის შემდგომ მასწავლებელი სვამს შეკითხვებს:

შეკითხვები:

- მიმოიხედეთ საკლასო ოთახში, სად ხედავთ ხაზებს?
- როგორ ხაზებს ხედავთ?

მოსწავლის აქტივობა: სავარაუდოდ, მოსწავლეები დაასახელებენ სხვადასხვა ტიპის ხაზებს, რომლებსაც აღმოაჩენენ საკლასო ოთახში: ფანჯრებზე (სწორი ხაზები), მრგვალი ფორმის საათზე (წრიული) და სხვ.

მასწავლებლის აქტივობა: მოსწავლეთა პასუხების შემდეგ მასწავლებელი აგრძელებს საუბარს და ეუბნება მოსწავლეებს: თქვენ ყველგან იპოვით ხაზებს და ისინი სხვადასხვაგვარია. შემდეგ, მასწავლებელი დაფაზე სვამს წერტილს და ეუბნება მოსწავლეებს, რომ ხაზი წერტილით იწყება და შემდეგ გრძელდება. მასწავლებელი დაფაზე დასმული წერტილიდან ხაზს აგრძელებს და ესაუბრება მოსწავლეებს, რომ წერტილი სასეირნოდ მიდის და ნელნელა ხაზად გადაიქცევა.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ორ სახალისო აქტივობას, რომლის არსი ისაა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სხვადასხვა ხაზის ჩვენება სხეულის პლასტიკის მეშვეობით:

- მასწავლებელი პირველ მერხზე მჯდომ მოსწავლეს აძლევს ფერადი ლენტის ერთ წვერს, მეორე წვერს კი რიგის ბოლოში მჯდომ მოსწავლეს აჭერინებს. მათ შორის მყოფნი ხელს ჰკიდებენ ლენტს და ასრულებენ მასწავლებლის დავალებას. ხან სწორ ხაზს გამოსახავენ ლენტით, ხან ტალღოვანს და ა.შ. შესაძლებელია, თავად მასწავლებელიც ჩაერთოს ლენტის საშუალებით სხვადასხვანაირი ხაზის გამოსახვაში;
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სხვადასხვა რიგის პირველ მერხზე მჯდომმა ჩასჭიდონ ერთმანეთს გაჭიმული ხელები, რითიც სწორი ხაზი წარმოიქმნება. მასწავლებლის თხოვნით, მოსწავლეებმა გაჭიმული ხელები უნდა გაუშვან ერთმანეთს, რითიც შექმნიან წყვეტილ ხაზს.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ მრავალფეროვან ხაზებს და დაასახელონ ისინი.

შემდეგ ეტაპზე, მიღებული ცოდნის განსამტკიცებლად, მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს სავარჯიშოს შესრულებას: დახატონ სხვადასხვა ტიპის ხაზი: სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, ზიგზაგისებური და სხვ. ხაზების დასახატად მათ შეუძლიათ სხვადასხვა ფერის ფანქრების გამოყენება.

შენიშვნა: დავალების შესრულებისას მასწავლებელი თვალს ადევნებს, თუ როგორ მუშაობენ მოსწავლეები და საჭიროებისამებრ ეხმარება მათ, აძლევს სწორ მიმართულებას.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოს, რის შემდეგაც მასწავლებელმა უნდა მისცეს მათ საშუალება, ისაუბრონ თუ როგორი ხაზები დახატეს სახატავ რვეულში. ვინაიდან ეს მათი პირველი პრეზენტაციაა, მასწავლებელი ეხმარება მათ ნამუშევრების წარდგენაში.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში სხვადასხვა ტიპის ხაზით შექმნილ გამოსახულებებს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ წიგნში მოცემულ პირველყოფილი ადამიანის ნახატის ილუსტრაციას და ამოიცნონ მასზე გამოსახული ცხოველი.

მოსწავლის აქტივობა: სავარაუდოდ, მოსწავლეები სწორ პასუხს გასცემენ ამ შეკითხვას და იტყვიან, რომ მასზე ხარია გამოსახული, რაზეც ცხოველის სხეულის ფორმა, თავი და სახასიათო ფორმის რქები მიუთითებს.

მასწავლებლის აქტივობა: ამის შემდგომ მასწავლებელი სვამს შეკითხვას:

- როგორი ხაზებითაა დახატული ხარი? ერთნაირი სისქის ხაზებია გამოყენებული?

მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ მოსწავლეებმა პასუხები ისე წარმართონ, რომ საბოლოო პასუხი ასე ჟღერდეს: ხარის სხეული, თავი და რქები მოხაზულია სხვადასხვა სისქის ტალღოვანი ხაზებით.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი აჯამებს წინა აქტივობას: მხატვრები იყენებენ სხვადასხვა ტიპის ხაზს, ზოგი ხაზი სწორია, ზოგი – ტალღოვანი, ზოგი – ხვეული, ზოგიც – მოკლე, ზოგი –გრძელი, ზოგი – წვრილი, ზოგი – სქელი და ა.შ. ამის შემდგომ მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს დანარჩენ ილუსტრაციებს და საუბრობს იმის თაობაზე, რომ ზოგიერთი მათგანი მათი თანატოლის მიერაა დახატული, ხოლო ზოგი მხატვრის მიერ. სთხოვს მათ, აღწერონ თითოეული ნამუშევარი და აღნიშნონ, როგორი ხაზებითაა შესრულებული ისინი.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები აღწერენ ნამუშევრებს და ასახელებენ ხაზებს, რომლებიც ამოიცნეს ილუსტრაციებში. მოსწავლეებმა უნდა თქვან, რომ ილუსტრაციაზე გამოსახული ძაღლი და ცხვარი ძირითადად ხვეული ხაზებითაა დახატული, „ბიჭუნასა და კარლსონის“ გამოსახულებებზე კი გამოყენებულია სწორი და მრუდი ხაზები.

დავალების პირობა:

ხაზებით დახატე ნებისმიერი შენთვის სასურველი გამოსახულებები (საგანი, ცხოველი, მცენარე და ა.შ.). შეარჩიე სხვადასხვა ტიპის შესაბამისი ხაზები ამ გამოსახულებებისათვის.

რეკომენდაცია: მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს სრული თავისუფლება გამოსახულებების არჩევაში. მოსწავ;ეებს შეუძლიათ ერთი ან რადენიმე გამოსახულება დახატონ.

1 **პრაქტიკული დავალება:**

- მოსწავლეები ირჩევენ გამოსახულებებს თავიანთი ნამუშევრებისათვის.
- მათ უნდა მოიფიქრონ, როგორ ხაზებს გამოიყენებენ ამ გამოსახულების/ გამოსახულებების დასახატად, რათა გადმოსცენ მისი დამახასიათებელი ნიშნები.
- პრეზენტაციისას მოსწავლეები აღწერენ, რა ტიპის ხაზები გამოიყენეს ნამუშევრის შესრულებისას და რატომ.
- რა მასალა გამოიყენეს მუშაობისას? (უბრალო ფანქარი, ფერადი ფანქრები, ფლომასტერი თუ პასტელი).

გაკვ. 2. ფორმა სამყაროში

მასწავლებლის აქტივობა: ამ აქტივობით მოსწავლეებმა უნდა განიმტკიცონ წინა გაკვეთილზე მიღებული ცოდნა ხაზის შესახებ. მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის ხაზს. მოსწავლეებმა წყვილში უნდა წარმოადგინონ სხვადასხვა ტიპის ხაზი. მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ლენტებს/ძაფებს. ერთმა ლენტის/ძაფის ერთი წვერი უნდა დაიჭიროს და მეორემ მეორე წვერი და ისე წარმოადგინონ სხვადასხვა ტიპის ხაზი, როდესაც მასწავლებელი დაასახელებს მათ (სწორი, ტალღოვანი და სხვ.).

შენიშვნა: აქტივობის არსი ისაა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ხაზის შესახებ მიღებული ცოდნის განმტკიცება და მასწავლებელმა მოამზადოს ისინი ახალი ცოდნის კონსტრუირებისათვის.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი საუბრობს, რომ ხაზებით შესაძლებელია გეომეტრიული ფორმის შექმნა და დაფაზე ხატავს სწორ ხაზებს (ჰორიზონტალურს და ვერტიკალურს) ისე, რომ ოთხკუთხედი/მართკუთხედი გამოვიდეს. მასწავლებელი აგრძელებს დაფაზე ან დიდ ფორმატზე გეომეტრიული ფორმების (სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე) ხატვას (შესაძლებელია, მას ნახატი წინასწარ ჰქონდეს მომზადებული ფორმატზე). სასურველია, მასწავლებელმა ერთსა და იმავე გეომეტრიულ ფორმას განსხვავებული სახე მისცეს, მაგ., დახატოს სამკუთხედები წვეროთი ქვემოთ, დიდი და პატარა წრეები, კვადრატი და რომბი და ა.შ. იგი მოსწავლეებს სთხოვს, დაასახელონ, რომელი ფორმებია გამოსახული დაფაზე.

მოსწავლის აქტივობა: პასუხები შესაძლებელია სხვადასხვანაირი იყოს. ზოგმა მოსწავლემ შეიძლება იცოდეს ამა თუ იმ ფორმის სახელი, ზოგმა კი შეცდომით დაასახელოს ისინი.

მასწავლებლის აქტივობა: პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი ასახელებს დაფაზე დახატულ ფორმებს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მიმოიხედონ ირგვლივ საკლასო ოთახში და გეომეტრიული ფორმები აღმოაჩინონ ნივთებში, საგნებში (მაგ. საათი, რომელიც კედელზე კიდია, რომელ გეომეტრიულ ფორმას გაგონებს? მერხზე განთავსებული ნივთებიდან რომელს აქვს ოთკუთხა ფორმა და ა.შ.)

შენიშვნა: შესაძლებელია, პირველი აქტივობა მასწავლებელმა სხვაგვარად წარმართოს: მასწავლებელი გაკვეთილის დაწყებამდე მაგიდაზე ალაგებს წინასწარ მომზადებულ რესურსს: საშუალო ზომის ბურთს, გეომეტრიული ფორმის სათამაშოს, გეომეტრიულ ფიგურებს: კვადრატს, მართკუთხედს, სამკუთხედს. გაკვეთილის დაწყებისთანავე, მოსწავლეები აკვირდებიან საგნებს და პასუხობენ, თუ როგორი ფორმა აქვს თითოეულ ამ საგანს და ამ აქტივობის შემდეგ აღმოაჩინონ გეომეტრიული ფორმები საკლასო ოთახში,

საკუთარ ნივთებში.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეებმა უნდა აღმოაჩინონ სხვადასხვა გეომეტრიული ფორმა საკლასო ოთახში. შესაძლოა მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეს ფორმების აღმოჩენაში, შეკითხვების დასმით. მაგ., კარგად დააკვირდით ამ საგანს, შესაძლებელია ამ საგანში გეომეტრიული ფორმის პოვნა და სხვ.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი სვამს შეკითხვას:

- ხომ არ შეიძლება ვიპოვოთ ბუნებაში ეს გეომეტრიული ფორმები: სამკუთხედი, წრე, უთხკუთხედი?
- შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნიმუშებს და ისაუბრონ, რომელი ნიმუში რომელ გეომეტრიულ ფორმას ჰგავს.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები რიგ-რიგობით ასახელებენ გეომეტრიულ ფორმებს და საუბრობენ, თუ რომელ გამოსახულებას ამსგავსებენ თითოეულ ფორმას (მაგ., სახლი მოაგონებთ ოთკუთხედს, მზე – წრეს და ა.შ. მოსწავლის სახელმძღვანელოში მეტი თვალსაჩინოებისათვის, ნიმუშები და გეომეტრიული ფორმები ერთმანეთის გვერდითაა განლაგებული).

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ილუსტრაციებს და მხატვრების ნამუშევრებში ამოიცნონ გეომეტრიული ფორმები.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს სავარჯიშოს შესრულებას: მოსწავლეებმა უნდა დახატონ სხვადასხვა ფორმის გეომეტრიული ფორმა და გააფერადონ. მასწავლებელი სთხოვს მათ, დაასახელონ, როგორი ხაზები გამოიყენეს გეომეტრიული ფორმების ხატვისას, რაც ეხმარება მოსწავლეებს იმის გააზრებაში, რომ ყველა გამოსაულება ხაზით იხატება და ხაზები ქმნის გეომეტრიულ ფორმებსაც.

შენიშვნა: შესაძლებელია მასწავლებელმა დაფასთან ხატვა შესთავაზოს მოსწავლეებს: გამოიძახოს წყვილი. ერთმა დახატოს გეომეტრიული ფორმები (სამკუთხედი, ოთხკუთ-ხედი და სხვ.) სხვდასხვა ფერის ცარცით, მეორემ კი დაასახელოს ისინი.

დავალების პირობა: ფერადი ქაღალდებისაგან გამოჭერი მარტივი გეომეტრიული ფორმები და ააწყვე მათგან გამოსახულებები, შემდეგ დააწებე ქაღალდზე. შენ მიერ აწყობილ გამოსახულებას სხვადასხვა ტიპის ხაზით დაახატე დეტალები.პრაქტიკული სამუშაო:

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი პრაქტიკული სამუშაოს დაწყებამდე მოსწავლეებს ურიგებს ფერადი ქაღალდებისაგან გამოჭრილ მარტივ გეომეტრიულ ფორმებს (სხვადასხვა ზომის სამკუთხედი, ოთხკუთხედი, წრე და სხვ.) იგი სთავაზობს მოსწავლეებს, ფურცელზე ააწყონ მარტივი გამოსახულებები. მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ მათ თავადაც შეუძლიათ ფერად ქაღალდზე დახატონ მარტივი გეომეტრიული ფორმა, შემდეგ გამოჭრან და დააწებებონ ჩანაფიქრის შესაბამისად. (მაგ., გამოსახულების ასაწყობად მათ აქვთ ორი პატარა სამკუთხედი და სჭირდებათ მესამე იმავე ან განსხვავებული ზომის სამკუთხედი. მოსწავლე თავად უნდა შეეცადოს, გამოჭრას მისთვის საჭირო ფორმა). მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ, გეომეტრიული ფორმებისაგან აწყობილ გამოსახულებას სხვადასხვა ტიპის ხაზის გამოყენებით, დეტალები დაახატონ.

1 (მაგ., სამკუთხა სახურავის საკვამურიდან ამომავალი ბოლი ხვეული ხაზის გამოყენებით. სამკუთხა ფორმის მთის წინ კი ზღვის ტალღები ტალღოვანი ხაზის გამოყენებით და ა.შ). მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ როდესაც ჩვენ ფერადი ქაღალდებისაგან ფორმებს გამოვჭრით, შემდეგ ფურცელზე დავაწებებთ და ასე ვიღებთ გამოსახულებას, ამ ტექნიკას აპლიკაცია ეწოდება.

რეკომენდაცია: მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება მოსწავლეს გამოსახულების შექმნაში, გამოჭრაში და სხვ.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები გეომეტრიული ფორმებისაგან ქმნიან ნამუშევრებს, იყენებენ სხვადასხვა ტიპის ხაზს დეტალების შესაქმნელად. პრაქტიკული სამუშაოს დასრულების შემდეგ, მასწავლებლის დახმარებით გამოფენენ საკუთარ ნამუშევრებს (მიამაგრებენ დაფაზე მაგნიტებით ან ჩამოკიდებენ კლასში გაბმულ თოკზე სამაგრებით). მოსწავლეები განლაგდებიან საკუთარ ნამუშევრებთან და წარადგენენ მათ. თითოეული საუბრობს თუ რა გამოსახა, რომელი გეომეტრიული ფორმები გამოიყენა, რომელი ხაზები გამოიყენა.

რეკომენდაცია: მასწავლებელმა შეიძლება აირჩიოს განსხვავებული სტრატეგია, მოსწავლეებმა ისაუბრონ თანაკლასელთა ნამუშევრებზე, აღწერონ და დაასახელონ გამოყენებული ფორმები.

<u>გაკვ. 3. ეს მე ვარ</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სვამს შეკითხვას:

- რით გვანან და რით განვსხვავდებიან ადამიანები ერთმანეთისგან?
- შენ როგორი ხარ? როგორი გარეგნობა გაქვს?

სარკით თამაში:

მასწავლებელი სარკეში ახედებს ბავშვებს, სთხოვს, დააკვირდნენ საკუთარ თავს, აღწერონ, რა ფერის თმები აქვთ, რა ფერის თვალები, როგორი ფორმის ცხვირი აქვთ და სხვ.

შენიშვნა: მასწავლებელს თავად უნდა ეჭიროს ხელში სარკე და მოსწავლეები რიგ-რიგობით ჩაახედოს სარკეში.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეებმა უნდა შეძლონ საკუთარი გარეგნობის აღწერა (სახე – მრგვალი, ოვალური, კუთხოვანი ფორმის; თვალები – მრგვალი, ნუშისებური ფორმის და ა.შ.; თვალის ფერი – შავი, თაფლისფერი, მწვანე; წარბი – ოვალური, სწორი; თმა – ხვეული, სწორი, ტალღოვანი, სპირალურად ხვეული; თმის ფერი – ქერა, წაბლისფერი, წითელი/ჟღალი, შავი).

შემდეგ მასწავლებელთან ერთად ხდება კითხვა-პასუხის შეჯამება და დასკვნის გამოტანა, რომ ყველა ადამიანს აქვს სახე და სახის ნაკვთები (თვალები, ყურები, ცხვირი, ლოყები და ა.შ.) და თმა. ოღონდ, სახის ეს ნაწილები ყველას თავისებური ანუ განსხვავებული ფორმის თუ ფერის აქვს (მაგ., თვალები ზოგიერთს მღგვალი ფორმის აქვს,ზოგს – წაგრძელებული ნუშისებური ფორმის; ზოგს მწვანე ფერის თვალი აქვს, ზოგს – ცისფერი და სხვ.) მხატვრები საკუთარ ნამუშევრებში ადამიანების გამოსახვისას ამ განსხვავებებს ხაზის, ფორმისა და ფერის გამოყენებით გადმოსცემენ.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ საკუთარი თავის დახატვა შესაძლებელია მათთვის უკვე ნაცნობი ხაზებით და ახსენებს მათ სხვადასხვა ტიპის ხაზს. მათ საილუსტრაციოდ მასწავლებელი დაფაზე ხატავს ხაზებს

(სწორს, ტალღოვანს, სპირალურს, ტეხილს, წყვეტილს, ზიგზაგისებურს და სხვ.). შესაძლებელია, მასწავლებელმა ასევე ფერადი ლენტებით აჩვენოს მოსწავლეებს ხაზის ტიპები. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მასთან ერთად ხელებით გამოსახონ სხვადასხვა ტიპის ხაზი.

მოსწავლის აქტივობა: მასწავლებელი ასახელებს ხაზს და მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად ხელებით გამოსახავენ სწორ, ტალღოვან, წყვეტილ ხაზებს. ერთმანეთს ჩაჭიდული გაჭიმული ხელები სწორ ხაზს წარმოიქმნიან, შემდეგ უნდა გაუშვან ხელები ერთმანეთს და გაჭიმული ხელებით წყვეტილ ხაზს წარმოქმნიან, შემდეგ ტეხილს, ტალღოვანს, ორივე გაშლილი ხელით სწორ ხაზს (ჰორიზონტალურს) ზემოთ აღმართულ ხაზს (ვერტიკალურს) და ა.შ. ასეთი ტიპის აქტივობა მოსწავლეებს შესრულებული აქვთ პირველ და მეორე გაკვეთილებზე, როდესაც ხაზს და ფორმას გაეცნენ. აქტივობა (სხვადასხვა ტიპის ხაზის, სხეულის პლასტიკით გამოსახვა) მოსწავლეებს ეხმარება ხაზის შესახებ ცოდნის განმტკიცებაში.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ ხაზებით შესაძლებელია გამოვსახოთ ფორმა სიბრტყეზე (შესაძლებელია მომზადებულიც ქონდეს მასწავლებელს მარტივი გეომეტრიული ფორმა დაფაზე, ფურცელზე), მაგ., სამკუთხედი, კვადრატი, წრე, ოვალი. ამ ფორმებს მასწავლებელი დაფაზე ხატავს და სანამ მათ სახელწოდებებს თავად დაასახელებს, მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, გაიხსენონ წინა გაკვეთილზე მიღებული ცოდნა ამ ფორმების შესახებ და დაასახელონ ისინი. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სახელმძღვანელოში წარმოდგენილი მხატვრების ნამუშევრებს და ყურადღებას ამახვილებინებს აქ ასახული ადამიანების სახის მოყვანილობაზე და გამოყენებულ გეომეტრიულ ფორმებზე. მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ ადამიანის სახის დასახატად, მხატვრები სხვადასხვა ტიპის ხაზთან ერთად, გეომეტრიულ ფორმებს იყენებენ.

შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დაფიქრდნენ დაფაზე გამოსახულ რომელ მარტივ გეომეტრიულ ფორმას მიუსადაგებენ ისინი საკუთარი სახის მოყვანილობას (ვიღაცას თხელი, ქვემოთ დავიწროებული სახის მოყვანილობა აქვს, ზოგს – ოვალური, ზოგს – მრგვალი, ზოგს – ოდნავ კუთხოვანი) და სთავაზობს მათ, ქაღალდზე შემოხაზონ შესაბამისი ფორმა.

აქტივობის მიზანია, ხაზის და ფორმის შესახებ მიღებული ცოდნა განუმტკიცოს მოსწავლეებს და დაანახოს მათ ხაზისა და ფორმის შესაძლებლობები. როგორ არის შესაძლებელი ადამიანის გამოსახულების შექმნა მათი გამოყენებით.

დავალების პირობა: საკუთარი თავის (სახის) დასახატად, გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზი, შეარჩიე შესაბამისი მარტივი გეომეტრიული ფორმა და ფერი. გამოიყენე ნებისმიერი მასალა (ფერადი ფანქრები/ფლომასტერები/პასტელი).

პრაქტიკული სამუშაო: მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს: საკუთარი თავის (სახის) დასახატად, ისინი იყენებენ სხვადასხვა ტიპის ხაზს და მარტივ გეომეტრიულ ფორმებს, იყენებენ შესაბამის ფერებსა და მათ მიერ შერჩეულ მასალას: ფერად ფანქრებს/ ფლომასტერებს/პასტელს. ნამუშევრის დასრულების შემდეგ, მოსწავლეები საუბრობენ საკუთარი ნამუშევრის შესახებ, ასახელებენ მათ მიერ გამოყენებულ ხაზებს, ფორმებს, ფერებს.

რეკომენდაცია: მასწავლებელმა შეიძლება მიმართოს განსხვავებულ სტრატეგიას: პრეზენტატორმა საკუთარი ნამუშევარი წარადგინოს კლასის წინაშე და მოსწავლეებმა ისაუბრონ ნამუშევარზე, აღწერონ და დაასახელონ გამოყენებული ხაზები, ფორმები, ფერები, პრეზენტატორის მსგავსება-განსხვავებაზე შექმნილ გამოსახულებასთან.

1

ნაბიჯი 2

სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი –** სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური;
- **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული.

2. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა - (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია, ძერწვა, კონსტრუირება

3. სამიზნე ცნება - სახვითი ხელოვნების დარგები - (შედეგი 1,2,3,4)

ქვეცნება: მხატვრობა

4. სამიზნე ცნება - სახვითი ხელოვნების ჟანრები - (შედეგი: 1,2,3,4)

ქვეცნება: პორტრეტი

<u>გაკვ. 4. განწყობილება</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი აქტივობას იწყებს შეკითხვებით:

- როგორ ხვდები, რომ შენს მეგობრებს (ან სხვა ადამიანებს) უხარიათ?
- თუ დაკვირვებიხარ, როგორ ეცვლებათ სახე ადამიანებს სიხარულისას?
- როგორ ხვდები რომ შენი მეგობრები (ან სხვა ადამიანები) მოწყენილები არიან?
- თუ დაკვირვებიხარ, როგორი სახე აქვთ მოწყენილ ადამიანებს?
- როგორი ტიპის ხაზებით არის შესაძლებელი ადამიანის სახეზე სხვადასხვა ემოციის ან განწყობილების გადმოცემა?

მოსწავლის აქტივობა: სავარაუდოდ მოსწავლეები საუბრობენ, თუ როგორ ამოიცნობენ ემოციებს მეგობრისა თუ სხვა ადამიანების სახეზე.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ მხატვრები გამოსახავენ ადამიანების განწყობილებას, მათ ემოციებს, ამისთვის იყენებენ სხვადასხვა ტიპის ხაზებს, გეომეტრიულ ფორმებსა და ფერებს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ილუსტრაციებს, ყურადღება მიაქციონ აქ გამოსახული ბავშვების სახეებს, აღწერონ, როგორი გამომეტყველება აქვთ მათ. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს შეკითხვებით:

- რა აქვთ საერთო სახელმძღვანელოს პირველ გვერდზე წარმოდგენილ მხატვართა ნამუშევრებზე გამოსახულ ბავშვებს? (ყველა მათგანი იღიმება)
- როდის (რა შემთხვევაში) იღიმება ადამიანი? (როდესაც რაღაც სასიამოვნოს ხედავს ან კარგ ამბავზე ფიქრობს და ა.შ.). შენ როდის იღიმები?
- აღწერეთ მურილიოს და ომიშენის ნამუშევრები, თქვენი აზრით რატომ იღიმიან აქ გამოსახული ბავშვები? (ისინი ურთიერთობენ ცხოველებთან და ეს ურთიერთობა მათ სიამოვნებას ანიჭებს, ღიმილიც ამითაა გამოწვეული).
- როგორ ვატყობთ ადამიანს, რომ ის იღიმება? (ტუჩების კიდეები ზემოთაა აწეული)
- როგორი ხაზით შეიძლება ზემოთ აწეული კიდეების მქონე ტუჩების ფორმის გამოსახვა და ამით ადამიანის სახეზე ღიმილის შთაბეჭდილების შექმნა? (ზემოთ მიმართული ნახევარრკალური ხაზით).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ახლა დააკვირდნენ შემდეგ გვერდზე მოცემულ ბრაგოლინას სურათს და უპასუხონ შეკითხვებს:

- როგორი გამომეტყველება აქვს ამ ბიჭუნას? (სევდიანი) რატომ ფიქრობთ ასე?
- როგორი მოყვანილობა აქვს მის პირს და როგორ შთაბეჭდილებას ქმნის ეს? (ტუჩების კიდეები დაბლაა დაშვებული და ეს მოწყენილ გამომეტყველებას აძლევს სახეს).
- როგორი ხაზით შეიძლება ქვემოთ დაშვებული კიდეების მქონე ტუჩების ფორმის გამოსახვა და ამით ადამიანის სახეზე სევდის, მოწყენილობის შთაბეჭდილების შექმნა? (ქვემოთ მიმართული ნახევარრკალური ხაზით).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ახლა ამავე გვერდზე წარმოდგენილ ლეისტერის ნამუშევარს დააკვირდნენ და პასუხი გასცენ შეკითხვებს:

- როგორი გამომეტყველება აქვს ამ სურათზე გამოსახულ,ბიჭუნას და როგორი შთაბეჭდილება იქმნება ამის გამო? (ბიჭუნა გულიანად იცინის და სურათზე ხალისიანი განწყობილება სუფევს).
- როგორაა სახეზე სიცილი გადმოცემული (ბიჭუნას ბაგეები გახსნილი აქვს და კბილები უჩენს. ანუ მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სიცილის დროს ადამიანს უჩანს კბილები).

ამ პრინციპით მასწავლებელი აღაწერინებს მოსწავლეებს სახელმძღვანელოში წარ-მოდგენილ მხატვართა ყველა ნამუშევრის ილუსტრაციას. ამ აქტივობის მიზანია, რომ მოსწავლეები დააკვირდნენ ადამიანის სახეს, ამოიცნონ მასზე აღბეჭდილი ემოციები და გააცნობიერონ, რომ ამ ემოციების გამოხატვა შესაძლებელია ნამუშევარში, რასაც მხატვრები აკეთებენ კიდეც.

დავალების პირობა: დახატე ადამიანის სახე, რომელზეც რომელიმე ემოციას ასახავ შესაბამისი ხაზებისა და ფორმების მეშვეობით. ნამუშევარი შეგიძლია შეასრულო აპლიკაციის ტექნიკით, ფერადი ქაღალდების გამოყენებით. ასევე, შეგიძლია, ზოგიერთი დეტალი (მაგ., თმა, თვალები და სხვ.) ქაღალდზე დააძერწო.

მასწავლებლის აქტივობა:

შეკითხვები:

- როგორ ხაზებს გამოიყენებ სხვადასხვა ემოციის (სევდის, ბრაზის, სიხარული, გაოცების და სხვ.) გამოსახვისას?
- რომელ ფორმებს გამოიყენებ ამ დავალების შესასრულებლად?
- რომელი გეომეტრიული ფორმები აქვთ გამოყენებული თქვენს თანატოლებს სახეების დახატვისას? (ოვალი, წრე, ოთხკუთხედი)
- როგორ ხაზებს იყენებენ თქვენი თანატოლები სახეების ხატვისას? (სწორი, ტალღოვანი, ხვეული, სპირალური და ა.შ.)
- სახის რომელი ნაკვთითაა გამოსახული ღიმილი თქვენი თანატოლების ნამუშევრებზე? (ტუჩებით)
- როგორი ხაზით გამოხატავენ ღიმილს სახეზე თქვენი თანატოლები? (მრუდი)

პრაქტიკული სამუშაო:

მოსწავლეებს შეუძლიათ შექმნან ერთი ან რამდენიმე გამოსახულება, სახე დახატონ სხვადასხვა ტიპის ხაზისა და გეომეტრიული ფორმის გამოყენებით და განსხვავებული ემოციები ასახონ. თავდაპირველად ხატავენ გამოსახულებას სხვადასხვა ტიპის ხაზის გამოყენებით. იყენებენ აპლიკაციის ტექნიკას, მათ შეუძლიათ დახატონ, შემდეგ გამოჭ-

რან, დააწებონ რომელიმე ფერის ქაღალდს – ფონს და დააძერწონ დეტალები (მაგ. პირი, თვალები, თმა და სხვ.), რომლითაც ისინი მათ მიერ შეჩეულ ემოციას (გაკვირვება, სიხარული, გაბრაზება და სხვ.) გადმოსცემენ. პრაქტიკული სამუშაოს დასრულების შემდეგ, მოსწავლეები წარმოადგენენ ნამუშევრებს. ერთი გამოსახულება შექმნეს თუ რამდენიმე და რომელი ემოცია ასახეს, რომელი ხაზები და როგორი ფორმები და ფერები გამოიყენეს ამ ემოციის გადმოსაცემად; რომელი ტექნიკა გამოიყენეს, მხოლოდ ხატვის და აპლიკაციის, თუ ძერწვის ტექნიკაც, თუ სამივე ერთად და რატომ.

გაკვ.5 ჩვენ ვმოძრაობთ

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი რთავს წინასწარ შერჩეულ მუსიკას და მოსწავლეებს სთავაზობს იმოძრაონ და მოძრაობისას დააკვირდნენ საკუთარსა და მეგობრების მოძრაობას. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაუბრუნდნენ საკუთარ ადგილებს, რის შემდეგაც მასწავლებელი აგრძელებს გაკვეთილს შეკითხვებით:

- შეიძლება თუ არა გამოვსახოთ ადამიანი მოძრაობაში: სიარულისას, სირბილისას, თამაშისას, ცეკვისას?
- შეიძლება თუ არა გამოვიყენოთ მოძრაობის გამოსახვისას უკვე ნასწავლი ფორმები, ხაზები?

მოსწავლეთა პასუხების შემდეგ, მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ მხატვრები ხშირად ასახავენ ადამიანებს სხვადასხვა მოძრაობაში, სხვადასხვა საქმიანობის დროს. ისინი ხატავენ ადამიანებს სიარულის, სირბილის, შრომის, თამაშის, ცეკვის დროს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ილუსტრაციებს და ისაუბრონ თუ როგორ ასახავს სხვადასხვა მხატვარი ადამიანების მოძრაობისას.

შეკითხვები:

- დააკვირდით ვან გოგის სურათს. აღწერეთ ვინ არის გამოსახული მასზე. აღწერეთ მოსი მოქმედება, მოძრაობა.
- როგორი ხაზები აქვს გამოყენებული მხატვარს ამ მოძრაობის გადმოსაცემად (თუ მამაკაცის ფეხებს დავაკვირდებით აქ ტეხილი ხაზებია გამოყენებული, რომლის მეშვეობითაც სვლის შთაბეჭდილება იქმნება).
- აღწერეთ დეგას ბალერინას მოძრაობა. რა გვაფიქრებინებს, რომ იგი ცეკვავს და როგორი ფორმებითა და ხაზებითაა მისი მოძრაობა ასახული.
- როგორი ხაზები აქვს გამოყენებული მხატვარს ბალერინას ფეხებზე და რა შთაბეჭდილებას ქმნის ეს? (ტალღოვანი ხაზები, რაც ფეხის კუნთებს მკაფიოდ გამოყოფს. ეს კი ნიშნავს, რომ ფეხი ძალზე დაძაბულია, რადგან ფიგურა თითისწვერებზე დგას).
- დააკვირდით პიკასოს ნამუშევარს და აღწერეთ ის, როგორი ხაზი გარშემოწერს ბურთზე მდგომ გოგონას? (ხაზი მთელ სხეულს შემოწერს და ალაგ–ალაგ ტალღოვანია. მაგ., წელის არეში, ალაგ-ალაგ კი – კუთხოვანი. მაგ. მარცხენა იდაყვთან.)
- როგორ შთაბეჭდილებას ქმნის ამ ფიგურის მოძრაობა? (ფიგურა თითქოს არამყარია, რადგან ის ცდილობს ბურთზე გაჩერდეს, გოგონა ცდილობს არ ჩამოვარდეს ბურთიდან და დაიცვას წონასწორობა).
- როგორ გადმოსცემს ამას მხატვარი? (სწორედ მისი სხეულის ძალიან მოქნილი, ალაგ-ალაგ ტალღოვანი, ალაგ-ალაგ – სწორი და ზოგან კუთხოვანი ხაზით შექმნილი ფორმებით).

- დააკვირდით პაულ კლეეს ნამუშევარს და განსაზღვრეთ, როგორ მოძრაობაშია ფიგურა და რას აკეთებს ის (ცეკვავს, რადგან მარჯვენა ფეხი მაღლა აქვს აწეული, მარცხენა ხელი ზემოთ აწვდილი).
- როგორი ხაზებით და ფორმებით ასახავს პაულ კლეე ამ ფიგურის მოძრაობას? (სწორი ხაზებითაა გამოსახული მისი კიდურები: ხელები, ფეხები; გაფრიალებული კაბის ქვედა ნაწილი სამკუთხა ფორმისაა, ზედა ნაწილი კი სწორკუთხედს მოგვაგონებს).

მასწავლებელი აჯამებს კითხვა–პასუხის შედეგებს და სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ მარტივ ფიგურებს, კონსტრუქციებს. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, მცირე ზომის კილოფისაგან, რულონისაგან ან პლასტილინისაგან თავადაც შექმნან ფიგურა მოძრაობაში (კონსტრუქცია), რისთვისაც დასჭირდებათ თიხა ან პლასტილინი, ხის მცირე ზომის ტოტები ან ჩხირები ფიგურის ხელებისთვის და ფეხებისთვის, ფერადი ფურცლები, წებო, მაკრატელი, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

დავალების პირობა: შექმენი ადამიანის ფიგურა (მარტივი კონსტრუქცია). ამისათვის შეგიძლია გამოიყენო კოლოფები, რულონები; ზედ დაახატო, დააწებო ან დააძერწო სხეულის ნაწილები (ხელები, ფეხები, თავი), ტანსაცმლის დეტალები და სხვ.

გადაწყვიტე, როგორ მოძრაობაში გამოსახავ ფიგურას და ამის მიხედვით შეარჩიე მარტივი გეომეტრიული ფორმები.

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს რჩევებს:

- ფიგურის ტანისთვისათვის შეარჩიეთ კოლოფი, რულონი ან პლასტილინის ნაჭერი (ისე როგორც სახელმძღვანელოშია წარმოდგენილი);
- თავისათვის მოხაზეთ ფურცელზე/მუყაოზე გეომეტრიული ფორმა - ოვალი, წრე და სხვ. გამოჭერით, დაახატეთ თვალები, პირი, ცხვირი და დააწებეთ თქვენი ფიგურის ტანს. ასევე, შეგიძლიათ თავი პლასტილინისაგან გამოძერწოთ;
- ტანსაცმლისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ფერადი ფურცლები, რომლებიც სურვილისამებრ მოხატეთ სხვადასხვა ტიპის ხაზებითა თუ ფორმებით და აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით შექმენით ტანსაცმელი და დააწებეთ ფიგურას;
- გამოძერწეთ ხელები ან ისინი ხის ჩხირებისაგან გააკეთეთ და მიამაგრეთ ტანზე;
- ფეხებისათვის გამოიყენეთ უფრო მყარი ჩხირი, რომელსაც პლასტილინით მიამაგრებთ ფიგურას;
- მეორე ფეხი ისე მიამაგრეთ ტანს, რომ ფიგურა მოძრაობის შთაბეჭდილებას ქმნიდეს.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეებს წინასწარ უნდა ჰქონდეთ მომზადებული საჭირო რესურსი, მოსწავლეები ქმნიან კონსტრუქციას, ფიგურას. იყენებენ სხვადასხვა ტიპის რესურსს. სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები გამოფენენ ფიგურებს საკლასო ოთახში.

გაკვ.6 ჩემი მეგობრები

კომპლექსური დავალების პირობა:

წარმოადგინე შენი მეგობარი თოჯინის სახით. თოჯინის კონსტრუქციისათვის გამოიყენე ქაღალდის ჩანთა, ყუთი ან რულონი, რომელსაც ზემოდან დაახატავ, დააძერწავ ან დააწებებ სახის ნაკვთებს, სხეულის ნაწილებს და ტანსაცმელს. მსგავსების მისაღწევად გაიხსენე ის ნივთები, რომლებსაც იყენებს შენი მეგობარი (მაგ., სათვალე, თმის სამაგრი, ქუდი და სხვ.); გამოიყენე შესაბამისი გეომეტრიული ფორმები და სხვადასხვა ტიპის ხაზები.

დავალების შესასრულებლად მუშაობის პროცესში გაითვალისწინეთ:

- შენი მეგობრების თოჯინების შესაქმნელად შეარჩიე მასალა: ქაღალდის ჩანთას, რულონს თუ კოლოფს გამოიყენებ;
- ასევე შეგიძლია პლასტილინისა და თიხის გამოყენება ცალკეული დეტალებისათვის;
- ფერად ქაღალდებთან ერთად, ასევე შეგიძლია, გამოიყენო ქსოვილი ან ბუნებრივი მასალა (მაგ., ძაფები და ფოთლები თმისათვის, ქსოვილი - ტანსაცმლისათვის).

ნამუშევრის წარდგენა:

- როგორი ხაზები და ფორმები გამოიყენე „ჩემი მეგობრების“ თოჯინების შესაქმნელად?
- რომელი მასალა და ტექნიკა შეარჩიე შენი თოჯინების შესაქმნელად და რატომ?

I კლასი

შეფასება **SOLO ტაქსონომიის გამოყენებით**

მოსწავლის სახელი, გვარი ----------
საგანი „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“

1. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)**
   ქვეცნებები:
   - **ხაზი –** სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, ჰორიზონტალური;
   - **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული;
2. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა - (შედეგი 2,3,4)**
   ქვეცნებები: ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კონსტრუირება.
3. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – (შედეგი 1,2,3,4)**
   ქვეცნება: მხატვრობა,
4. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – (შედეგი: 1,2,3,4)**
   ქვეცნება: პორტრეტი.

კომპლექსური დავალების პირობა:

თემაზე: „ჩემი მეგობრები“ შექმენით თოჯინები. მათ შესაქმნელად გამოიყენეთ სხვადასხვა ტიპის ხაზი, მარტივი გეომეტრიული ფორმები, ხატვის, აპლიკაციის, ძერწვისა და თოჯინების (მარტივი კონსტრუქციის) შექმნის ტექნიკა. თოჯინების შესაქმნელად, გამოსახულებები შეგიძლიათ ჯერ დახატოთ სხვადასხვა ტიპის ხაზისა და ფორმის გამოყენებით, გააფერადოთ, შეგიძლიათ ნახატზე დააძერწოთ თვალები, თმა და ა.შ. ამოჭრათ და დააწებოთ ქაღალდის ჩანთას,ყუთს ან რულონს. თოჯინების შექმნისას, გაითვალისწინეთ ის ნივთები, რომელსაც იყენებენ თქვენი მეგობრები (მაგ. სათვალე, თმის სამაგრი, ქუდი და სხვა). ყურადღება გაამახვილე სხვადასხვა ტიპის ხაზზე, მარტივ გეომეტრიულ ფორმებზე. აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით მორთეთ თქვენი თოჯინა ფერადი ქაღალდებით, ქსოვილით,ძაფებით და სხვა.

კრიტერიუმი სამიზნე ცნება	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები **(ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს ესმის საკითხის არსი, რაც მას ცოდნის განზოგადების საშუალებას აძლევს.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> ნამუშევრის შექმნა: მოსწავლეს ესმის საკითხის არსი. გააზრებულად იყენებს მიღებულ ცოდნას,დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. მიზანმიმართულად იყენებს ფორმას (მარტივი გეომეტრიული) მრავალფეროვან ხაზს, მასალასა და ტექნიკას თოჯინების შესაქმნელად. გამოირჩევა ორგინალური ხედვით, შემოქმედებითად იყენებს **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკას**. ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კონსტრუირება)**.** **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე. ყურადღებას სამახვილებს შესრულებული დავალების ფარგლებში გამოკვეთილ სამიზნე ცნებებზე.	

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი, აკავშირებს საკითხთან დაკავშირებულ ძირითად არსებით სტრუქტურულ ერთეულებს. საშუალებას აძლევს. გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს, მასალასა და ტექნიკას.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს ნამუშევრის შესაქმნელად. ნამუშევრის წარდგენა: ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მრავალფეროვან მასალას და ტექნიკას ნამუშევრის შესაქმნელად. ნამუშევრის წარდგენა:ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იცის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გარკვეული ნაწილი.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებსა და ხერხებს. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მასალასა და ტექნიკას.. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას,მის მიერ გამოყენებულ მასალასა და ტექნიკას ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იყენებს რამდენიმე მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებას და ხერხს, მასალა და ტექნიკას.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების მხოლოდ მცირე ნაწილს. **ნამუშევრის წარდგენა:** ასახელებს მხოლოდ ერთ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებასა თუ ხერხს.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** გააზრებულად იყენებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს **ნამუშევრის წარდგენა:**ნამუშევრის წარდგენისას, ასახელებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს.
პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	არ აქვს პირობა გააზრებული	არ აქვს პირობა გააზრებული

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

შემოხაზე ის გამოსახულება რომელიც გაკვეთილზე შენ მუშაობას შეესაბამება	

II თემატური მატრიცა

კლასი: I
თემატური ბლოკი: მე და გარე სამყარო
თემა: ჩვენს დედამიწაზე
საათების სავარაუდო რაოდენობა: 9 სთ.

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- დედამიწა მრავალფეროვანია, განსხვავებულია დღისით და ღამით, წელიწადის სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ამინდში;
- ირგვლივ მთები, ზღვები, მცენარეები, მინდვრებია და ბუნების ამ მრავალფეროვნების ნამუშევრებში გადმოცემა სხვადასხვა ტიპის ხაზით, ფორმით და ფერით არის შესაძლებელი.

1. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)**
   ქვეცნებები:
   - **ხაზი** – სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი
   - **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული
   - **ფერი** – ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი
2. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4)**
   ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია, მოზაიკა, ანაბეჭდი, კონსტრუირება.
3. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – (შედეგი 1,2,3,4)**
   ქვეცნება: მხატვრობა
4. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – (შედეგი: 1,2,3,4)**
   ქვეცნებები: პეიზაჟი, ნატურმორტი

საკითხი: ბუნების მოვლენებისა და გარემოს ასახვა
საკვანძო შეკითხვები

- როგორ გამოვსახო დედამიწის მრავალფეროვნება, დღისა და ღამის განსხვავება, წელიწადის სხვადასხვა დრო, ამინდი სხვადასხვა ტიპის ხაზის, ფორმის, მასალისა თუ ტექნიკის გამოყენებით?
- როგორ გადმოვცე გარემო-მთები, ზღვები,მცენარეები, მინდვრები ხაზით, ფორმით, ფერით, სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით?

კომპლექსური დავალების პირობა:

შექმენი მობილი. გამოიყენე მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული ფორმები (ღრუბელი, ფოთოლი და სხვ.) და აპლიკაციის ტექნიკის საშუალებით ასახე: წელიწადის სხვადასხვა დრო, დღე და ღამე, ბუნების მოვლენები (ქარი, წვიმა, ელვა და სხვ.).

საგანთაშორისი კავშირები:

ბუნების გაკვეთილებზე მოსწავლეები ეცნობიან ბუნების მოვლენებს, გარემოს. ხელოვნების გაკვეთილებზე ისინი შეძლებენ ან ინფორმაციის სხვა კუთხით დანახვას, შემოქმედებითად გააზრებას და ცოდნის ტრანსფერს; ერთ დისციპლინაში მიღებული ცოდნის სხვა დისციპლინასთან დაკავშირებას, ცოდნის გამთლიანებას. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ სამყაროს კანონზომიერებათა და ბუნების მოვლენათა შემოქმედებით პრიზმაში დანახვას, გააზრებასა და ასახვას.

განსახილველი ქეისი კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:

ჯადოსნური ოთახი

მარიამს და გიგას ძალიან უყვარდათ ბებოსთან სტუმრობა. მისი ძველი სახლი ქალაქის განაპირას რომ იდგა სიძველის სურნელით იყო სავსე: სიარულისას იატაკი ჭრიალებდა, დიდი დარაბები ხმაურით იხურებოდა, ძველი ბუხარი კი, ცეცხლს რომ დაანთებდნენ, საამურად გუგუნებდა. დიდი ოთახის ერთ კედელთან უზარმაზარი ჩუქურთმებით მორთული ძველებური კარადა იდგა, რომელშიც დამალობანას თამაშისას ბავშვები ხშირად ძვრებოდნენ ხოლმე. ერთხელაც, როცა გიგა კარადაში შეძვრა, ისე მიენარცხა კარადის კედელს, რომ ერთი ფიცარი ჩამოვარდა და მან გაჩენილი ღიობიდან დიდი ოთახი დაინახა, რომელიც მანამდე იქ სულაც არ ეგულებოდა.

– მარიამ, მოდი, ნახე რა ვიპოვე! – დაუძახა გიგამ დას.

გაოგნებული ბავშვები შევიდნენ ოთახში, რომელიც სრულიად ცარიელი იყო და ოთახის ოთხივე კედელზე 4 დაკეტილი კარი დაინახეს.

– ნეტავ რა არის ამ კარის უკან? – იკითხა მარიამმა.

– მოდი ვნახოთ! – შესთავაზა დას გიგამ.

ბავშვები ერთ კართან მივიდნენ, გააღეს და მათ თვალწინ საოცარი სანახაობა გადაიშალა. მინდორი ახლადამოსულ ბალახს დაეფარა, ალაგ–ალაგ ულამაზესი ყვავილები ამოსულიყო, აყვავებული ხეები ვარდისფრად და თეთრად გადაპენტილიყო, მზე ანათებდა, თბილოდა და ჰაერში ყვავილების საოცარი სურნელი ტრიალებდა.

– ეს ხომ გაზაფხულია! – წამოიძახა გიგამ

რა ლამაზი სანახაობაა – აღფრთოვანდა მარიამი.

ცოტა ხნის შემდეგ ბავშვებმა მეორე კარი შეაღეს. აქ მდელოები და მთები მწვანედ ხასხასებდა, ლურჯ ზღვას ოქროსფერი ჩახჩახა მზე დაჰყურებდა ზემოდან, ცხელოდა.

– მგონი ზაფხულში მოვხვდით – თქვა გიგამ.

ამასობაში მოსაღამოვდა, მზე ჩავიდა და მთვარეც გამოჩნდა. ნელ–ნელა მძიმე შავი ღრუბლები შეიყარა ცაზე. უცბად ელვამ გასერა ცა და ისეთი დაიგრუხუნა, რომ შეშინებული ბავშვები უკან გამოიქცნენ და კარი კარგად დახურეს.

და ძმა კი იყო ცოტა შეშინებული, მაგრამ მაინც ვერ მოისვენეს და მესამე კარიც შეაღეს. აქ კი ყველაფერი ოქროსფრად ღვიოდა, ხეებს ფოთლები გაყვითლებოდა. ვაზს

ყურძნის მწიფე ოქროსფერი მტევნები ესხა, ატმის ხეების ტოტები ნაყოფის სიმძიმისაგან დაბლა დაშვებულიყო.

– ჰა,ჰა, ახლა შემოდგომაში შევაბიჯეთ – იცინოდა მარიამი.

უცბად ქარი ამოვარდა, ხეებს ყვითელი ფოთლები მოსტაცა, ჰაერში აიფრიალა, დაატრიალა, ცაზე საავდრო ღრუბლები გადმოყარა და გაწვიმდა. ბავშვებმა კარისაკენ მოკურცხლეს და ახლა მეოთხე კარს მიადგნენ. როგორც კი შეაღეს კარი იქიდან ისეთი სუსხი შემოვარდა, იმწამს მიხვდნენ, რომ ზამთარში ამოყვეს თავი. და მართლაც, მათ თვალწინ ღამის თოვლიანი გარემო გადაშლილიყო, ფიფქები ტრიალით ცვიოდა ციდან, ბარდნიდა და ბარდნიდა. ნელ–ნელა ინათა, თოვა შეწყდა და ზამთრის მცხრალმა მზემ გამოანათა.

– მგონი დროა, დავბრუნდეთ – უთხრა მარიამმა ძმას და ისინი ჯერ ჯადოსნურ ოთახში, შემდეგ კი ისევ კარადაში დაბრუნდნენ, ფიცარი თავის ადგილას მიამაგრეს და ისევ ბებოს დიდ ოთახში აღმოჩნდნენ.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)** ნაშრ ომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) • სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** • ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; • სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელ**ი.** **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** • ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	• როგორი ხაზები, ფორმები და ფერები გამოიყენე ბუნებრივი მოვლენებისა და გარემოს ასასხად? • რომელი მასალა და ტექნიკა შეარჩიე დედამიწის მრავალფეროვნების - დღის, ღამის, წელიწადის დროების, ამინდის, მთების, მინდვრებისა თუ მცენარეების გადმოსაცემად?

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსები:

https://www.youtube.com/watch?v=CXKj7bm4Ops

https://www.youtube.com/watch?v=XLQEmPWf2n0

https://www.youtube.com/watch?v=5EasYLEyBiU

https://www.youtube.com/watch?v=ZQPw11iDDp0

https://www.youtube.com/watch?v=dwm4jU0Rt58&t=143s

https://www.youtube.com/watch?v=YHMC6bW9G3Y

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები

- როგორ ავსახო განსხვავება დღესა და ღამეს და ასევე წელიწადის დროებს შორის?
- როგორ დავხატო ბუნების მოვლენები?
- როგორ ავსახო ბუნებაში არსებული სხვადასხვა ფორმები ნამუშევარში?
- როგორი ხაზები, ფერები და ფორმები გამოვიყენო გარემოს დასახატად (მთა, ზღვა, მცენარეები და სხვ).

კომპლექსური დავალების არსი:

კომპლექსური დავალების არსია, მოსწავლე დააკვირდეს დედამიწის მრავალფეროვნებას, გარემოს მის გარშემო, დღისა და ღამის, წელიწადის დროების მონაცვლეობას, ბუნების მოვლენებს (წვიმა, ქარი, ელვა), გარემოს (ზღვა, მთები, მცენარეები და სხვ.). დაინახოს როგორი ხაზების, ფორმებისა და ფერების გამოყენებით არის შესაძლებელი ამ მრავალფეროვნების ასახვა; შეძლოს მხატვრების ნამუშევრებში ხაზების, ფორმებისა და ფერების ამოცნობა. თავად შექმნას მრავალფეროვანი გარემოსა და ბუნებრივი მოვლენების ამსახველი ნამუშევრები და შექმნას მარტივი მოწყობილიბა მობილი, გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის ხაზი, მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული ფორმები, ფერები, ხატვისა და აპლიკაციის ტექნიკა.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1.

1. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4) ქვეცნებები:**

- **ხაზი** –სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, დიაგონალური;
- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია, ანაბეჭდი, მოზაიკა, კონსტრუირება;

3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ხელოვნების დარგები (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნება: მხატვრობა.

4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ხელოვნების ჟანრები (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნებება: პეიზაჟი.

რესურსები:

https://www.youtube.com/watch?v=CXKj7bm4Ops

https://www.youtube.com/watch?v=XLQEmPWf2n0

1

<u>გაკვ. 7. დღე და ღამე</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ და დაახასიათონ დღე. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს: ჩამომითვალეთ, რას აკეთებთ დღის განმავლობაში, რომელი ფერებით დაახასიათებდი დღეს?

მოსწავლის აქტივობა: სავარაუდოდ, მოსწავლეები აღწერენ საკუთარ საქმიანობას დღის განმავლობაში. დღისით მზე ანათებს, სინათლეა, ირგვლივ ღია ფერებია.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს, დაახასიათონ ღამე. მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს კითხვებით: რა ფერისაა ღამე, ჩამომითვალეთ, რას აკეთებთ საღამოს? ღამე?

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები აღწერენ და ახასიათებენ ღამეს, ყვებიან როგორ ატარებენ საღამოს, ამბობენ, რომ ღამე სძინავთ, გარეთ ბნელა და ამიტომ ღამეს მუქ ფერებში აღწერენ.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი აჯამებს აქტივობას და ესაუბრება იმის შესახებ, რომ მხატვრები ხშირად გამოსახავენ დღეს და ღამეს. იგი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მოსწავლის წიგნში წარმოდგენილ მხატვრების ნამუშევრებს და ისაუბრონ მათ შესახებ, როგორ ხატავენ დღეს და ღამეს მხატვრები. რომელი ნამუშევარი მოსწონთ და რატომ.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები ათვალიერებენ მოსწავლის სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნამუშევრებს, გამოთქვამენ საკუთარ აზრს და გამოხატავენ დამოკიდებულებას მათ მიმართ, რომელი მოსწონთ და რატომ. შესაძლებელია, მასწავლებელმა გამოიყენოს სახელმძღვანელოში მითითებული ბმულები და პროექტორის საშუალებით აჩვენოს მოსწავლეებს მასალა დღისა და ღამის შესახებ.

პრაქტიკული სამუშაო

დავალების პირობა:

ფურცლის ერთ ნახევარზე დახატე საკუთარი სახლი დღისით, მეორეზე კი _ ღამით; მზის, მთვარის, ვარსკვლავების, სახლის, ფანჯრების, სახურავის დასახატად გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზები და მარტივი გეომეტრიული ფორმები; შეარჩიე შესაბამისი ღია და მუქი ფერები.

მუშაობის დაწყებამდე, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ გაითვალისწინონ:

- ფურცელი იყოფა ორ ნაწილად, ერთ მხარეს დღე იხატება, მეორე მხარეს – ღამე;
- გამოიყენონ სხვადასხვა ტიპის ხაზი და მარტივი გეომეტრიული ფორმები (მაგ., მზის, მთვარის, ვარსკვლავების, სახლების, ფანჯრების, სახურავის, ხეების და სხვ.) გამოსახულებების დასახატად;
- შეარჩიონ ღია ან მუქი ფერები დღისა და ღამის შესამნელად;
- მოსწავლე სახლის ზომას, ფორმას შეარჩევს იმის მიხედვით, თუ სად ცხოვრობს - დიდ ქალაქში, სოფელში თუ დაბაში;
- შეარჩიეთ მასალა და ტექნიკა. ფერადი ფანქრებით, ფლომასტერებით, პასტელით თუ გუაშის საღებავებით შექმენით ნამუშევარს.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები ქმნიან ნამუშევარს, იყენებენ სხვადასხვა ტიპის ხაზს, მარტივ გეომეტრიულ ფორმებს ხეების, სახლების, მზის, მთვარისა თუ ვარსკვლავების დასახატად. დღესა და ღამეს გამოსახავენ შესაბამისი ღია ან მუქი ფერებით. სამუშაოს დასრულების შემდეგ კლასში გამოფენენ საკუთარ ნამუშევრებს.

ისინი საუბრობენ საკუთარი ნამუშევრების შესახებ, როგორი ხაზები, როგორი ფორმები და ფერები გამოიყენეს ნამუშევრის შექმნისას; რა მასალით და ტექნიკითაა შექმნილი მათი ნამუშევარი. შესაძლებელია, რომელიმე მოსწავლეს აზრის გამოთქმა მოუნდეს თანაკლასელთა ნამუშევრების შესახებ, მასწავლებელმა მათ ამის საშუალება უნდა მისცეს.

<u>გაკვ. 8. როგორი ამინდია?</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს შეკითხვებით:

- როგორი ამინდი გიყვართ?
- წელიწადის რომელ დროს წვიმს უფრო ხშირად?
- როდის იცის ხოლმე ჭექა-ქუხილი? ქარი?
- მოხვედრილხართ წვიმაში? ქარში?
- შესწრებიხართ ჭექა-ქუხილს?

მოსწავლის აქტივობა: სავარაუდოდ, მოსწავლეთა პასუხები განსხვავებული იქნება. ისინი ისაუბრებენ საკუთარ გამოცდილებაზე.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სვამს შეკითხვას:

- როდესაც წვიმს, ქარია, ცა გრუხუნებს, რა ქვია ასეთ ამინდს?

შენიშვნა: შესაძლოა, მოსწავლეებმა არ იცოდნენ, რომ ამგვარ ამინდს „ავდარს“ უწოდებენ. ასეთ სემთხვევაში მასწავლებელი თავად აცნობს მოსწავლეებს ამ სიტყვას და მოსწავლეებს უკითხავს ლექსს ავდრის შესახებ, რომელიც მოსწავლის სახელმძღვანელოშია მოცემული (მასწავლებელს თავადაც შეუძლია შეარჩიოს შესაბამისი ლექსი).

მასწავლებლის აქტივობა:

შეკითხვა:

- გინახავთ როგორი ფორმები ისახება გუბის ზედაპირზე, როდესაც მასში წვიმის წვეთები ეცემა? (წყლის ზედაპირზე ჩნდება წრეები, რომლებიც ნელ-ნელა ქრება).
- როგორი ხაზებით შეიძლება ამ ფორმის გამოსახვა ნამუშევრში? (სპირალური ან წრიული ხაზებით)
- დააკვირდით და აღწერეთ ეს ხაზები თქვენი თანატოლების მიერ შექმნილ ნამუშევრებზე, რომლებიც სახელმძღვანელოშია მოცემული.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს და აღწერენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ მათი თანატოლების ნამუშევრებს.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მოსწავლის სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნამუშევრებს; აღწერონ, როგორი ამინდია მათზე ასახული და ყურადღება გაამახვილონ იმაზე, თუ როგორ იყენებენ მხატვრები სხვადასხვაგვარ ხაზს, ფორმას თუ ფერს ამა უ იმ ამინდის გამოსახვისას.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები აღწერენ წარმოდგენილ ნამუშევრებს. ისინი ყურადღებას აფიქსირებენ ძლიერი ქარისგან ერთ მხარეს გადახრილ ხეებზე, გაშლილ ქოლგებზე, რომლებსაც ქუჩაში მიმავალი ადამიანები აფარებენ თავს, ხოლო მათი სილუეტები წვიმით დასველებული ასფალტის ლაპლაპა ზედაპირზე აირეკლება. წვიმას ნამუშევრის ავტორები ხშირი წყვეტილი ხაზებით (შტრიხებით) გამოსახავენ, ხოლო ელვას მუქი ცის ფონზე მანათობელი ზიგზაგისებური ხაზებით გადმოსცემენ.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეებს წარმოდგენილი ნამუშევრების აღწერასა და დახასიათების დროს, რათა მოსწავლეებმა კარგად გააცნობიერონ, როგორ იყენებენ მხატვრები სხვადასხვა ტიპის ხაზს ან ღია და მუქ ფერებს ბუნების სხვადასხვა მოვლენის გამოსასახად.

პრაქტიკული სამუშაო

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, პრაქტიკულ სამუშაოს:

1

დავალების პირობა:

ხატვისა და აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით შექმენი ნამუშევარი `ავდარი~ (ქარი, ელვა, წვიმა). ამისათვის შეარჩიე სხვადასხვა ტიპის ხაზები, ფორმები, ფერები. ფერადი ქოლგებისა და ადამიანების გამოსახულებები შეგიძლია ცალკე ფურცელზე დახატო, გამოჭრა და დააწებო წინასწარ მომზადებულ ფონზე (ფერად ან შენ მიერ გაფერადებულ ფურცელზე). ადამიანის გამოსახულებისათვის შეგიძლია მარტივი კონსტრუქციის გამოყენება. ბოლო ეტაპზე დახატე წვიმა. გადმოეცი შესაბამისი განწყობილება.

მუშაობის დაწყებამდე,მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ გაითვალისწინონ:

- საკუთარი ჩანაფიქრის შესაბამისად დახატონ გამოსახულებები სხვადასხვა ტიპის ხაზის, ფორმისა და ფერის გამოყენებით თეთრ ან ფერად ფურცელზე (ცისფერი, ნაცრისფერი); მათ შეუძლიათ ადამიანების გამოსახულებები თავდაპირველად მოხაზონ ფერად ფურცლებზე, ხოლო შემდეგ ამოჭრან და დააწებონ. ამავე ხერხით შესაძლებელია ქოლგების მოხაზვა, ამოჭრა, დაწებება და სხვადასხვა ტიპის ხაზით მათი მორთვა.
- ადამიანის გამოსახულების შესაქმნელად, შესაძლებელია მარტივი კონსტრუქციის გამოყენებაც. მაგ., სახის დასახატად მოსწავლეებს შეუძლიათ ოვალური ან მრგვალი ფორმის დახატვა, გამოჭრა და შემდეგ სამზარეულოს პირსახოცის შიდა კინსტრუქცაზე - რულონზე მისი დაწებება. ფერადი სახატავი მასალით შეიძლება ამ გეომეტრიული ფორმების გაფერადება ან აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით რულონის ზედაპირზე ტანსაცმლის დაწებება.
- ნამუშევრის შესრულების ბოლო ეტაპზე მოსწავლეებს შეუძლიათ ვერტიკალური სწორი, წყვეტილი ხაზების გამოყებით წვიმის დახატვა.
- ასევე მოსწავლეებს შეუძლიათ მარტივი კომპიუტერული სახატავი პროგრამით paint (https://apps.microsoft.com/store/detail/paint/9PCFS5B6T72H) შექმნან ნამუშევარი. (ამგვარი ნამუშევრის ნიმუში სახელმძღვანელოშია წარმოდგენილი გვ.31 – ნაცრისფერი სახლი ელვით).

შენიშვნა: კომპიუტერული პროგრამით ხატვა ციფრული ტექნოლოგიების მასწავ-ლებელთან ერთად უნდა განხორციელდეს.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები თავად არჩევენ მასალასა და ტექნიკას ნამუშევრის შესაქმნელადა და ამინდის შესაფერი განწყობილების გადმოსაცემად.

დავალების დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე და საუბრობენ, როგორი ამინდი დახატეს და რატომ; როგორი განწყობილების გადმოცემა სურდათ და როგორი ხაზები გამოიყენეს ამისათვის.

<u>გაკვ. 9. მოგზაურობა ზღვაზე</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მოსწავლის სახელმძღვანელოში წარმოდგენილ სურათებს და ისაუბრონ მათ შესახებ, როგორი ხაზები აქვთ გამოყენებული მხატვრებს ზღვის დასახტად? როგორი ფორმები აქვთ გამოყენებული მხატვრებს გემების, ნავების დასახატად? როგორ ფერებს იყენებენ მხატვრები ზღვისა თუ ნავის/გემის იალქნების, ცის დასახატად? მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს აღწერონ, რა დაამახსოვრდათ ზღვაზე ყოფნისას ყველაზე კარგად, როგორი ფერები თუ ფორმები იყო იქ და სხვ.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებს, აღწერენ წარმოდგენილ ნამუშევრებს, საუბრობენ, რომ მხატვრები ტალღოვანი ფორმის ან წყვეტილ ფერად

ხაზებს იყენებენ ზღვის ტალღების გამოსასახად. ნახევარწრიულ და სამკუთხა ფორმებს კი ნავებისა და მათი იალქნებისათვის იყენებენ. ამ აქტივობის შესრულების დროს, სასურველია, მოსწავლეებმა ერთმანეთს გაუზიარონ პირადი გამოცდილება, მაგ., მოუყვნენ, რა ფერის არის ზღვა, როდესაც ის არ ღელავს, ან როგორი ფორმა აქვს ზღვის აბობოქრებულ ტალღებს.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს თამაშს. მოსწავლეებმა ხელების მოძრაობით უნდა განასახიერონ ჯერ მშვიდი, მოლივლივე, ხოლო შემდეგ მღელვარე ზღვა აქოჩრილი ტალღებით.

თამაშის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს პრაქტიკული სამუშაოს შესრულებას.

დავალების პირობა:

შექმენი ზღვის ხედი (პეიზაჟი იალქნიანი ნავით). გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზი და ფორმა. გუაშის საღებავისა და ღრუბლის გამოყენებით შექმენი ტალღებისა და ღრუბლების გამოსახულებები. იალქნიანი ნავების შესაქმნელად გამოიყენე აპლიკაციის ტექნიკა.

სამუშაოს დაწყებამდე, მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ:

- ისინი მასალას თავად ირჩევენ. მათ შეუძლიათ ფერადი ფანქრების, პასტელისა თუ ფლომასტერის გამოყენებით უნდადახატონ ზღვის ხედი (პეიზაჟი);
- მათ შეუძლიათ გამოიყენონ გუაშის საღებავები, ფუნჯებისა და ღრუბლის გამოყენებით შექმნან ტალღებისა თუ ღრუბლების გამოსახულებები;
- იალქნიანი ნავების/გემების შესაქმნელად მათ შეუძლიათ აპლიკაციის ტექნიკის გამოყენება.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები ქმნიან ზღვის პეიზაჟს იალქნიანი ნავებით. ისინი ხატავენ ფანქრებით და საღებავებით, ასევე იყენებენ აპლიკაციის ტექნიკას. ღრუბლისა და გუაშის საღებავის გამოყენებით ქმნიან ტალღების გამოსახულებებს. დავალების დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევარს კლასის წინაშე და საუბრობენ როგორი ხაზები, ფორმები, ფერები, მასალა და ტექნიკა გამოიყენეს ნამუშევრის შექმნისას.

<u>გაკვ. 10. მთები</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მოსწავლის სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნიმუშებს.

რეკომენდაცია: მასწავლებელმა შესაძლებელია შესთავაზოს სხვა ვიზუალური მასალაც.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები საუბრობენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნიმუშებზე, ასახელებენ, რა არის ასახული, დ. კაკაბაძის როგორი ფორმები, ფერებია გამოყენებული; მოსწავლეები აღნიშნავენ, მოსწონთ თუ არ მოსწონთ რასაც ხედავენ და რატომ. დავით კაკაბაძის ნამუშევარზე საუბრისას მოსწავლეები სავარაუდოდ, აღნიშნავენ, რომ მხატვარმა მთიანი პეიზაჟის დახატვისას თითქოს ფერადი ფურცლების ნაკუწები გამოიყენა, რითიც მისი სურათი ქაღალდის ნაჭრებით შექმნილ ნამუშევარს ჰგავს.

შენიშვნა: თუ მოსწავლეები არ აღნიშნავენ ამ მსგავსებას, მაშინ მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მათ და დამაზუსტებელი კითხვებით მიიყვანოს ისინი ამ პასუხამდე.

1

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ახლა იმ ნამუშევრებს დააკვირდნენ, რომლებიც მათი თანატოლების მიერ სწორედ ქაღალდის ფერადი ნაჭრებით არის შექმნილი და წარმოდგენილი მოსწავლის სახელმძღვანელოში. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, თავად შემნან მთის/მთების გამოსახულება/ გამოსახულებები აპლიკაცია-მოზაიკის ტექნიკით.

დავალების პირობა: გეომეტრიული ფორმებისა და აპლიკაცია-მოზაიკის ტექნიკის გამოყენებით, ფერადი ქაღალდის ნაკუწებისაგან შექმენი ერთი ან რამდენიმე მთის გამოსახულება. შესაძლებელია, მთა ჭრელი იყოს ან სხვადასხვა ფერის ზოლებისაგან შედგებოდეს.

სამუშაოს დაწყებამდე, მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ:

- მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ყურადღება მიაქციონ სხვადასხვა მიდგომას – მთა შეიძლება ჭრელი იყოს, შეიძლება, ერთი ფერის ან სხვადასხვა ფერის ზოლებისაგან შედგებოდეს;
- თითოეული მოსწავლე თავად წყვეტს, როგორი ფერის უნდა იყოს მის მიერ შესრულებული გამოსახულება. შეუძლია გამოსახოს არა მარტო ძირითადი გამოსახულება – მთა, არამედ, მაგ., მზე ან მთვარე, ღრუბლები და სხვ.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები პატარა ნაკუწებად ხევენ ფერად ქაღალდებს და ამზადებენ სამუშაო რესურსს.

მოსწავლეები ასრულებენ პრაქტიკულ სამუშაოს, ცდილობენ ფაქიზად დააწებონ ფერადი ნაკუწები ფორმატზე.

დასრულებული ნამუშევრის პრეზენტაციისას, მოსწავლეები საუბრობენ თუ როგორი მიდგომით შექმნეს ნამუშევარი და როგორი მთა გამოსახეს ნამუშევარზე: ერთი ფერის, ჭრელი, ზოლიანი და სხვ.

<u>გაკვ. 11. წელიწადის ოთხი დრო</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნიმუშებს, სადაც წელიწადის ოთხი დროა გამოსახული.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები რიგრიგობით ასახელებენ მხატვრების ნამუშევრებზე, რომელი დროა გამოსახული და ასაბუთებენ, რის მიხედვით აკეთებენ ასეთ დასკვნას (მაგ., ასახელებენ თოვლს, ფერებს, რომლებიც შემოდგომისთვისაა დამახასიათებელი და ა.შ.)

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სვამს შეკითხებს: რითი ხატავთ თქვენ? რითი ხატავენ მხატვრები? სავარაუდოდ, მოსწავლეები დაასახელებენ ფანქრებს, საღებავებს და საღებავებთან ერთად აუცილებლად დაასახელებენ ფუნჯს. ამის შემდეგ მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ფუნჯის ჩანაცვლება სხვადახვა ნივთით შეიძლება, მაგ., გაჭრილი კარტოფილით, ძაფის კოჭით, სარეცხის სარჭზე მიმაგრებული ღრუბლით და ა.შ. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს , დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნიმუშებს და აღწერონ ის საგნები, რომლითაც ამ ფოტოებზე მოცემული გამოსახულებებია შექმნილი.

რეკომენდაცია: კარგი იქნება მასწავლებელმა აჩვენოს მოსწავლეებს სხვადასხვა საგანი, რომლითიც შესაძლებელია ანაბეჭდის შესრულება: მაგ ფანქარი, რომლის წვერზე წამოცმულია ღრუბლის პატარა ნაჭერი, გაჭრილი ლიმონი ან კარტოფილი, სალათის ფურცელი და სხვ.

შემდეგ მასწავლებელი აჯამებს ინფორმაციას ანაბეჭდის ტექნიკის შესახებ და საუბრობს, რომ როგორც მოსწავლეებმა დაინახეს, ანაბეჭდის გაკეთება შესაძლებელია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური რესურსის გამოყენებით. მასწავლებელი მოსწავლეებს ყურადღებას ამახვილებინებს სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნიმუშებზე. სასურველია, მასწავლებელმა თავად აჩვენოს მოსწავლეებს, თუ როგორ იქმნება ანაბეჭდი ან აჩვენოს შესაბამისი ვიდეორესურსი. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, თავად შექმნან წელიწადის ოთხი დრო ანაბეჭდის ტექნიკით და წელიწადის თითოეულ დროს შესაბამისი ფერი შეუსაბამონ. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ფურცელზე მათ უნდა ასახონ ბუნების ხედი წელიწადის სხვადასხვა დროს. ხეების შესაქმნელად მათ უნდა გამოიყენონ ნებისმიერი მცენარე ან ფოთოლი (მაგ., ჩვეულებრივი სალათის ფოთოლი).

პრაქტიკული სამუშაო

დავალების პირობა: ანაბეჭდის ტექნიკის გამოყენებით შექმენი ნამუშევარი „წელიწადის ოთხი დრო“. შეარჩიე წელიწადის თითოეული დროისათვის დამახასიათებელი ფერი და ცალკე ფურცლებზე ასახე ბუნების ხედები წელიწადის სხვადასხვა დროს. ანაბეჭდის მისაღებად გამოიყენე ნებისმიერი მცენარე, ფოთლები და გუაშის საღებავები.

სამუშაოს დაწყებამდე, მოსწავლეებმა უნდა გაითვალისწინონ:

- მოსწავლეებს მერხზე მომზადებული უნდა ჰქონდეთ ოთხი ფურცელი, უბრალო ფანქარი, გუაშის საღებავები და წყლის ჭურჭელი. ასევე, უნდა ჰქონდეთ ხელსაწმენდები;
- მასწავლებლის რჩევით, მოსწავლეებმა ფურცელზე უნდა გაავლონ ხაზი, რომელიც გამოყოფს ცას და მიწას ერთმანეთისაგან და რომელზეც ხეების შესაქმნელად ისინი მოათავსებენ საღებავიან ფოთლებსა თუ ნებისმიერ სხვა მცენარეს;
- საღებავიანი ფოთლები/მცენარე უნდა განათავსონ ფურცელზე, დაადონ ფურცელი ისე რომ ანაბეჭდი გამოვიდეს. შემდეგ ფრთხილად ააცალონ ფოთოლი/მცენარე მიღებულ ზედაპირიდან;
- ასეთი ტექნიკის გამოყენებით და შესაბამისი ფერით უნდა შეიქმნას ოთხი ანაბეჭდი – წელიწადის ოთხი დრო.

საღებავის შეშრობის შემდეგ, მოსწავლეებს შეუძლიათ, ნებისმიერი მასალით დაასრულონ ნამუშევარი, მაგ., პასტელის, გუაშის საღებავით ან ფერადი ფანქრებით.

მოსწავლის აქტივობა: თითოეული მოსწავლე ქმნის წელიწადის ოთხივე დროს ანაბეჭდის ტექნიკით. ანაბეჭდი შეიძლება გაკეთდეს ნებისმიერი მცენარით: ფოთლებით, ბალახით და ა.შ. (რესურსი წინასწარ უნდა იყოს მომარაგებული). მთავარია მოსწავლეებმა სწორად შეარჩიონ წელიწადის ამა თუ იმ დროისათვის დამახასიათებელი ფერი. მოსწავლეები ქმნიან ანაბეჭდებს და წარადგენენ მათ, საუბრობენ საკუთარ ნამუშევრებზე, გამოყენებულ მასალასა და ტექნიკაზე.

ნაბიჯი 2

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი** – სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი;
- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია, კონსტრუირება.

1 **3. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების დარგები (შედეგი 1,2. 3,4)**

ქვეცნება: მხატვრობა.

4. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების ჟანრები. (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნებები: პეიზაჟი, ნატიურმორტი.

<u>გაკვ.12 ხეების სამყარო</u>

მასწავლებლის აქტივობა. მასწავლებელი აქტივობას იწყებს შეკითხვებით:

- როგორი ხედის (მთები, ხეები, ყვავილები, მდინარე) დანახვა შეიძლება შენი სახლის ფანჯრიდან/აივნიდან? (თუ სკოლის ფანჯრიდან შესაძლებელია რაიმე ხედისა დანახვა, მასწავლებელიამ შეკითხვასაც სვამს).
- ყოფილხართ თუ არა ტყეში? მინდორში? მდინარეზე? როგორი მთები გინახავთ? როგორი ფორმის ხეები გინახავთ?
- თუ ამძვრალხართ ხეზე? რომელი ხეებია მოსახერხებელი ასაძრომად? მოგვიყევით სახალისო ამბები ამასთან დაკავშირებით.

მოსწავლის აქტივობა: სავარაუდოდ, მოსწავლეები საუბრობენ, თუ როგორი ხედი იშლება მათი სახლის ფანჯრიდან, როგორი მთები როგორი ფორმის ხეები უნახავთ. საუბრობენ საკუთარ გამოცდილებაზე, თავს გადახდენილ ამბებზე და გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, როგორ ხეზე უფრო ადვილია ასვლა.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთცხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ხეებს.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები აკვირდებიან სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნიმუშებს, ასახელებენ კონკრეტული ხეების ფორმებს, გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას. საუბრობენ, რომელი ხე მოსწონთ და რატომ. შეარჩევენ იმ ფორმის ხეებს, რომლებზეც, მათი აზრით, ასვლა იოლია.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი მეტი თვალსაჩინოებისათვის იყენებს ასეთ მიდგომას: დაფაზე ხატავს წრეს, სამკუთხედს, ოთხკუთხედს. იგი სთხოვს მოსწავლეებს, რომ ყურადღებით დააკვირდნენ დაფაზე გამოსახულ გეომეტრიულ ფორმებს. მასწავლებელი გეომეტრიულ ფორმებს ხის ტანს მიუხატავს (სწორი ხაზი, მრუდე ხაზი) და ხედ გადააქცევს. მასწავლებელი აჯამებს აქტივობას და ეუბნება მათ, რომ სამყაროში ყველაფერს თავისი ფორმა აქვს და, როგორც მათ დაინახეს, ხეების მრავალფეროვან ფორმებში გეომეტრიული ფორმების ამოცნობაცაა შესაძლებელი და გეომეტრიული ფორმების ხეებად გადაქცევაც.

მასწავლებელი ასევე ესაუბრება მოსწავლეებს, დედამიწის მწვანე საფარის - ტყეების მნიშვნელობაზე, რომ ხეების სიმრავლეზეა დამოკიდებული ადამიანისათვის აუცილებელი ჰაერის (ჟანგბადის) არსებობა დედამიწაზე. ხის გაზრდას წლები სჭირდება, ამიტომ ადამიანმა მუდმივად უნდა იზრუნოს ტყეებზე, დარგოს ხეები, მოუაროს და დაიცვას ისინი განადგურებისაგან.

მასწავლებელი დავალებას აძლევს მოსწავლეებს, მათ ევალებათ სხვადასხვა ტიპის ხაზის, მარტივი გეომეტრიული ფორმების გამოყენებით დახატონ სხვადასხვა ფორმის ხეები და და შესაბამისი ფერებით გააფერადონ ისინი.

დავალების პირობა:

სხვადასხვა ტიპის ხაზებითა და მარტივი გეომეტრიული ფორმების გამოყენებით დახატე სხვადასხვა ფორმის ხეები; თავად შეარჩიე სახატავი მასალა და ტექნიკა. შესრულებული ნამუშევრები ისე განათავსე საკლასო ოთახის კედელზე, რომ მიიღო

კლასის `მწვანე კედელი - „ჩვენი ტყე“.

პრაქტიკული სამუშაო

მოსწავლის აქტივობა: მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა გამოიყენონ სხვადასხვა ტიპის ხაზი, შეარჩიონ სხვადასხვა გეომეტრიული ფორმები - სამკუთხედი, მართკუთხედი, წრე და სხვა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გარემოზე დაკვირვებით აღმოაჩინონ მრავალფეროვანი ფორმები, ხაზები თუ ფერები და ასახონ ისინი საკუთარ ნამუშევრებში. ასევე, მიზანმიმართულად შეარჩიონ შესაბამისი ტენიკა თუ მასალა. მოსწავლეები ირჩევენ მასალას, რომლითაც ასრულებენ ამ დავალებას. სამუშაოს შესრულების შემდეგ მოსწავლეები კედელზე აკრავენ თავიანთ ნახატებს გვერდიგვერდ ისე, რომ მიიღონ კლასის საერთო ტყე.

<u>გაკვ.13 ხილის ბაღები</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს შეკითხვებით:

- თუ გინახავთ ვაშლის ხეები, რომელთა ტოტები ნაყოფის სწიმძიმისგან გაღუნულია და ქვემოთ, მიწისკენ მიიწევს?
- კიდევ რომელი ხილის ბაღების შესახებ გსმენიათ რამე, ან გინახავთ?

მოსწავლის აქტივობა: სავარაუდოდ, მოსწავლეების პასუხები განსხვავებული იქნება. ზოგს ექნება ნანახი ვაშლის ხე ბაღში, ზოგს მსხმოიარე ბაღები ტელევიზიით ან წიგნის ილუსტრაციაში ექნება ნანახი. მოსწავლეები ასახელებენ მათთვის ნაცნობ ხეხილის ბაღებს. საუბრობენ თუ რომელი ხილი უფრო უყვართ.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ კლიმტის ნამუშევრებს სახლმძღვანელოში, რომლებზეც ვაშლის ბაღებია გამოსახული და ღწერონ ისინი.

- როგორ გამოსახავს კლიმტი ვაშლებს ხეებზე? (წითელი მრგვალი ფორმების მეშვეობით).
- რატომ იკვეთება ასე მკაფიოდ ეს წითელი ლაქები? (რადგან წითელი ძალზე კაშკაშა ფერია).

მოსწავლეების პასუხის შემდეგ მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ წითელი ე.წ. ძირითადი ფერია და თუ იციან მათ, კიდევ რომელი ძირითადი ფერები არსებობს? მოსწავლეების უმეტესობას ალბათ არ ეცოდინებათ ამ კითხვაზე პასუხი. მასწავლებელმა უნდა წარუდგინოს მათ თვალსაჩინოება (დაფის კიდეზე დააწყოს დიდ კვადრატული ან წრიული ფორმატები სამი ძირითადი ფერის – წითლის, ყვითლისა და ლურჯის გამოსახულებით. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ეს სამი ფერი ძირითად ფერებს წარმოადგენს.

- ჩამოთვალეთ რა არის ბუნებაში წითელი ფერის? (ვაშლი, მარწყვი, ყაყაჩო და ა.შ.)
- რა არის ბუნებაში ყვითელი ფერის? (მზე, ლიმონი და სხვ.)
- რა არის ბუნებაში ლურჯი ფერის? (ცა, მოცვი, ია და ა.შ.).

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, თუ რატომ ქვია ამ სამ ფერს ძირითადი ფერები. ესაა ფერები, რომლებსაც ჩვენ სხვა ფერების შერევით ვერ მივიღებთ. ეს სამი ფერი კი ერთმანეთთან შერევით სხვა ფერებს გვაძლევს, რასაც ისინი მომავალ გაკვეთილებზე თავად ნახავენ. ახლა კი ამ სამი ძირითადი ფერით დახატავენ ხილის ბაღებს.

მასწავლებელი დავალებას აძლევს მოსწავლეებს: ანაბეჭდის ტექნიკით უნდა დახატონ მათ მიერ შერჩეული ხეხილის – წითელი ვაშლის ან ყვითელი ლიმონისა ან

1 ლურჯი მოცვის – ბაღები. თითოეული მოსწავლე თავად გადაწყვეტს, თუ რომელ ბაღს დახატავს, რისთვისაც იყენებს წინასწარ მომზადებულ ღრუბელს და გუაშის საღებავებს (შესაძლებელია, მცირე ზომის ღრუბლის სარეცხის სარჭზე ან ფანქრზე დამაგრება ანაბეჭდის მისაღებად). მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ სხვადასხვა ტიპის ხაზი, მარტივი გეომეტრიული ფორმები და ძირითადი ფერები. აღსანიშნავია, რომ აქ სამ ძირითად ფერზე: წითელზე, ყვითელსა და ლურჯზე უნდა გამახვილდეს ყურადღება.

დავალების პირობა

სამი ძირითადი ფერისა (წითელი, ლურჯი და ყვითელი) და ანაბეჭდის ტექნიკის გამოყენებით შექმენი ხილის ბაღების ხედები.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები ანაბეჭდის ტექნიკით ქმნიან მათ მიერ შერჩეულ ბაღს. შესაძლებელია, ზოგიერთმა შექმნას 2 ან 3 სხვადასხვა ხილის ბაღი.

მოსწავლის აქტივობა: ნამუშევრების დასრულების შემდეგ, თითოეული მოსწავლე კლასის წინაშე წარადგენს საკუთარ ნამუშევარს და საუბრობს, როგორ შეასრულა დავალება, როგორი ტიპის ხაზი, ფორმები და რომელი ძირითადი ფერები გამოიყენა. ასევე, როგორ გამოიყენა ანაბეჭდის ტექნიკა, რატომ შეარჩია ესა თუ ის ბაღი დასახატად.

<u>გაკვ.14 რას მივირთმევთ</u>

მასწავლებლის აქტივობა: გაკვეთილი იწყება შეკითხვებით:

- ვის უყვარს ბოსტნეული?
- ჩამოთვალეთ, რომელი ბოსტნეული იცით?

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები ჩამოთვლიან მათ საყვარელ ბოსტნეულს. მოსწავლეთა პასუხები განსხვავებული იქნება.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ რომ მხატვრები ხშირად ასახავენ საკუთარ ნამუშევრებში ბოსტნეულს, ხილსა თუ სხვა უსულო ნივთებს. იგი სთხოვს, მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნიმუშებს. აქ ყველგან ბოსტნეულია გამოსახული.

- დააკვირდით და აღწერეთ, რომელ ბოსტნეულს ხედავთ სახელმძღვანელოში მოცემულ მხატვართა (ჯეიმს სტილის, ვინსენტ ვან გოგის, ჯოვანა გარცონის ნამუშევრებზე? (კომბოსტო, გოგზა, კიტრი, კარტოფილი, ნიორი და სხვ.).

ეს უსულო საგნებია. უსულო საგნებს (არა მარტო ბოსტნეულს) მხატვრები ხშირად გამოსახავენ თავიან ნამუშევრებში. ისინი ხატავენ ყვავილებს ლარნაკებში, ჭურჭელს, წიგნებს და სხვ. ასეთ ნამუშევრებს, რომლებზეც საგნებია გამოსახული, ნატურმორტი ეწოდება.

- რას ფიქრობთ, რატომ ხატავენ მხატვრები საგნებს? (მოსწონთ მათი ფერი, ფორმა, მათი სილამაზე)
- ჩამოთვალეთ აქ გამოსახულ ნატურმორტებზე ბოსტნეულის გამოსასახად რომელ ფერებს იყენებენ მხატვრები? (ნარინჯისფერი, მწვანე, იისფერი, წითელი)
- თქვენ მიერ ჩამოთვლილი ფერებიდან, რომელია ძირითადი ფერი?

ძირითადი ფერებიდან სხვა ფერების მიღებაა შესაძლებელი.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოამზადონ საღებავები, ფუნჯები და ფურცლები და ცდა ჩაატარონ. მათ ახლა ძირითადი ფერების შერევით სხვა ფერები უნდა მიიღონ.

მოსწავლის აქტივობა:

მასწავლებლის რეკომენდაციით მოსწავლეები ფურცელზე ერთმანეთში ურევენ ჯერ ყვითელსა და ლურჯ ფერებს და იღებენ მწვანე ფერს. მასწავლებელი მათ ამცნობს, რომ მწვანე შედგენილი ფერია. შემდეგ მასწავლებელი სთავაზობს მათ ყვითელი და წითელი შეურიონ ერთმანეთს, რის შედეგადაც ისინი იღებენ ნარინჯისფერს. ეს მეორე შედგენილი ფერია. ახლა მასწავლებლის რჩევით მოსწავლეები წითელსა და ლურჯს ურევენ და იისფერს იღებენ, რომელიც მესამე შედგენილი ფერია. ამ აქტივობის არსია, რომ მოსწავლეებმა თავად, საკუთარი გამოცდილებით მიიღონ ძირითადი ფერების შერევით შედგენილი ფერები.

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი აჯამებს ამ აქტივობას: წინა გაკვეთილზე ჩვენ გავეცანით ძირითად ფერებს: წითელს, ყვითელსა და ლურჯს, ახლა კი მათი შერევით მივიღეთ შერეული ფერები: მწვანე, ნარინჯისფერი და იისფერი.

- ჩამოთვალეთ ბუნებაში რა არის ამ სამი ფერის: მწვანე, ნარინჯისფერი და იისფერი.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი კვლავ უბრუნდება სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნატურმორტებს, ბოსტნეულის თემას და ახლა სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ, რომელი შედგენილი ფერები აქვთ გამოყენებული მხატვრებს ამ ნამუშევ-რებში.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს სავარჯიშოს; მათ უნდა შეასრულონ შემდეგი დავალება: მათ ძირითადი ფერების შერევით მიღებული ახალი ფერების გამოყენებით წინასწარ მომზადებულ ფურცელზე დახატონ სხვადასხვა ტიპის ხაზები: სწორი, ტალღოვანი, წყვეტილი და ა.შ. ამავე შედგენილი ფერებით მოსწავლეებმა ასევე უნდა შექმნან მარტივი გეომეტრიული ფორმები.

შენიშვნა: ასეთი პრაქტიკული სავარჯიშო მოსწავლეებს განუმტკიცებს ცოდნას ძირითადი და შედგენილი ფერების, სხვადასხვა ტიპის ხაზისა და მარტივი გეომეტრიული ფორმების შესახებ. ასევე, ხელს შეუწყობს წვრილი მოტორიკის განვითარებას.

დავალების პირობა:

შედგენილი ფერების, მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული ფორმებისა და აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით შექმენი სხვადასხვა ბოსტნეულის გამოსახულება და დააწებე ისინი ქაღალდის ჩანთაზე.

პრაქტიკული სამუშაოს დასრულების შემდეგ, მოსწავლეები დასრულებულ ნამუშევრებს აწყობენ წრიულად განთავსებულ მერხებზე და საუბრობენ, თუ რომელი ფორმები და ფერები გამოიყენეს მათ შესაქმნელად.

1

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა

ნაბიჯი 3

<u>გაკვ.15 ჩვენი საყარო</u>

კომპლექსური დავალების პირობა:

შექმენი მობილი. გამოიყენე მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული ფორმები (ღრუბელი, ფოთოლი და სხვ.) და აპლიკაციის ტექნიკის საშუალებით ასახე: წელიწადის სხვადასხვა დრო, დღე და ღამე, ბუნების მოვლენები (ქარი, წვიმა, ელვა და სხვ.).

კომპლექსური დავალების შესრულება

მუშაობის პროცესში გაითვალისწინეთ:

- მობილის შემადგენელი ნაწილების შესაქმნელად, დახატე: წელიწადის სხვადასხვა დრო, დღე და ღამე, ბუნების სხვადასხვა მოვლენა (ქარი, წვიმა, ელვა), მთა, ხეები,ბოსტნეული, ყველაფერი, რაც გაიარეთ ამ თემის ფარგლებში;
- მობილისათვის გამოსახულებების შესაქმნელად, გამოიყენე როგორც მარტივი გეომეტრიული, ასევე, ბუნებაში არსებული ფორმები (ღრუბელი, ფოთოლი და სხვ.)
- ნახატზე შეგიძლია აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით, დააწებო ან დააძერწო დეტალები;
- შეგიძლია ამოჭრა გამოსახულებები და შემდეგ გარკვეული შუალედით დააწებო ისინი წინასწარ მომზადებულ ლენტზე/ თოკზე (მაგ. ერთ ლენტზე - მზე, ღრუბელი, ვარკვლავები, მეორეზე- ბოსტნეული და სხვ.);
- ლენტზე/თოკზე ასხმული გამოსახულებები დაამაგრე ტოტზე ან სქელი მუყაოსაგან გამოჭრილ ფორმაზე მობილის - მარტივი მოწყობილობის მისაღებად ისე, როგორც ეს სახელმძღვანელოშია მოცემული მობილს შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს: წრიული, კვადრატი, ოვალური და სხვ.

რეკომენდაცია: შესაძლებელია კლასი დაიყოს ჯგუფებად (ბარათების გათამაშებით ან გათვლით). ჯგუფის თითოეული წევრის მიერ შექმნილი მობილი გაერთიანდეს და მიიღო თუ მასშტაბური (დიდი ზომის) მობილი, რომელიც დაიკიდება კედელზე ან ჭერზე.

ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრეთ:

- როგორი ხაზები, ფორმები და ფერები გამოიყენეთ ბუნებრივი მოვლენებისა და გარემოს ასასახად?
- რომელი მასალა და ტექნიკა შეარჩიეთ დედამიწის მრავალფეროვნების – დღის, ღამის. წელიწადის დროების, ამინდის, მთების, მინდვრებისა თუ მცენარეების გადმოსაცემად?

I კლასი

შეფასება **SOLO 2** ტაქსონომიის გამოყენებით

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

საგანი „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“

1. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი –** სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, მრუდი, დიაგონალური
- **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული
- **ფერი –** ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა - (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია, მოზაიკა, ანაბეჭდი, კონსტრუირება,

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები - (შედეგი 1,2,3,4)

ქვეცნება: მხატვრობა

4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები - (შედეგი: 1,2,3,4)

ქვეცნებები: პეიზაჟი, ნატურმორტი

კომპლექსური დავალების პირობა:

დავალების შესასრულებლად, „ჩვენი საყარო“, შექმენით მობილი (მარტივი მოძრავი მოწყობილობა). მობილის შემადგენელი ნაწილების შესაქმნელად, **გამოიყენეთ სხვადასხვა ტიპის ხაზი, მარტივი გეომეტრიული ფორმები და ბუნებაში არსებული ფორმები (ღრუბელი, ფოთოლი ნდა სხვა)** ძირითადი და შედგენილი ფერები და ასახეთ: წელიწადის სხვადასხვა დრო, დღე და ღამე, ბუნების სხვადასხვა მოვლენა (ქარი, წვიმა, ელვა, მცენარეები და სხვა) ნახატზე შეგიძლია აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით,დააწებოთ ან დააძერწოთ დეტალები; ამოჭრათ გამოსახულებები, გარკვეული შუალედით დააწებეთ წინასწარ მომზადებულ ლენტზე/ თოკზე (მაგ. ერთ ლენტზე მზე, ღრუბელი, ვარკვლავები, მეორეზე ბოსტნეული და სხვა)ლენტზე/ მიღებული გამოსახულებები დაამაგრეთ ტოტზე ან სქელი მუყაოსაგან გამოჭრილ ფორმაზე(მარტივი მოწყობილობის მისაღებად).

კრიტერიუმი სამიზნე ცნება	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები **(ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს ესმის საკითხის არსი, რაც მას ცოდნის განზოგადების საშუალებას აძლევს.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლეს ესმის საკითხის არსი. გააზრებულად იყენებს მიღებულ ცოდნას და გარემოზე, დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას ბუნების მოვლენებზე, წელიწადის სხვადასხვა დროის შესახებ. მიზანმიმართულად იყენებს მასალასა და ტექნიკას ერთიანი შემოქმედებითი პროდუქტის--მოძრავი მოწყობილობის შესაქმნელად(ხატვა, ძერწვა, ანაბეჭდი, აპლიკაცია, კონსტრუირება). მოძრავი მოწყობილობის ნაწილების შესაქმნელად, შემოქმედებითად იყენებს ხაზს (სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური; ფორმას (მარტივი გეომეტრიული),ძირითად და შედგენილ ფერებს. გამოირჩევა ორიგინალური მიდგომით. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე. ყურადღებას სამახვილებს შესრულებული დავალების ფარგლებში გამოკვეთილ სამიზნე ცნებაზე.	

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი, აკავშირებს საკითხთან დაკავშირებულ ძირითად არსებით სტრუქტურულ ერთეულებს. საშუალებას აძლევს. გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს, მასალასა და ტექნიკას.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს ნამუშევრის შესაქმნელად. ნამუშევრის წარდგენა: ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მრავალფეროვან მასალას და ტექნიკას ნამუშევრის შესაქმნელად. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იცის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გარკვეული ნაწილი.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებსა და ხერხებს. ნამუშევრის წარდგენა ნამუშევრის წარდგენისას, მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მასალასა და ტექნიკას.. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას,მის მიერ გამოყენებულ მასალასა და ტექნიკას ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იყენებს რამდენიმე მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებას და ხერხს, მასალა და ტექნიკას.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების მხოლოდ მცირე ნაწილს. **ნამუშევრის წარდგენა:** ასახელებს მხოლოდ ერთ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებასა თუ ხერხს.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** გააზრებულად იყენებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, ასახელებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს.
პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	არ აქვს პირობა გააზრებული	არ აქვს პირობა გააზრებული

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

შემოხაზე ის გამოსახულება რომელიც გაკვეთილზე შენ მუშაობას შეესაბამება	

III თემატური მატრიცა

კლასი: I
თემატური ბლოკი: მე და გარესამყარო
თემა: მიმოიხედე ირგვლივ
საათების სავარაუდო რაოდენობა: 8 საათი

თემასთან დაკავშირებული მკვიდრიწარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- ჩვენ ირგვლივ ზომით, ფორმითა თუ ფერით განსხვავებულ შინაურ და გარეულ ცხოველებს ვხვდებით;
- ხელოვნების ნამუშევარში სხვადასხვა ფორმის, ხაზის და ფერის საშუალებით შეიძლება ფრინველებისა და ცხოველების თავისებურებების გამოსახვა;
- გარესამყაროს ამსახველი ხელოვნების ნამუშევრები ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას მასზე.

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)
ქვეცნებები:

- **ხაზი –** სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, კლაკნილი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, დიაგონალური;
- **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;
- **ფერი –** ძირითადი და შედგენილი.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4)

ქვეცნება: ხატვა, აპლიკაცია, კოლაჟი, კონსტრუირება;

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები (შედეგი 1,2. 3,4)
ქვეცნებები: მხატვრობა,

4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები. (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნება: ანიმალისტური ჟანრი.

საკითხი: გარესამყაროში არსებული ცხოველებისა და ფრინველების მრავალფეროვნების გამოსახვა ხელოვნების ნამუშევარში ხაზის, ფორმის, ფერის, სხვადასხვა მასალისა და ტექნიკის გამოყენებით.

საკვანძო შეკითხვები:

- რა სახით გვაწვდის ხელოვნების ნიმუში ინფორმაციას ჩვენი გარესამყაროს შესახებ?
- როგორ ავსახოთ ფრინველებისა და ცხოველების თავისებურებები ხელოვნების ნამუშევარში?
- როგორ გამოვიყენო სხვადასხვა ტიპის ხაზი, ფორმა და ფერი, განსხვავებული მასალა და ტექნიკა ჩვენ ირგვლივ არსებული ცოცხალი გარესამყაროს ასასახად?

კომპლექსური დავალების პირობა:

გამოიყენე შენთვის უკვე ნაცნობი ხაზები, ფორმები, ფერები და გამოსახე შინაური და გარეული ფრინველები და ცხოველები. განსხვავებული მასალის, აპლიკაციისა და კოლაჟის ტექნიკის გამოყენებით „დაასახლე“ ისინი მათთვის ჩვეულ გარემოში; მაგალითად, შინაური ცხოველები – დიდ ეზოში, ფერმაში; გარეული ცხოველები და ფრინველები - ნაკრძალში ან ზოოპარკში.

საგანთაშორისი კავშირები:

ბუნების გაკვეთილებზე მოსწავლეები ეცნობიან ჩვენ გარესამყაროს: შინაურ და გარეულ ფრინველებს, ცხოველებს. ხელოვნების ნამუშევრების გაცნობისა და შექმნის გზით ისინი შეძლებენ მიღებული ინფორმაციის დაკავშირებას, ერთი და იმავე საკითხის მრავალი კუთხით დანახვას და ერთ დისციპლინაში მიღებული ცოდნის სხვა დისციპლინასთან დაკავშირებით ცოდნის გამთლიანებას. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ ცოცხალი გარესამყაროს მრავალფეროვნების შემოქმედებით პრიზმაში დანახვას, გააზრებასა და ასახვას.

განსახილველი ქეისი კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:

წეროსა და და-ძმის მეგობრობის ამბავი

ვინ არ იცის, რომ წეროები გვიან შემოდგომაზე თბილ ქვეყნებში მიფრინავენ, გაზაფხულზე კი უკან ბრუნდებიან. ჰოდა, აი, როცა ერთხელაც გაზაფხულზე ხეებმა უკვე კვირტები გამოიღეს, გიგასა და ნანას სახლის თავზე წერომ ბუდის შენება დაიწყო. დედა ამბობდა, ეს ბედნიერების ნიშანიაო და ბავშვებსაც ძალზე უხაროდათ, რომ წერომ სწორედ მათი სახლი აირჩია, მაგრამ მათ გაოცებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც ერთ საღამოს სახლის კიბეებზე ჩამომჯდარ და–ძმას წერო მიუახლოვდა და გამარჯობა უთხრა. ასე დამეგობრდნენ გიგა, ნანა და წერო. ყოველ საღამოს, როცა და და ძმა სახლის კიბეზე ჩამოჯდებოდნენ და ათას რამეზე საუბრობდნენ, წეროც იქვე გაჩნდებოდა ხოლმე და უყვებოდა ამბებს, თუ რა დაინახა იმ დღეს ცაში ფრენისას.

– დღეს დიდ ტყეს გადავუფრინე, რომ ჩემი ბუდისათვის წკნელები შემეგროვებინა და ტყის პირას ერთი დიდი ლამაზი ხე ვნახე, ტოტები ყველა მხარეს თანაბრად გაეშალა, თითქოს მხრები გაემართა (სიმეტრიული ფორმა) და ამაყად იდგა, მის გვერდით კი მეორე ხე დავინახე, რომელსაც მხოლოდ ერთ მხარეს ქონდა ტოტები გამოზრდილი (ასიმეტრიული ფორმა). მივუახლოვდი და ორივეს ვკითხე, რომელი მომცემთ, ჩემი ბუდის ასაგებად წკნელებსთქო? ორივემ უშურველად მომცა თანხმობა. მერე მინდვრისაკენ გავეშურე, რომ ჩალა–ბულა შემეგროვებინა, ბუდე ხომ რბილი უნდა იყოს. ჰოდა, ბალახებსა და ყვავილებს ვთხოვე დახმარება. იმათმაც გამომატანეს ბალახ– ბულახი. ბოლოს მთელი დღის დაღლილმა ბოსტანს გადავუფრინე და იქ ერთი ჰატარა ბაჭია დავინახე, რომელიც კომბოსტოს ფოთლებს შეექცეოდა. არც ბაჭიამ მითხრა უარი და ცოტაოდენი კომბოსტო და სტაფილო მიწილადა.

– როგორი კეთილები ყოფილან ყველანი – გაიკვირვა ნანამ.

– მათი დახმარება რომ არა, ვერც ბუდეს გავიკეთებდი და ვერც დავნაყრდებოდი – უპასუხა წერომ და მადლიერების ნიშნად ფრთა გულთან მიიტანა.

მეორე საღამოს წერო რომ დაბრუნდა კიდევ ერთი საინტერესო ამბავი მოუყვა გიგას და ნანას. თურმე შეღამებულზე, როცა ტყეს გადაუფრინა, ტირილის ხმა მოესმა. ჰატარა ბუს დედა ბუ ტუქსავდა, უკვე გვიანია და შენი ძილის დროაო. ჰატარა ბუ კი ტიროდა, არ მეძინება და რა ვქნაო. რა უცნაურია – ამბობდა წერო, – თავად ბუებს მთელი ღამე არ სძინავთ და თავის ჰატარებს კი აძინებენო.

– მართლა არ ძინავთ ბუებს? ეს მე არ ვიცოდი – გაიკვირვა ნანამ.

– აი, ჩვენი ქათმები კი როგორი წესიერები არიან, როგორც კი მზე ჩავა, საქათმეში იბუდებენ და დილამდე ტკბილად სძინავთ – თქვა გიგამ.

გადიოდა ხანი, წერო ყოველ საღამოს და–ძმას იმ დღის ამბებს უყვებოდა. ამასობაში კი წერო ნანას და გიგას ეზოში მცხოვრებ შინაურ ცხოველებსაც დაუმეგობრდა. მურია აღარ უყეფდა წეროს, არც ნანას საყვარელი შავი კატა იჯაგრებოდა მის დანახვაზე. მამალი კი, რომელიც ცდილობდა ქათმების თვალში გულადი გამოჩენილიყო და თავდაპირველად წეროს ეფხორებოდა, ახლა ყურადღებასაც კი აღარ აქცევდა მას.

ერთ დღეს წერო აღელვებული მოფრინდა ეზოში და გიგასა და ნანას მოუყვა, როგორ გადაუფრინა ქალაქს, როგორ დაინახა ზემოდან ერთ ადგილას ჩადგმული გალიები, რომელშიც გარეული ცხოველები იყვნენ დამწყვდეული.

– წარმოგიდგენიათ, ლომიც კი, რომელიც ცხოველთა მეფეა, გალიაში იჯდა – აღშფოთებული ყვებოდა წერო.

– შენ ზოოპარკში ყოფილხარ, ჩემო კარგო – უთხრა ნანამ

– ჰო, მეც არ მომწონს, როცა ადამიანები ცხოველებს გალიებში ამწყვდევენ – სევდიანად ჩაილაპარაკა გიგამ. – როცა გავიზრდები ისეთ ზოოპარკს მოვაწყობ, რომელშიც გალიები არ იქნება და ცხოველები თავისუფლად ინავარდებენ ბუნებაში, ოღონდ ისე, რომ ადამიანებსაც არაფერი დაუშაონ.

– უჰ, ეს რა კარგი აზრი მოგივიდა თავში! – შეჰყვირა წეროომ და ჰაერში გაინავარდა. ბავშვებმა ბევრი საინტერესო ამბავი გაიგეს წეროსაგან იმ გაზაფხულსა და ზაფხულზე, შემოდგომაზე კი, როცა წეროს თბილ ქვეყანაში გაფრენის დრო მოვიდა, გულითადად დაემშვიდობნენ მეგობარს და პირობა დაადებინეს, რომ მომავალ გაზაფხულზე წერო ისევ მათი სახლის სახურავზე დაიდებდა ბინას და მათი მეგობრობაც გაგრძელდებოდა.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)**
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) • სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** • ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; • სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** • ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	**ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** • აღწერე და დაახასიათე როგორი ფრინველები და ცხოველები გამოსახე შენს ნამუშევარში? • რომელი ფორმები გამოიყენე ნამუშევრის შექმნისას, გეომეტრიული თუ ბუნებაში არსებული? მაჩვენე, კონკრეტულად რომელი ფრინველის ან ცხოველის გამოსახულებაშია ეს ფორმები გამოყენებული. (სამ.ცნ.1) • როგორ გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზი ან ფერი ფრინველების და ცხოველების გამოსახვისას? (სამ.ცნ.1) • რა მასალა და ტექნიკა გამოიყენე ნაკრძალის, ფერმის თუ ეზოს ბინადართა შექმნისას? (სამ.ცნ 2) • როგორ გადაანაწილე დიდ ფორმატზე შენი შექმნილი გამოსახულებები? (სამ.ცნ.1)

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები:

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსები:
https://www.youtube.com/watch?v=eJ9YN_YajwQ
https://www.youtube.com/watch?v=GG-m0HjMf7U
https://www.youtube.com/watch?v=DdgZNbsI6Wk
https://www.youtube.com/watch?v=P8NJa_YoRxk
https://www.youtube.com/watch?v=VLv4PBqGKLI
https://www.youtube.com/watch?v=mHN2eNigz3o
https://www.youtube.com/watch?v=jF0Id-hH9y4
https://www.facebook.com/watch/?v=338505120267662

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს განსახილველ ქეისს „წეროსა და და-ძმის მეგობრობის ამბავი“ და ყურადღებას ამახვილებს ზოოპარკის თემაზე. შემდეგ იგი ამცნობს მოსწავლეებს, რომ ადამიანებმა გამონახეს გამოსავალი და ბევრ ქვეყანაში ზოოპარკის გალიების ნაცვლად, გარეული ცხოველები დიდ ფართობზე გადაჭიმულ ნაკრძალებში ბინადრობენ.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ვიდეომასალას მსოფლიოს და მათ შორის, საქართველოს ნაკრძალების, დიდი ფერმების შესახებ, სადაც უამრავი საინტერესო ფრინველი თუ ცხოველი ცხოვრობს. მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს იმის შესახებ, რომ შინაური ცხოველები მეგობრულად ცხოვრობენ ადამიანების მიერ აშენებულ დიდ ფერმებში, ხოლო გარეული ცხოველების დასაცავად ადამიანები დაცულ ტერიტორიებს ე.წ. ნაკრძალებს აწყობენ. ნაკრძალში გარეული ცხოველები თავს თავისუფლად გრძნობენ, ადამიანები ზრუნავენ და იცავენ მათ. ამავე დროს, უსაფრთხოების წესების დაცვით, გამოცდილ მეგზურთან ერთად, ნაკრძალში მოგზაურობაც შეიძლება გარეული ცხოველების დასათვალიერებლად. ნაკრძალებში სპეციალურად ამონტაჟებენ ფარულ კამერებს, რომლებიც აფიქსირებს ცხოველების ცხოვრების საინტერესო მომენტებს.

- როგორ ფიქრობ, რომელი ცხოველები ცხოვრობენ ადამიანებთან ერთად და რა ეწოდება მათ?
- ისურვებდი რომელიმე ნაკრძალის მონახულებას?
- რომელ ცხოველებს და ფრინველებს დაათვალიერებდი?

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- როგორი ხაზები და რომელი ფორმები უნდა გამოვიყენო, რომ შევქმნა ფრინველების და ცხოველების გამოსახულებები?
- როგორი ფერების გამოყენება დამეხმარება იმაში, რომ ჩემს მიერ გამოსახული ფრინველები და ცხოველები ყველამ ამოიცნოს?
- რომელი მასალა უნდა გამოვიყენო ფრინველების და ცხოველების განმასხვავებელი ნიშნების გამოსახვისას?
- რომელ ტექნიკას გამოვიყენებ დიდ ფორმატზე ფერმაში ან ნაკრძალში მცხოვრები ფრინველების და ცხოველების დასასახლებლად?

კომპლექსური დავალების არსი:

კომპლექსური დავალების არსი ისაა, რომ მოსწავლე დააკვირდეს ცოცხალ გარემოს, დაინახოს მისი მრავალფეროვნება, დაიმახსოვროს ფრინველების და ცხოველების მთავარი დამახასიათებელი ნიშნები და სხვადასხვა ტიპის ხაზის, ფორმის, ფერისა და

1 სხვადასხვა მასალის თუ ტექნიკის მეშვეობით შეძლოს მათი გამოსახულებების შექმნა. მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ ხელოვნება ასახავს ჩვენ გარესამყაროს და ამ ჟანრს ანიმალისტური ჟანრი ეწოდება.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1.

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი –** სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი;
- **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;
- **ფერი –** ძირითადი და შედგენილი

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია, კოლაჟი, ქაღალდის კონსტრუქცია.

3. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების დარგები (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნება: მხატვრობა.

4. სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების ჟანრები. (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნება: ანიმალისტური ჟანრი.

<u>გაკვ.16. ცის ბინადრები</u>

რეკომენდაცია მასწავლებელს: ამ გაკვეთილზე მოსწავლეებს სამუშაოდ დასჭირდებათ სახატავი მასალა: ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, ფერადი ფურცლები, ფორმატი, ბუნებრივი ან ხელოვნური რესურსი, მაგ., ძაფები, ბუმბული, მაკრატელი, წებო. ფორმატზე ნამუშევრების განლაგებისას გამოიყენებთ აპლიკაციის ან/და კოლაჟის ტექნიკას.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ მათ მიერ ნანახი ფრინველები. ჩამოთვალონ ისინი და დაასახელონ, რომელია გარეული და რომელი – შინაური. მოსწავლეთა პასუხების შემდეგ მასწავლებელი საუბრობს ფრინველთა უამრავ სახეობაზე, მათ ფერთა შეხამებაზე, ფორმებზე. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მოსწავლის სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნიმუშებს. მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს მათ შესახებ (რომელი ფრინველი მოსწონთ, რატომ, რა იციან მის შესახებ, ჰყავთ თუ არა ფრინველი სახლში და ა.შ.).

მასწავლებელი უსვამს მოსწავლეებს შეკითხვებს:

- ჩამოთვალეთ თქვენთვის ცნობილი ფრინველების სახელები
- თქვენც ხომ არა გყავთ შინ რომელიმე ფრინველი? მოგვიყევით მის შესახებ.

მოსწავლეების აქტივობა: მოსწავლეები ასახელებენ ფრინველებს და ყვებიან, რა იციან მათ შესახებ. შესაძლოა, რომელიმე მათგანს სახლშიც ყავს თუთიყუში, იადონი. მოსწავლე ყვება მის შესახებ, აღწერს, როგორ გამოიყურება, რა უყვარს და როგორი ხასიათი აქვს მის ფრთოსან მეგობარს.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი ყველა მოსწავლეს აძლევს საუბრის შესაძლებლობას, შემდეგ კი სთხოვს, გაეცნონ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ მასალას. მოსწავლეები ათვალიერებენ ფრინველების ფოტოებს და ასევე, სხვადასხვა ნამუშევარს, რომელზეც ისინი არის ასახული.

მასწავლებელი შეკითხვებს უსვამს მოსწავლეებს:

- აღწერეთ, როგორი დამახასიათებელი ფორმები აქვთ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ფრინველებს.
- როგორი შეფერილობისაა მათი ბუმბული? რომელი მოგწონთ ყველაზე მეტად?
- როგორი ფორმები და ფერები გამოიყენეს მხატვრებმა ფრინველების გამოსახულებების შექმნისას?

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები ყურადღებით ეცნობიან წარმოდგენილ ილუსტრაციებს, აღწერენ მათ, გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას მათ მიმართ.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაათვალიერონ ფრინველების გამოსახულების შექმნის ნიმუშები; დააკვირდნენ, როგორი ფორმების გამოყენება შეიძლება რომელიმე ფრინველის ასახვისას. მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები ასახელებენ მარტივ გეომეტრიულ ფორმებს - წრე, ოვალი, კვადრატი, მართკუთხედი, რომლებსაც ეტაპობრივად გამოიყენებენ, როგორც ეს ნაჩვენებია სახელმძღვანელოში, ამავე დროს მასწავლებელი, ნიმუშის სახით, თავად აგებს გამოსახულებას დაფაზე/ფორმატზე. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს გეომეტრიული ფორმების გამოყენებით ფრინველის გამოსახულების აგებაზე.

შენიშვნა: მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ გააცნობიეროს, როგორ შეიძლება მარტივი გეომეტრიული ფორმების გამოყენებით შექმნას ფრინველის სხეულის მონახაზი, ხოლო შემდეგ ნებისმიერი სასურველი საშუალებით შეამკოს ის. დაკვირვებით შეარჩიოს ძირითადი ან შედგენილი ფერები და გააფერადოს, სხვადასხვა ტიპის ხაზების გამოყენებით შექმნა ბუმბულის იმიტაცია, გამოიყენოს ნებისმიერი ხელოვნური მასალა.

რესურსი:

https://www.youtube.com/watch?v=UpgEu6PV7XQ

https://www.youtube.com/watch?v=gH3fnZhr-Aw&t=85s

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რა არის აპლიკაციის და კოლაჟის ტექნიკა, როგორ გამოიყენება ის და აჩვენებს მისი გამოყენების რამდენიმე ნიმუშს. ამ ტექნიკის გამოყენებით მოსწავლეებმა დიდ ფორმატზე უნდა განალაგონ საკუთარი ნამუშევრები.

მეორე რესურსში წარმოდგენილია მარტივი საშუალებებით სხვადასხვა გამოსახულების, მაგ., ლომის დეკორატიულად გაფორმების ტექნიკა. ეს ორივე რესურსი სასარგებლო იქნება მოსწავლეებისათვის დავალების შესრულების დროს.

დავალების პირობა:

შეარჩიე ფორმები, ხაზები, ფერები და შექმენი ფრინველების გამოსახულებები. გამოიყენე აპლიკაციისა და კოლაჟის ტექნიკა და ნამუშევრები განალაგე დიდ ფორმატზე.

პრაქტიკული სამუშაო:

მოსწავლეები ეტაპობრივად ასრულებენ დავალებას. ჯერ მარტივი გეომეტრიული ფორმების მეშვეობით აკეთებენ ფრინველის მონახაზს. შემდეგ სხავადასხვა ხაზის და ფერის გამოყენებით იწყებენ მის გაფერადებას, შემკობას.

ნამუშევრების პრეზენტაციის დროს დასასმელი შეკითხვები:

- როგორ მოგეწონა მუშაობის პროცესი?
- როგორი ფორმები შეარჩიე შენი ნამუშევროს შექმნისას?
- რა ფერები გამოიყენე ფრინველის გამოსახულებაში? ძირითადია თუ შედგენილი ეს

1

ფერები?

- რა ფერის ფორმატი შეარჩიე ფრინველების ერთად „დასასახლებლად“?
- რომელი ტექნიკა გამოიყენე გამოსახულებების ერთ ფორმატზე განლაგებისას?
- როგორ ფიქრობ, ფრინველები თავს როგორ გრძნობენ თქვენ მიერ შექმნილ ბაღში?

გაკვ.17. ოთხფეხა მეგობრები

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს შინაურ ცხოველებზე და ეკითხება, ხომ არ ჰყავთ სახლში ოთხფეხა მეგობრები. სთხოვს ყველას მოუყვნენ მათ შესახებ, როგორი ხასიათი აქვთ, რა არის მათი საყვარელი გასართობი, ვინ ზრუნავს მათზე.

მოსწავლის აქტივობა: სავარაუდოდ, მოსწავლეები ყვებიან საკუთარი ოთხფერხა მეგობრების შესახებ. ახასიათებენ მათ, იგონებენ სახალისო ეპიზოდებს მათი ცხოვრებიდან. მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეები თავიანთი ოთხფეხა მეგობრების ყველაზე სახასიათო ნიშნებსაც აღნიშნავენ, მაგ., ამბობენ, გრძელი ბეწვი აქვს თუ არა მათ ძაღლს, როგორი ყურები და კუდი აქვს მას, რა ფერია მათი კატა და ა. შ.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნამუშევრებს, რომლებზეც შინაური ცხოველებია გამოსახული და აღწერონ ისინი; გამოთქვან მოსაზრებები მათ შესახებ.

შეკითხვები ილუსტრაციების შესახებ:

- დაახასიათე ფრანც მარკის მიერ დახატული კატა და ძაღლი. როგორ ფიქრობ, რას გრძნობდა მხატვარი, როდესაც მათ ხატავდა?
- როგორი ფერებია გამოყენებული ამ ნამუშევრებში?
- დააკვირდი, დეტალურად არის დახატული ცხოველების სხეული, მათი ბეწვი თუ არა?
- რომელ გეომეტრიულ ფორმებს გაგონებს თბილად მოკალათებული კატის გამოსახულება?

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები მსჯელობენ ილუსტაციებში გამოყენებულ ფერებზე, ფორმებზე და ხაზებზე. გამოხატავენ საკუთარ განწყობილებას, რომელიც შეექმნათ ნამუშევრების დათვალიერებისას.

მასწავლებლის აქტივობა: მოსწავლეების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მათ, დაათვალიერონ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ის ნამუშევრები, რომლებსაც თან ახლავს შესაბამისი გეომეტრიული ფორმებიც. მაგ., სამკუთხედი გრძელკისერა ცხოველის უკან, წრე, მსუქანი ძაღლის გვერდით, ან კვადრატი გაკრეჭილი პუდელის გამოსახულებასთან. იგი ეკითხება მოსწავლეებს: როგორ ფიქრობთ, რატომ არის ეს გეომეტრიული ფორმები სახელმძღვანელოში ცხოველების გამოსახულებებთან ერთად წარმოდგენილი?

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ ცხოველების ფორმების დაკავშირება გეომეტრიულ ფორმებთან და ამდენად, კიდევ ერთხელ გააცნობიერებენ, როგორ შეიძლება გამოიყენო ესა თუ ის მარტივი ფორმა სასურველი ცხოველის გამოსახვისას.

მასწავლებელი აცნობს კლასს დავალების პირობას და სთხოვს კარგად დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ილუსტრაციას, რომელზეც მოცემულია ნამუშევრის

შექმნის სამი ეტაპი: 1. ძირითადი ფორმის მოხაზვა კონტურის ხაზის გამოყენებით, შემდეგ 2. დეტალების დამატება და 3. გაფერადება.

დავალების პირობა:

შეარჩიე მარტივი ფორმები, სხვადასხვა ტიპის ხაზი და ფერი და შექმენი ოთხფეხა მეგობრების გამოსახულებები. წინასწარ მომზადებულ დიდ ფორმატზე, აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით, განათავსე შენი ნამუშევრები და შეუქმენი მათ ბუნებრივი გარემო: დახატე ბალახი, ხეები, მცენარეები. გააფერადეთ ცა, დახატე მზე და ღრუბლები.

პრაქტიკული სამუშაო:

მოსწავლეები ეტაპობრივად ასრულებენ დავალებას: არჩევენ მარტივ ფორმებს ცხოველების გამოსახულებებისათვის, კონტურული ხაზით ასრულებენ მონახაზს; შემდეგ, სხვადასხვა ტიპის ხაზის გამოყენებით ამატებენ დეტალებს, მაგ., ყურებს, კუდს, ბეწვს და აფერადებენ გამოსახულებებს.

მზა ნამუშევრები აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით გადააქვთ წინასწარ მომზადებულ დიდ ფორმატზე, ათავსებენ ისე, რომ თითოეულ გამოსახულებას საკმაო არე ჰქონდეს ირგვლივ და სახატავი მასალით იწყებენ ფორმატზე შესაბამისი გარემოს შექმნას: ხატავენ ხეებს, ყვავილებს და ბალახს. ცისფრად აფერადებენ ცას, ხატავებ ღრუბლებს და მზეს.

საერთო ნამუშევრის დასრულების შემდეგ საუბრობენ სამუშაო პროცესზე და პასუხობენ შეკითხვებს:

- როგორი ფორმები გამოიყენე ცხოველების გამოსახვისას?
- რომელი ფერები შეარჩიე ოთხფეხა მეგობრებისა და გარემოს ხატვისას?
- როგორი ტიპის ხაზებით გამოხატე დეტალები?
- მოგეწონა ადამიანის ოთხფეხა მეგობრების თემაზე მუშაობის პროცესი?

მოსწავლეების მიერ დიდ ფორმატზე შექმნილი საერთო ნამუშევარი გამოიფინება კლასში.

<u>გაკვ.18.სოფლის ეზო</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს შინაური ცხოველების მრავალფეროვან სამყაროზე. შესაძლოა იყენებს წინასწარ მომზადებულ ელექტრონულ რესურსებს, რომლებშიც საოჯახო ფერმების ცხოვრებაა ასახული. აქ ფრინველები და ცხოველები მეგობრულად ცხოვრობენ ადამიანებთან ერთად. მათი ყოველდღიური ცხოვრების უკეთ გასააზრებლად მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ასეთ ქეისს:

ჰიერ კურონი, პასკალ ედერ დორიას მოთხრობა „მერცხალი დაბრუნდა“
(ადაპტირებული)

ზაფხულის მიწურულს, როგორც კი მზეს რამდენიმე სხივი შემოაკლდება და ოდნავ აგრილდება, ცაში ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებული ფრინველების ქარავანი გამოჩნდება. სითბოსმოყვარული ჩიტები ცივი ზამთრის შიშით თბილი ქვეყნებისკენ მიფრინავენ. იქ ისინი გამოიზამთრებენ და გაზაფხულზე ისევ უკან, მშობლიურ ქვეყანაში ბრუნდებიან.

ერთი ლამაზი და საყვარელი მერცხალიც ასე დაბრუნდა სამშობლოში, ხის ტოტზე შემოსკუპდა და დაღლილმა აქეთ-იქით მიმოიხედა. ნაცნობი სახლის ეზო სავსე იყო შინაური ფრინველებით და ცხოველებით. კატა სიამოვნებით ეფიცხებოდა მზეს, ძაღლი

1 *ლეკვებს დაატარებდა და ყველასაცნობდა; კრუხს წიწილები გამოეყვანა გასასეირნებლად და წამდაუწუმ ითვლიდა მათ. ინდაური გაფხორილი დაბიჯებდა ეზოს ერთი კუთხიდან მეორეში, ბატებს კი ჩალის ღერები ჰქონდათ ნისკარტით ჩავლებული და საქმიანად მიიჩქაროდნენ სადღაც.*

მთელი ზამთრის უნახავი მერცხლის დანახვა ყველას გაუხარდა, ცოტა ხნით გარშემო შემოეხვივნენ და უსმენდნენ მის მონაყოლს თბილი ქვეყნის შესახებ. მაგრამ შემდეგ ყველა საკუთარ საქმეს მიუბრუნდა და მერცხალმა ცოტა არ იყოს მოიწყინა. საგაზაფხულო ორომტრიალში გართულ ნაცნობ-მეგობრებს უყურებდა და ფიქრობდა,

ამ ტოტზე ასე ეულად როდემდე უნდა ვიჯდე, ემანდ დაღლილს არ ჩამომეძინოს და ძირს არ ჩავვარდეო. ბევრი იფიქრა თუ ცოტა იფიქრა, გადაწყვიტა თბილი და მყუდრო ბუდე აეშენებინა, რომ შიგნით მოხერხებულად მოკალათებულიყო და დაღლილს ტკბილად დაეძინა. ჯერ კარგი ადგილი უნდა შეერჩია და ეზოს რამდენჯერმე შემოუფრინა. ეზოს შუაგულში მდგარი სახლის ფანჯრის თავზე დასკუპდა და არემარეს გახედა. აქედან ყველაფერი ხელისგულივით მოჩანდა, თან საკმაოდ მაღლაც იყო და მერცხალი თავს უსაფრთხოდ გრძნობდა. რაკი ასეთი კარგი ადგილი შეარჩია, მაშინვე დატრიალდა. ნისკარტით ჩალა-ბულა მოზიდა, თან ფიჩხიც მოაყოლა და ბუდის შენება დაიწყო. გვარიანად კი დაიღალა, მაგრამ მზის ჩასვლამდე ჰატარა კოხტა ბუდე მზად ჰქონდა. ბოლოს რამდენიმე ბალახის ღერიც მოიტანა, ახალ ბუდეში ჩაუფინა და შიგნით თბილად მოკალათდა. ისე ტკბილად ჩაეძინა, სულ ფერად-ფერადი სიზმრები ნახა, დილით კი მზის ამოსვლისთანავე ცაში გაინავარდა, კამარა შეკრა და ჭიკჭიკით გააღვიძა ყველა. მისი ხმის გაგონებაზე შინაური ფრინველები და ცხოველები ეზოში გამოვიდნენ. უყურებდნენ ცაში მონავარდე მერცხალს და ერთმანეთს გახარებული ეუბნებოდნენ: აი, ნამდვილი გაზაფხულიც მოსულაო.

მოსწავლეები საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამენ შინაური ცხოველების თანაცხოვრების შესახებ. მასწავლებელი სთხოვს მათ, ყურადღებით დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ილუსტრაციებს, რომლებზეც შინაური ფრინველების და ცხოველების გამოსახულებების შექმნის ეტაპებია ასახული: გეომეტრიული ფორმების მოხაზვა, სხვადასხვა ტიპის ხაზების გამოყენებით დეტალების დამატება, ფერების შერჩევა და გაფერადება დასრულებული ნამუშევრის მისაღებად. შემდეგ იგი მოსწავლეებს აცნობს დავალების პირობას.

დავალების პირობა:

შეარჩიე სხვადასხვა ფორმა, ხაზი და ფერი შინაური ფრინველებისა და ცხოველების გამოსახულებების შესაქმნელად. შენ მიერ შექმნილი ფიგურები გამოჭერი, დიდ ფორმატზე გაანაწილე და დააწებე. მათ გარშემო დახატე გარემო.

პრაქტიკული სამუშაო: მოსწავლეები მიღებული გამოცდილების თანახმად ეტაპობრივად ასრულებენ დავალებას და ქმნიან შინაური ფრინველების და ცხოველების სახასიათო გამოსახულებებს. წინასწარ მომზადებულ ფორმატზე განათავსებენ ნამუშევრებს და გარშემო ხატავენ ბუნებრივ გარემოს.

ნამუშევრის პრეზენტაციის დროს დასასმელი შეკითხვები:

- როგორი ეზო გამოვიდა და რომელი ფრინველები და ცხოველები ცხოვრობენ ამ ეზოში?
- როგორი გეომეტრიული ფორმები, რა ტიპის ხაზები გამოიყენე მათ შესაქმნელად?
- რომელი ძირითადი ან შედგენილი ფერები გამოიყენე ნამუშევრის შესაქმნელად?
- როგორი დეტალებით გააფორმე დამატებით სოფლის ეზოს გარემო?

ნაბიჯი 2

<u>გაკვ.19.გარეული ცხოველები</u>

რესურსი
https://www.youtube.com/watch?v=hrWd_-jDVB0
https://www.pexels.com/search/videos/wild%20animals/

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი საუბრობს იმის შესახებ, რომ შინაური ცხოველების გარდა, ჩვენ ირგვლივ, ტყეებში, მთებში, ბინადრობენ გარეული ცხოველები და ფრინველები. როგორ ფორმებს აღარ ნახავ მათ შორის! დახვეული და წვეტიანი რქები, ლამაზი ზოლები და ფერადი ლაქები სხეულზე, გრძელი და ხვეული ბეწვი, უცნაური შეფერილობა, მათი ძალა და სისწრაფე ყოველთვის იზიდავდა ადამიანებს. ამიტომაც მხატვრები ხშირად ხატავენ მათ, მოქანდაკეები კი აქანდაკებენ გარეულ ცხოველებს. მასწავლებელი აჩვენებს მომზადებულ რესურსს მოსწავლეებს და სთხოვს, გადმოსცენ საკუთარი ემოციები.

მოსწავლის აქტივობა: მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული რესურსის ნახვის შემდეგ მოსწავლეები ყვებიან რომელმა ფრინველმა ან ცხოველმა მოახდინა მათზე დიდი შთაბეჭდილება, რატომ მოეწონათ ის. იხსენებენ, ხომ არ აქვთ ნანახი მსგავსი ცხოველები ტელევიზორში ან სადმე სხვაგან (მაგ., ჟურნალებში, კომპიუტერში).

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს სახელმძღვანბელოში წარმოდგენილ მხატვრობის ნიმუშებს და სთხოვს, დააკვირდნენ, ხომ არ ნახეს მსგავსი ცხოველები ცოტა ხნის წინ ნანახ ვიდეოში.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები ეცნობიან სახემძღვანელოში წარმოდგენილ ილუსტრაციებს. შესაძლოა, მათ ამოიცნონ კიდეც ეს ცხოველები და ისაუბრონ იმაზე, რამდენად ზუსტად არის გადმოცემული მათი სახასიათო ნიშნები მხატვრების ნამუშევრებზე. სასურველია, მოსწავლეებმა ისაუბრონ იმაზეც, თუ რა ემოციას აღძრავს ეს ნამუშევრები.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი მოსწავლეებს უყვებაიმის შესახებ, რომ ეს ნამუშევრები ე.წ. ანიმალისტური (ინგლისური სიტყვიდან - animal) ჟანრის ნიმუშებია და რადგან ადამიანს ყოველთვის აინტერესებდა გარესამყარო, ამ ჟანრის ნამუშევრებს ისინი მრავალი საუკუნის განმავლობაში ქმნიდნენ.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ასეთ სავარჯიშოს: მასწავლებელი დაფაზე ან ფორმატზე ხატავს გეომეტრიულ ფორმებს: წრეს, ოთხკუთხედს, სამკუთხედს, ოვალს. მოსწავლეები ასახელებენ მათ. მასწავლებელი ჩამოთვლის გარეული ცხოველების სახელებს და სთხოვს მოსწავლეებს, უპასუხონ, მათი აზრით, რომელი ცხოველის დასახატად გამოდგება ესა თუ ის გეომეტრიული ფორმა? შესაძლებელია, მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეებს გეომეტრიული ფორმების და ცხოველების ერთმანეთთან მისადაგებაში და დაახასიათებინოს ცხოველები რაიმე კონკრეტული ნიშნის მიხედვით: მსუქანი, დიდი ცხოველი. პატარა, მაღალი თუ გრძელკისერა და ა.შ.

შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ დავალების პირობას და სახელმძღვანელოში შემოთავაზებულ ნიმუშებს, თუ როგორ შეიძლება შეიქმნას გარეული ცხოველების გამოსახულებები.

დავალების პირობა:

შეარჩიე შენთვის სასურველი გარეული ცხოველი. მოიფიქრე, რომელ ფორმებს გამოყენებ მის შესაქმნელად; როგორი ხაზებისა და ფერების საშუალებით ასახავ მის სახასიათო დეტალებს; ბოლოს კი დახატე გარეული ცხოველების ბუნებრივი გარემო.

1

პრაქტიკული სამუშაო:

მოსწავლეები აკვირდებიან და იყენებენ როგორც ნიმუშს, მოსწავლის სახელმ-ძღვანელოში წარმოდგენილ ილუსტრაციებს.

ისინი იყენებენ სხვადასხვა ტიპის ხაზს, მარტივ გეომეტრიულ ფორმებს, ძირითად და შედგენილ ფერებს და ქმნიან გარეული ცხოველების გამოსახულებებს. ამავე ფორმატზე ისინი ხატავენ გარეული ცხოველების ბუნებრივ გარემოს.

პრეზენტაციის დროს დასასმელი შეკითხვები:

- წარმოადგინე შენი ნამუშევარი და ისაუბრე, რომელი ცხოველები გამოსახე?
- სად ბინადრობენ ეს ცხოველები?
- როგორი გარემოა მათთვის მშობლიური?
- როგორი ფორმები, ხაზები და ფერები დაგეხმარა ამ ნამუშევრის შექმნისას?

<u>გაკვ. 20. მობილი</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს, რომ ხშირად მულტფილმებში ზღაპრებსა და მოთხრობებში ცხოველები ადამიანებივით იქცევიან: საუბრობენ, მეგობრობენ, ხანდახან ჩხუბობენ კიდეც და უყვება მოსწავლეებს ასეთ ამბავს:

ერთ უღრან ტყეში მეგობრულად ცხოვრობდნენ სპილო, ლომი, მარტორქა, ბეჰემოტი, ჟირაფი, ზებრა... ერთ მშვენიერ დღეს ცხოველებმა განიზრახეს კონცერტის მოწყობა... მოსწავლეებმა უნდა გააგრძელონ თხრობა, მოიფიქრონ, როგორ კონცერტს მოაწყობენ ცხოველები და შექმნან მობილი გარეული ცხოველების გამოსახულებით.

დავალების პირობა:

ნებისმიერი ბუნებრივი თუ ხელოვნური მასალისა და შენთვის სასურველი ტექნიკის (ხატვა, აპლიკაცია, კოლაჟი, კონსტრუქცია) გამოყენებით შექმენი მობილი გარეული ცხოველების გამოსახულებებით.

პრაქტიკული სამუშაო:

სამუშაოს დაწყებამდე და მიმდინარეობისას მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს პრაქტიკულ რცევებს და მითითებებს, როგორ უნდა შექმნან ქაღალდის ან თხელი მუყაოსგან მარტივი კონსტრუქციები (დაახვიონ, გადაღუნონ, ფენა-ფენად დაკეცონ); როგორ გამოიყენონ ხელოვნური მასალა: თასმები, ძაფები, ბუმბული ცხოველების დეტალების დასამზადებლად; როგორ დაამზადონ მუყაოს მსუბუქი კონსტრუქცია და ზედ დაკიდონ დამზადებული გამოსახულებები.

ნამუშევრის პრეზენტაციის დროს დასასმელი შეკითხვები:

- დაასახელეთ, ვინ მონაწილეობს გარეული ცხოველების კონცერტში?
- როგორი ფორმები და ხაზები, რომელი ძირითადი და შედგენილი ფერები გამოიყენეთ ცხოველების გამოსახულებების შექმნისას?
- როგორ გამოიყენეთ სხვადასხვა ტიპის მასალა ცხოველების სახასიათო დეტალების გადმოსაცემად?

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა

<u>გაკვ. 20. სად ბინადრობენ ფრინველები და ცხოველები</u>

კომპლექსური დავალება

გამოიყენე შენთვის უკვე ნაცნობი ხაზები, ფორმები, ფერები და გამოსახე შინაური და გარეული ფრინველები და ცხოველები. განსხვავებული მასალის, აპლიკაციისა და კოლაჟის ტექნიკის გამოყენებით „დაასახლე“ ისინი მათთვის ჩვეულ გარემოში; მაგალითად, შინაური ცხოველები – დიდ ეზოში, ფერმაში; გარეული ცხოველები და ფრინველები _ ნაკრძალში ან ზოოპარკში.

შენიშვნა: თითოეული მოსწავლე ქმნის ცხოველის ან ფრინველის მინიმუმ ორ გამოსახულებას. შინაურ ცხოველებს და ფრინველებს თავს ერთად უყრის და „დაასახლებს“ ერთ ფორმატზე - დიდ ეზოში ან ფერმაში. გარეული ცხოველებს ასევე ერთად მოუყრის თავს და განათავსებს ნაკრძალში.

მოსწავლეებმა შეიძლება ქაღალდზე დახატონ რომელიმე ცხოველი და შემდეგ მისი გადაკეცვით მიღებული სივრცობრივი კონსტრუქციები ერთად მოათავსონ მაგიდაზე. ასეთ შემთხვევაში, გადაკეცილ ქაღალდებზე დახატული ცხოველები გარკვეულ სივრცობრივ ეფექტს შეიძენენ, რაც კიდევ უფრო საინტერესოს გახდის მუშაობის პროცესს.

ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

- საერთო ნამუშევარზე მიუთითე რომელ გამოსახულებებზე იმუშავე;
- როგორი ხაზები, ფორმები და ფერები გამოიყენე შინაური და გარეული ცხოველების შესაქმნელად?
- ისაუბრე, რა მასალა და რომელი ტექნიკა გამოიყენე ცხოველთა გამოსახულებების შექმნისას?
- გაიხსენე, როგორი თანმიმდევრობით შექმენი ნამუშევარი, რა ნაბიჯები გადადგი ამ დავალებაზე მუშაობისას?
- ახლა რომ იწყებდე ამ დავალების შესრულებას, რას შეცვლიდი შენს ნამუშევარში?

I კლასი

შეფასება **SOLO 3** ტაქსონომიის გამოყენებით

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

საგანი "სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება"

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახ- ველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი –** სქელი, წვრილი, სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, კლაკნილი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, დიაგონალური;
- **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;
- **ფერი –** ძირითადი და შედგენილი.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია, კოლაჟი, კონსტრუირება;

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნება: მხატვრობა

4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნება: ანიმალისტური ჟანრი.

გამოიყენე შენთვის ცნობილი ხაზები, ფორმები და ფერები და გამოსახე შინაური და გარეული ფრინველები და ცხოველები. განსხვავებული მასალის, აპლიკაციისა და კოლაჟის ტექნიკის გამოყენებით „დაასახლე" ისინი მათთვის ჩვეულ გარემოში, მაგალითად, შინაური ცხოველები - დიდ ეზოში, ფერმაში; გარეული ცხოველები და ფრინველებითავისუფალ გარემოში

კრიტერიუმი სამიზნე ცნება	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები **(ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს ესმის საკითხის არსი, რაც მას ცოდნის განზოგადების საშუალებას აძლევს.	<u>მოსწავლეს შეუძლია:</u> ნამუშევრის შექმნა: მოსწავლეს ესმის საკითხის არსი. გააზრებულად იყენებს მიღებულ ცოდნას,დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. მიზანმიმართულად იყენებს ფორმას (მარტივი გეომეტრიული) მრავალფეროვან ხაზს, მასალასა და ტექნიკას თოჯინების შესაქმნელად. გამოირჩევა ორგინალური ხედვით, შემოქმედებითად იყენებს **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკას**. ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კონსტრუირება) **გარეული და შინაური ცხოველებისა თუ ფრინველების შესაქმნელად .** ნამუშევრის წარდგენა**:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე. ყურადღებას სამახვილებს შესრულებული დავალების ფარგლებში გამოკვეთილ სამიზნე ცნებებზე.	

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი, აკავშირებს საკითხთან დაკავშირებულ ძირითად არსებით სტრუქტურულ ერთეულებს. საშუალებას აძლევს.	<u>მოსწავლეს შეუძლია:</u> ნამუშევრის შექმნა: მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს ნამუშევრის შესაქმნელად. ნამუშევრის წარდგენა:ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე.	<u>მოსწავლეს შეუძლია:</u> ნამუშევრის შექმნა: მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მრავალფეროვან მასალას და ტექნიკას ნამუშევრის შესაქმნელად. ნამუშევრის წარდგენა:ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე.

გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს, მასალასა და ტექნიკას.		
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იცის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გარკვეული ნაწილი.	<u>მოსწავლეს შეუძლია:</u> ნამუშევრის შექმნა: მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებსა და ხერხებს. ნამუშევრის წარდგენა ნამუშევრის წარდგენისას, მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.	<u>მოსწავლეს შეუძლია:</u> ნამუშევრის შექმნა: მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მასალასა და ტექნიკას.. ნამუშევრის წარდგენა ნამუშევრის წარდგენისას,მის მიერ გამოყენებულ მასალასა და ტექნიკას ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იყენებს რამდენიმე მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებას და ხერხს, მასალა და ტექნიკას.	<u>მოსწავლეს შეუძლია:</u> ნამუშევრის შექმნა:გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების მხოლოდ მცირე ნაწილს. ნამუშევრის წარდგენა:ასახელებს მხოლოდ ერთ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებასა თუ ხერხს	<u>მოსწავლეს შეუძლია:</u> ნამუშევრის შექმნა:გააზრებულად იყენებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს ნამუშევრის წარდგენა:ნამუშევრის წარდგენისას, ასახელებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს.
პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	არ აქვს პირობა გააზრებული	არ აქვს პირობა გააზრებული

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

შემოხაზე ის გამოსახულება რომელიც გაკვეთილზე შენ მუშაობას შეესაბამება	

IV თემატური მატრიცა

კლასი: I
თემატური ბლოკი: ადამიანი და ხელოვნება
თემა: შთაბეჭდილება და იდეა
საათების სავარაუდო რაოდენობა: 8

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემისფარგლებში):

- ადამიანები ყველგან და ყველაფრიდან იღებენ შთაბეჭდილებებს, რის შედეგადაც უჩნდებათ საინტერესო იდეები და მათი ასახვა საკუთარ ნამუშევრებში შეუძლიათ;
- მიღებული შთაბეჭდილებების ასახავა შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ხაზის, სხვადასხვა ფორმისა და ფერების საშუალებით, მრავალფეროვენი მასალისა თუ ტექნიკის გამოყენებით.

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახ-ველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)
ქვეცნებები:

- **ხაზი** – სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი;
- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული;
- **ფერი** – ძირითადი და შედგენილი.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგი 2,3,4)
ქვეცნებები: ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი.

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები (შედეგი 1,2. 3,4)
ქვეცნებები: მხატვრობა, არქიტექტურა

4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები (შედეგი1,2,3,4)
ქვეცნება: პეიზაჟი.

საკითხი: ნამუშევარში შესაძლებელია ბუნების, გარემოს, სხვადასხვა სანახაობისა და ხელოვნების ნიმუშებისაგან მიღებული შთაბეჭდილებებისა და განწყობილების გადმოცემა.

საკვანძო შეკითხვები:

- საიდან შეიძლება მიიღოს ადამიანმა შთაბეჭდილებები?
- შენი აზრით, რატომ შეიძლება ადამიანს გაუჩნდეს სურვილი თავად შექმნას ნამუშევარი? რამ შეიძლება უბიძგოს მას ამისაკენ?
- როგორ, რომელი გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით ასახავენ მხატვრები მიღებულ შთაბეჭდილებებს?
- როგორაა შესაძლებელი მიღებული შთაბეჭდილებების ასახვა სხვადასხვა ტიპის ხაზის, გეომეტრიული ფორმების, ფერებისა და სხვადასხვა მასალისა თუ ტექნიკის გამოყენებით?

კომპლექსური დავალების პირობა:

გაიხსენე სანახაობა, რომელმაც შენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ნამუშევარში ასახე შენი შთაბეჭდილებები და იდეები; ამისათვის გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზები, ფორმები და ფერები. შეგიძლია ნამუშევარი აპლიკაციის ტექნიკითაც შეასრულო.

საგანთაშორისი კავშირები:
კავშირი საგნებთან: ბუნება, ქართული. მოსწავლეები შეძლებენ მიღებული ინფორმაციების დაკავშირებას, ერთი და იმავე საკითხის მრავალი კუთხით დანახვას და ცოდნის ტრანსფერს; ერთ დისციპლინაში მიღებული ცოდნის სხვა დისციპლინასთან დაკავშირებას, ცოდნის გამთლიანებას. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ სამყაროს კანონზომიერებათა და ბუნების მოვლენათა შემოქმედებით პრიზმაში დანახვას, გააზრებასა და ასახვას.

განსახილველი ქეისი კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:
მხატვრების, მოქანდაკეების, არქიტექტორებისა და სხვა ხელოვანების შთაგონების წყარო შეიძლება იყოს ბუნების ხედები, ბუნებრივი მოვლენები, ლიტერატურული და მუსიკალური ნაწარმოებები, ყოველდღიური ამბები, მოგზაურობის, თეატრალური წარმოდგენების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებები.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)**
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) • სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. 3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები • ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; • სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** • ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	**ნამუშევრის წარდგენისას, ისაუბრე:** • რა ასახე შენს ნამუშევარზე? • რომელი მასალა და ტექნიკა შეარჩიე ნამუშევარში შთაბეჭდილებების, იდეის/ ჩანაფიქრის გადმოსაცემად და რატომ? • როგორი ტიპის **ხაზები** გამოიყენე? **(ცნება 1)** • რომელი გეომეტრიული ფორმები გამოიყენე? **(ცნება 1)** • რომელი **ფერები** გამოიყენე (ცნება)?

1 **კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები** (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)

ეტაპი I – შუალედური დავალების პირობის გაცნობა

https://www.youtube.com/watch?v=G7Dt9ziemYA
https://www.youtube.com/watch?v=M1xvAhriXl0
https://www.youtube.com/watch?v=xNLjdLadPy0&t=244s
https://www.youtube.com/watch?v=Zr2lILwbvpk
https://artsandculture.google.com/partner/van-gogh-museum

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- რამ მოახდინა შენზე დიდი შთაბეჭდილება (ბუნების ხედმა, ხელოვნების ნიმუშებმა, მულტფილმა თუ სხვ.) რა თემა შეარჩიე შენი ნამუშევრისთვის და რატომ?
- როგორი ხაზები, ფერები და ფორმები გამოიყენე შენი შთაბეჭდილების გადმოსაცემად და რატომ?

კომპლექსური დავალების არსი: კომპლექსური დავალების არსს წარმოადგენს, დაანახოს მოსწავლეს რომ ადამიანს ყველაფრიდან შეუძლია შთაბეჭდილებების მიღება, საინტერესო იდეის გაჩენა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებისა და ხერხების გამოყენებით მათი გადმოცემა ნამუშევარში. მოსწავლეს თავად შეუძლია გადმოსცეს საკუთარი შთაბეჭდილებები სხვადასხვა ტიპის ხაზის, მარტივი გეომეტრიული ფორმებისა და ფერების გამოყენებით. კომპლექსური დავალების ფარგლებში, თითოეულ ნაბიჯზე დამუშავებული საკითხები (ცნებები და ქვეცნებები) ხელს შეუწყობს მოსწავლეს, მიზანმიმართულად გამოიყენოს ისინი კომპლექსური დავალების შესასრულებლად.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1.

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი – სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი;**
- **ფორმა – მარტივი გეომეტრიული;**
- **ფერი – ძირითადი და შედგენილი.**

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია.

3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნებები: მხატვრობა, არქიტექტურა

4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები (შედეგი 1,2. 3,4) ქვეცნება: პეიზაჟი.

<u>გაკვ. 22. ფერადი ქალაქი</u>

მასწავლებლის აქტივობა. მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს შეკითვით:

- როგორი განწყობილება გექმნებათ, როცა ბევრ კაშკაშა ფერს ხედავთ? (ხალისიანი განწყობილება)
- წარმოიდგინეთ მზით გაჩახჩახებული ქალაქი და კაშკაშა ფერებით შეღებილი სახლები. როგორი განწყობილება დაგეუფლებოდათ ამ ქალაქში? მოისურვებდით ასეთ ქალაქში მოგზაურობას და რატომ?

- იცით, რომ მსოფლიოში არსებობს ასეთი ქალაქები, სადაც სახლები სრულიად წარმოუდგენელი კაშკაშა ფერებითაა შეღებილი?

მოსწავლეთა პასუხების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მათ დააკვირდნენ, სახელმძღვანელოში მოცემულ სხვადასხვა ქალაქის ფოტოებს და აღწერონ რა ფერებითაა აქ შეღებილი სახლები.

- მოგწონთ ამგვარი ფერადი სახლებით სავსე ქუჩა და რატომ?
- როგორ განწყობილებაზე გვაყენებს ეს ფერები?
- ისურვებდით, რომ თქვენც ასეთ ქუჩაზე გეცხოვრათ და თქვენი სახლიც ასეთივე ფერებით ყოფილიყო შეღებილი?

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, წარმოიდგინონ ამგვარი ფერადსახლებიანი ქუჩა და თავად გამოსახონ ის საკუთარ ნამუშევარზე აპლიკაციის ტექნიკით, მაგრამ მანამდე მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს დახედონ სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციებს, ასევე, მათი თანატოლების მიერ შექმნილ ნამუშევრებს და პასუხი გასცენ შეკითხვას:

- ჩამოთვალეთ, რომელი გეომეტრიული ფორმები აქვთ გამოყენებული თქვენს თანატოლებს სახლების გამოსახვის დროს? (სამკუთხედი, კვადრატი, ოთკუთხედი)

ილუსტრაციებზე კარგად ჩანს, რომ სახლები სხვადასხვა გეომეტრიული ფორმისგანაა შექმნილი. აქვე წარმოდგენილია მათი კონტურული სქემებიც.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები ამოიცნობენ გეომეტრიულ ფორმებს. საუბრობენ იმის შესახებ, თუ როგორი ფორმების გამოყენებით იქმნება სახლი, მისი კედლები, სახურავი, ფანჯრები.

მოსწავლის აქტივობა: მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს გაიხსენონ ძირითადი და შედგენილი ფერები. მას კალათში მოთავსებული აქვს ფერადი ფურცლები, რომელთაგან ნაწილი 3 ძირითადი ფერისაა (წითელი, ყვითელი, ლურჯი), ნაწილი კი – შედგენილი ფერის (მწვანე, ნარინჯისფერი, იისფერი. ამ ფურცლების ზომა A4 ფორმატის ნახევარზე ნაკლები არ უნდა იყოს). მოსწავლეები კალათიდან იღებენ ერთ ფურცელს და ასახელებენ, რომელი ფერი შეხვდათ, ძირითადია ეს ფერი თუ შედგენილი. მასწავლებელი სთავაზობს მათ, ეს ფურცელი სამუშაოს შესრულების დროს გამოიყენონ; ამ ფერადი ფურცლიდან და კიდევ სხვა ფერადი ფურცლებისაგან გამოჭრან მათი ქალაქის სახლების ფორმები და შემდეგ ფორმატზე დააწებონ.

შენიშვნა: ამ აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა გაიხსენონ წინა თავებში ნასწავლი ძირითადი და შედგენილი ფერები და განიმტკიცონ ცოდნა მათ შესახებ.

მასწავლებელი ურჩევს მოსწავლეებს, ფერადი და ხალისიანი ქალაქი რომ მიიღონ, გამოიყენონ ძირითადი და შედგენილი ფერის ქაღალდები (მათ შორის კალათიდან ამოღებულიც) და ასევე ნებისმიერი სხვა ფერისაც.

დავალების პირობა:

შექმენი ფერადი ქალაქის გამოსახულება აპლიკაციის ტექნიკით. სხვადასხვა ფერის ქაღალდებზე ჯერ ფანქრით მოხაზე გეომეტრიული ფორმები (სამკუთხედი, კვადრატი, ოთხკუთხედი), შემდეგ გამოჭერი, განალაგე ფურცელზე და დააწებე ისე, რომ სხვადასხვა ფორმისა და ფერის სახლები მიიღო; და აი, შენი ფერადი ქალაქიც მზადაა.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები ფერად ქაღალდებზე ფანქრით ხატავენ გეომეტრიულ ფორმებს და შემდეგ ჭრიან.
- მასწავლებელი მათ აძლევს რჩევას, რომ გამოიყენონ როგორც ძირითადი და შედგენილი, ასევე, სხვა ფერებიც მათი სურვილის მიხედვით;

1

- გამზადებული გეომეტრიული ფორმები მოსწავლეებმა თავდაპირველად უნდა განალაგონ ფორმატზე, მათგან შექმნან სახლები, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა თანაბრად შეავსონ ფორმატი გამოსახულებებით, რის შემდეგაც ფორმებს დააწებებენ ფორმატზე;
- ასევე, მათ შეუძლიათ, თავისი სურვილისამებრ, გამოჭრან და დააწებონ ან დახატონ ხეები, ბუჩქები, მზე, ღრუბლები და სხვ.

<u>გაკვ. 23. ხმაურიანი ქუჩა</u>

მასწავლებლის აქტივობა. გაკვეთილი იწყება შეკითხვებით:

- ყოფილხართ დიდ ქალაქში და გაგივლიათ მის განიერ და მოძრაობით სავსე ქუჩებში (დიდი ქალაქების სკოლებში, ცხადია, ეს კითხვა არ დაისმება).
- როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს დიდი ქალაქის ხმაურიანი, მაქანებით სავსე ქუჩები? (მღელვარების, მოძრაობის, მოუსვენრობის) და რა ქმნის ამ შთაბეჭდილებას? (მოფუსფუსე ადამიანები, სწრაფად მოძრავი მანქანები და ა.შ.).

საბოლოოდ მასწავლებელი აჯამებს კითხვა-პასუხს: დიდი ქალაქის ქუჩა ყოველთვის ძალზე ხმაურიანი და მოძრავია: ადამიანები სადღაც მიიჩქარიან, მანქანები მიქრიან, შუქნიშნები თვალს უპაჭუნებენ მძღოლებს, დგანან და დღე და ღამე მუშაობენ.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელს მუყაოსაგან ან ქაღალდისაგან წინასწარ აქვს დამზადებული შუქნიშანი (შესაძლოა ელექტრონული რესურსი ჰქონეს მომზადებული), ოღონდ ამ შუქნიშანზე წითლის, ყვითლისა და მწვანის ნაცვლად გამოსახულია სამი ძირითადი ფერი: წითელი, ყვითელი და ლურჯი; ანუ მწვანის ნაცვლად ქვედა წრეში ლურჯი ფერია განთავსებული. მასწავლებელი წარუდგენს ამ შუქნიშანს მოსწავლეებს და ეკითხება:

- დააკვირდით ამ შუქნიშანს, რა არის მასზე უჩვეულო?

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები თავიდანვე აღმოაჩენენ, რომ მასწავლებლის მიერ მოტანილ შუქნიშანზე შეცდომაა და მწვანის მაგივრად ლურჯი ფერია გამოსახული. რის შემდეგაც მასწავლებელი სვამს შეკითხვებს:

- შუქნიშნის ფერებიდან რომელია ძირითადი ფერები, რომელია – შედგენილი (წითელი, ყვითელი – ძირითადი, მწვანე – შედგენილი).

შენიშვნა: ამ აქტივობის დროს მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს გაახსენოს, რას აღნიშნავს შუქნიშნის თითოეული ფერი.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი ახლა ქალაქის ხმაურიანი ქუჩის ყველაზე ხმაურიან „არსებებზე“ – მანქანებზე მიაპყრობს მოსწავლეების ყურადღებას. იგი სთხოვს მათ, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ დახატულ მანქანებს და მათ სქემებს და მათზე იპოვონ მათთვის ცნობილი მარტივი გეომეტრიული ფორმები.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები ადვილად ამოიცნობენ აქ წრეს (ბორბალი, საჭე) ოთხკუთხედს (სატვირთო მანქანის შემთხვევაში და ა.შ.). მოსწავლეთა პასუხების შემდეგ, მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, შექმნან ხმაურიანი ქუჩა.

დავალების პირობა:

დახატე ხმაურიანი ქუჩა _ მანქანებით, შუქნიშნებით, ქუჩის პირას განლაგებული სახლებით, ხეებით და ა. შ. შენი სურვილისამებრ გამოიყენე გეომეტრიული ფორმები და ფერები.

შენიშვნა:

სახლების შექმნის გამოცდილება მოსწავლეებს უკვე მიღებული აქვთ წინა გაკვეთილზე და ახლა მას განამტკიცებენ.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები საკუთარი სურვილისამებრ ირჩევენ, რას დახატავენ ნამუშევარში და როგორ გაანაწილებენ გამოსახულებებს ფორმატზე;
- ისინი თავად განსაზღვრავენ, როგორ მანქანებს დახატავენ, როგორ ფორმებს და რომელ ფერებს გამოიყენებენ ამისათვის;
- მათ შეუძლიათ ხმაურიანი ქუჩის პირას ფერადი სახლებიც ჩაამწკრივონ (ამის გამოცდილება მათ წინა გაკვეთილიდან უკვე აქვთ);
- მათ შეუძლიათ ასევე, თავად შეარჩიონ სახატავი მასალა (ფანქრები, ფლომასტერები, საღებავები);
- პრეზენტაციის დროს მათ უნდა ისაუბრონ იმაზე, თუ რა გამოსახეს ნამუშევარზე, როგორი ფორმები და ფერები გამოიყენეს და რატომ?
- პრეზენტაციისას მათ უნდა ისაუბრონ, რამდენად ასახეს მათ ნამუშევარში ხმაურიანი ქუჩის განწყობილება და როგორ გადმოსცეს ის?

ნაბიჯი 2

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი –** სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი;
- **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;
- **ფერი –** ძირითადი და შედგენილი.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, ძერწვა, კოლაჟი.

3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნება: მხატვრობა.

4. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნება: პეიზაჟი.

<u>გაკვ. 24. ბუნება და განწყობილება</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს, რომ ბუნება, მისი ხედები ადამიანებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. იგი სთხოვს მოსწავლეებს, გაუზიარონ ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება და უპასუხონ შეკითხვებს:

- გინახავთ ბუნების შთამბეჭდავი ხედი და სად?
- როგორ იყო ეს ხედი და რა ემოცია გამოიწვია თქვნში (აღფრთოვანება, შიში, განცვიფრება და ა.შ.)?

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეთა პასუხები განსხვავებული იქნება.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში მოცემულ ორ ფოტოს. ერთზე ჩანჩქერია წარმოდგენილი, მეორეზე კი ტყე, რომელშიც მზის სხივები ატანს.

1

- როგორ განწყობილებას გიქმნის ჩანჩქერის ფოტო? (მღელვარების, ხმაურის შთაბეჭდილება);
- როგორ შთაბეჭდილებას ქმნის ტყე? (სიმშვიდის, სიჩუმის შთაბეჭდილებას).

მასწავლებლის აქტივობა: ბუნებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას მხატვრები ხშირად გადმოსცემენ თავიანთ ნამუშევრებში. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში მოცემულ მხატვართა ნამუშევრებს: ჰოკუსაისა და უილიამ ტერნერის სურათებს და უპასუხონ შეკითვებს:

- აღწერეთ რა არის გამოსახული ჰოკუსაის ორ ნამუშევარზე, იმსჯელეთ, როგორ შთაბეჭდილებას ახდენს ეს ორი ნამუშევარი? (პირველი ნამუშევარზე მთაა გამოსახული, მეორეზე – მღელვარე ზღვა. პირველ ნამუშევარი სიმშვიდის შთაბეჭდილებას ქმნის, მეორე – მღელვარების).
- რით აღწევს ამ შთაბეჭდილებას ჰოკუსაი თავის ნამუშევრებში: ფერით, ხაზით, ფორმით? (პეიზაჟზე მთით სამკუთხა ფორმის მთა სიმყარის და სიმშვილის შთაბეჭდილებას ქმნის; წვრილი, ოდნავ დატალღული ხაზებიც ფონზე სიმშვიდის შთაბეჭდილების შექმნას უწყობს ხელს. მეორე სურათზე, მაღალი ტალღა, რომელსაც ძლიერი ღელვისაგან თავზე თითქოს ქაფი მოჰკიდებია და წვრილი, რკალური ხაზებით გამოსახული წყლის შხეფები მოძრაობის, მღელვარების შთაბეჭდილებას ქმნის, რასაც ხელს უწყობს მუქი ლურჯისა და თეთრი ფერების დაპირისპირება).
- როგორ ხაზებს იყენებს ჰოკუსაი მღელვარე ტალღების ასასახად? (ხვეულ ხაზებს);
- აღწერეთ უილიამ ტერნერის პეიზაჟი და განსაზღვრეთ, როგორ შთაბეჭდილებას ახდენს ის თქვენზე და რატომ? როგორ ფერებს იყენებს მხატვარი ამ შთაბეჭდილების მისაღწევად? (პირქუში, სევდიანი შთაბეჭდილებაა ამ სურათზე და ამას განსაზღვრავს მუქი ყავისფრით, შავითა და ნაცრისფრით გამოსახული ცა და ამ ფერების დაპირისპირება თეთრთან).

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, გაიხსენონ რომელიმე ისეთი შემთხვევა, როდესაც ბუნების ხედმა მათზე შთაბეჭდილება მოახდინა, დახატონ ეს ხედი და გადმოსცენ საკუთარი შთაბეჭდილება.

დავალების პირობა:

დახატე პეიზაჟი, რომელმაც შენზე შთაბეჭდილება მოახდინა. გადმოეცი განწყობილება შესაბამისი ხაზებით, ფერებითა და ფორმებით.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები ქმნიან პეიზაჟებს და ხაზებით, ფორმებითა და ფერებით გადმოსცემენ მიღებულ შთაბეჭდილებებს.
- ისინი თავად ირჩევენ სახატავ მასალას.
- ნამუშევრის დასრულების შემდეგ საუბრობენ რა გამოსახეს თავიანთ ნამუშევარში, ანუ ბუნების როგორი ხედი დახატეს.
- ისინი საუბრობენ, როგორი შთაბეჭდილების გადმოცემა სურდათ ნამუშევარში და როგორი ფორმები, ხაზები და ფერები გამოიყენეს ამისათვის.

<u>გაკვ. 25. ღამის ცა</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს, რომ მათ წინა გაკვეთილზე სხვადასხვაგვარი პეიზაჟები დაათვალიერეს და განიხილეს, მაგრამ ყველგან იმ პეიზაჟებზე დღე იყო გამოსახული.

- თუ იცით, მხატვრები ხატავენ თუ არა ღამის პეიზაჟებს?

- თქვენ ხომ არ გქონიათ სურვილი ღამის ბუნების ხედი დაგეხატათ?
- რა არის ყველაზე შთამბეჭდავი ღამე და რატომ?

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები პასუხობენ ამ შეკითხვებს. უკანასკნელ შეკითხვაზე ალბათ ისინი უპასუხებენ, რომ რადგან ღამით ბნელა და ბუნება კარგად არ ჩანს, ყველაზე საინტერესო და შთამბეჭდავი არის ცა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის მოწმენდილია და მოჭედილია ვარსკვლვებით.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს, რომ მათ ალბათ უნახავთ ვარსკვლავებით მოჭედილი ღამის ცა და შეუმჩნევიათ, რომ ზოგიერთი ვარსკვლავი შედარებით დიდია, ზოგი – პატარა. ლურჯ ცაზე ვარსკვლავები ისე ციმციმებენ, თითქოს თვალს გვიკრავენ და გვესალმებიან. ეს მართლაც მშვენიერი სანახაობაა, რომელსაც მხატვრები სიამოვნებით ხატავენ.

შეკითხვები:

- დააკვირდით ვან გოგის მიერ დახატულ სურათს, რომელზეც ღამეა გამოსახული და აღწერეთ ის.
- სულ რამდენი ფერი აქვს გამოყენებული ვან გოგს ამ სურათზე? (ორი ძირითადი ფერი: ლურჯი და ყვითელი)
- რა ფერით ხატავს ვან გოგი ღამეს და რა ფერს იყენებს ის ვარკვლავებისათვის და რატომ?
- როგორ შთაბეჭდილებას ქმნის ეს სურათი?

ამ ნამუშევრის აღწერისას, მოსწავლეებმა უნდა აღნიშნონ, რომ აქ შორს გამოსახულია ნაპირი, წინ კი წყალია, (ტბა ან ზღვა). შორეულ ნაპირზე ალაგ–ალაგ დახატული განათებები წყლის ზედაპირზე ყვითელ ბილიკებად გამოუსახავს მხატვარს. სურათის ზედა ნაწილი კი ყვითელი მანათობელი ვარსკვლავებით მოჭედილ ცას უჭირავს. ვან გოგი ვარსკვლავებს მანათობელი ყვავილების ფორმით ხატავს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ისინი მართლაც ციმციმებენ და შუქს გამოსცემენ. ღამეს ვან გოგი ლურჯი ფერით ხატავს, წყალიცა და ცაც, ორივე ერთნაირი ლურჯი ფერითაა გამოსახული, რაც თითქოს პირქუშ შთაბეჭდილებას უნდა ქმნიდეს, მაგრამ ამ მუქს ისე ახალისებს სანაპიროზე არსებული ლამპიონებისა და ცაზე ვარსკვლავების ყვითელი შუქის ციმციმი, რომ მათი შემხედვარე თითქოს ვხალისდებით კიდეც.

მასწავლებელი სთვაზობს მოსწავლეებს, დახატონ ღამის ცა, მაგრამ ხატვასთან ერთად ძერწვაც გამოიყენონ.

დავალების პირობა:

შექმენი ღამის ცის ხედი. გამოსახე მასზე ვარსკვლავები, მთვარე, პლანეტებიც კი. იფიქრე, რომელ ფერებს გამოიყენებ ამ ნამუშევარში, როგორი ფორმის ვარსკვლავებს შექმნი, შენი მთვარე წრიული ფორმის იქნება, ნახევარწრიული თუ ნამგალა? რა ფერის იქნება ვარსკვლავები, მთვარე და პლანეტები? შეგიძლია ისინი პლასტილინით გამოძერწო და შენს ნახატზე დაამაგრო.

შენიშვნა: მასწავლებელმა მოსწავლეებს წინასწარ უნდა აუხსნას, რომ მათ შეუძლიათ ნამუშევარში ზოგიერთი გამოსახულება დახატონ, ზოგიერთი კი ფურცელზე პლასტილინით დაძერწონ. მასწავლებელს შეუძლია სახელმძღვანელოში მოცემული მსგავსი ტექნიკით შესრულებული ნამუშევარი ნიმუშის სახით გააცნოს მოსწავლეებს.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ, რას გამოსახავენ ნამუშევარზე (მთვარეს, ვარსკვლავებს, პლანეტებს) და მოხაზონ მათი ფორმები ფურცელზე.
- მათ შეუძლიათ ფერადი ფურცელი გამოიყენონ და შეუძლიათ თავად გააფერადონ ის.

- მოსწავლეებმა უნდა გადაწყვიტონ, რომელი გამოსახულება იქნება მათ ნამუშევარში დახატული და რომელი – დაძერწილი.
- გამოსახულებებს, რომლებსაც ისინი ფურცელზე პლასტილინით დაძერწავენ, წინასწარ უნდა მისცენ სასურველი ფორმა და მერე დაიტანონ ქაღალდზე. ხელით კარგად დატკეპნონ, რომ არ აძვრეს. მათ უნდა გაითვალისწინონ, რომ პლასტილინის ფენა ძალიან სქელი არ უნდა იყოს, რათა ქაღალდი ძალიან არ დაამძიმოს.
- პრეზენტაციის დროს მათ უნდა ისაუბრონ რა ფერისააა ღამე მათ ნამუშევარში?
- ასევე, უნდა ისაუბრონ რა ფერისაა ვარსკვლავები მათ ნამუშევარში (თეთრი თუ ყვითელი), როგორი ფორმა აქვს ვარსკვლავებს და რატომ? (ვარსკვლავის, ყვავილის თუ კიდევ რაიმე სხვა).
- მოსწავლეებმა ასევე უნდა ისაუბრონ, რომელი გამოსახულებები დააძერწეს სურათზე, რომელი დახატეს და რატომ?
- პრეზენტაციის დროს მათ ასევე უნდა აღნიშნონ, როგორი შთაბეჭდილების შექმნა უნდოდათ ამ ნამუშევარში, მიაღწიეს თუ არა სასურველ შედეგს და როგორ.

<u>გკვ.26. მუზეუმში</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს, რომ ბუნების გარდა, ადამიანებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ხელოვნების ნიმუშები. ისინი მოქმედებენ ჩვენზე, იწვევენ ჩვენში ხვადასხვა გრძნობას, გვიჩენენ ახალ იდეებს.

შეკითხვები:

- თუ იცით, სად არის ხოლმე თავმოყრილი ხელოვნების ნიმუშები? (მუზეუმში)
- ყოფილხართ როდისმე მუზეუმში? თუ ყოფილხართ, მოგვიყევით, რამ მოახდინა იქ თქვენზე შთაბეჭდილება?

მოსწავლეების პასუხის შემდეგ, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ისაუბრონ სახელმძღვანელოში მოცემულ მხატვართა ნამუშევრების შესახებ და იგი სვამს შეკითხ-ვებს:

- აღწერეთ რა არის გამოსახული მარკ შაგალის ნამუშევარზე (აქ გამოსახულია ქალი, რომელიც ღამის ცაზე მიფრინავს; მას ხელში თაიგული უჭირავს, რომელზეც თეთრი ჩიტი ზის. უკან ქალაქის ხედი მოჩანს, წინ კი სურათის მარცხენა ქვედა კუთხეში წითელ მამალს ვხედავთ. მოსწავლეებმა სეიძლება ისიც თქვან, რომ სურათი იმდანად უჩვეულოა, რომ ეს შესაძლოა მხატვრის სიზმარი იყოს).
- როგორ განწყობილებას გიქმნით ეს სურათი? (სევდიანი, საიდუმლოებით სავსე, უჩვეულო)
- რა ქმნის ამ განწყობილებას? (ლურჯი ფერი, ქალის ცაში მფრინავი ფიგურა, შორს ბურუსში გავეული ქალაქის ხედი).

მასწავლებლის აქტივობა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოს მომდევნო გვერდზე წარმოდგენილ ვან გოგის ორ ნამუშევარს და ასევე მათ გვერდით განლაგებულ მათი თანატოლების ნახატებს და სვამს შეკითხვებს:

- არის თუ არა რაიმე საერთო ვან გოგის ღამის პაიზაჟსა და მის გვერდით მოსწავლის ნახატს შორის?
- არის თუ არა რაიმე საერთო ვან გოგის აყვავებულ ხესა და მოსწავლის მიერ დახატულ ხეს შორის?

მოსწავლის აქტივობა:

მოსწავლეები სურათებზე დაკვირვების შედეგად ალბათ შენიშნავენ, რომ მათ თანატოლებს თავიანთი ნამუშევრები, როგორც ჩანს, ვანგოგის სურათების მიხედვით აქვთ შექმნილი. მასწავლებელი მათ უხსნის, რომ მხატვრის სურათებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს მოსწავლეებზე და მათაც გადაწყვიტეს ვან გოგის სურათების შთაგონებით საკუთარი ნამუშევრები შეექმნათ, მაგრამ თუ მოსწავლეები დააკვირდებიან, დაინახავენ, რომ მათმა თანატოლებმა ზუსტად კი არ გაიმეორეს მხატვრის სურათები, არამედ შეცვალეს დეტალები, სხვაგვარად დახატეს ისინი.

დავალების პირობა:

გაიხსენე ხელოვნების ნიმუში, რომელსაც შენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა და იდეები გაგიჩინა. შენი იდეა და შთაბეჭდილება ასახე ნამუშევარში, რომელსაც შესაბამისი ფორმებით, ფერებითა და ხაზებით გადმოსცემ.

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება

<u>გაკვ. 27. სანახაობა და შთაბეჭდილება</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს შეკითხვით:

- ყოფილხართ როდისმე ცირკში, თეატრში ან ფეხბურთის მატჩზე?
- რა შთაბეჭდილებებით წამოსულხართ იქიდან?

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები განსხვავებულ გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს და მასწავლებელს.

მასწავლებლის აქტივობა: გაიხსენე ბუნების ხედი, სპექტაკლი, ფილმი, რომელიმე სანახაობა, ხელოვნების ნიმუში, რომელმაც შენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. მასწავლებელი შენიშნავს, რომ მოსწავლეებმა ალბათ ამ სანახაობებიდან ბევრი სასიამოვნო შთაბეჭდილება მიიღეს. იგი სთავაზობს მოსწავლეებს, თამაშს, რომლის დროსაც იგი მათ სხვადასხვა სანახაობის ფოტოს აჩვენებს და მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ რომელი სანახაობაა აღბეჭდილი მათზე.

შენიშვნა: მასწავლებელს შუძლია, სახელმძღვანელოში მოცემული ფოტოები გამოიყენოს, მაგრამ ასევე, მას შეუძლია თავისი შეხედულებისამებრ კიდევ დაამატოს სხვა ფოტოებიც.

თამაშის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი აჯამებს მათ პასუხებს და მოსწავლეებს ესაუბრება იმის შესახებ, რომ სანახაობებიდან მიღებული შთაბეჭდილებების გადმოცემა და სხვებისთვის გაზიარება შესაძლებელია ნამუშევარში. მხატვრები ხშირად ხატავენ ცირკის, დოღის, ბალეტის თუ სხვა სანახაობების სცენებს. იგი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ ედგარ დეგას ბალერინას, მარკ შაგალის აკრობატს, გუსტავ კლიმტის მუსიკოსს, რომელიც ლირაზე უკრავს.

შენიშვნა:

ლირა – სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, თავად შექმნან ნამუშევარი, რომელშიც გადმოსცემენ რომელიმე სანახაობიდან მიღებულ შთაბეჭდილებას და აძლევს მათ დავალებას.

დავალების პირობა:

გაიხსენე სანახაობა, რომელმაც შენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ნამუშევარში ასახე შენი შთაბეჭდილებები და იდეები; ამისათვის გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზები, ფორმები და ფერები. შეგიძლია ნამუშევარი აპლიკაციის ტექნიკითაც შეასრულო.

შენიშვნა:

თემები ამ დავალების შესასრულებლად ძალზე მრავალფეროვანი შეიძლება იყოს და მასწავლებელმა გარკვეული რჩევები შეიძლება მისცეს მოსწავლეებს. მაგ., თუ რომელიმე ბიჭუნა ჭიდაობითაა გატაცებული, მას შეუძლია გამოსახოს გამარჯვებული მოჭიდავე ან მისი დაჯილდოვება, როდესაც იგი პედესტალზე დგას, ისმის ქვეყნის ჰიმნი და ჩვენი დროშა ზემოთ მიიწევს. თუ რომელიმე გოგონას ბალეტი იზიდავს, მას შეუძლია ბალერინები დახატოს და ა.შ.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლე შეარჩევს თემას თავისი ნამუშევრისათვის (ცირკი, თოჯინების თეატრი, ფეხბურთი, ბალეტი, ჭიდაობა, ფიგურული სრიალი, კონცერტი და სხვ.).
- მოსწავლე მოიფიქრებს რას გამოსახავს ნამუშევარში და როგორ.
- პრეზენტაციისას ისაუბრებს რომელი თემა ანუ სანახაობა შეარჩია, კონკრეტულად რა გამოსახა და რატომ. ასევე ისაუბრებს, როგორ გამოსახა ეს სცენა და რატომ.

ნამუშევრის წარდგენისას, ისაუბრეთ:

- რა ასახე შენს ნამუშევარზე?
- ისაუბრე, იმ შთაბეჭდილებებზე, რომლის ასახვაც გსურდა?
- ისაუბრე როგორი ხაზები, ფორმები და ფერები გამოიყენე გამოსახულებების შესაქმნელად და რატომ?
- ისაუბრე, რომელი მასალა და ტექნიკა გამოიყენე ნამუშევრის შექმნისას?
- გაიხსენე, როგორ გამოიყენე წინა გაკვეთილებზე მიღებული ცოდნა?
- რას გააკეთებდი განსხვავებულად ახლიდან რომ იწყებდე ამ დავალების შესრულებას? (რაიმეს შეცვლიდი შენს ნამუშევარში, მაგ., დაუმატებდი რაიმეს თუ რომელიმე დეტალს განსხვავებულად შექმნიდი / დახატავდი?).

I კლასი

შეფასება **SOLO** ტაქსონომიის გამოყენებით

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

საგანი „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახ- ველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი** – სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი;
- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული;
- **ფერი** – ძირითადი და შედგენილი.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი.

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნებები: მხატვრობა, არქიტექტურა

4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები (შედეგი1,2,3,4)

ქვეცნება: პეიზაჟი.

დახატე სანახაობა, რომელმაც შენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. შენი შთაბეჭდილებები და იდეები ასახე შენს ნამუშევარში. ამისათვის გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზი, ფორმა, ფერები. ნამუშევარი შეგიძლია აპლიკაციის ტექნიკითაც შეასრულო

კრიტერიუმი სამიზნე ცნება	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები **(ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს ესმის საკითხის არსი, რაც მას ცოდნის განზოგადების საშუალებას აძლევს.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლეს ესმის საკითხის არსი. შეუძლია საკუთარი შთაბეჭდილებების ასახვა,რისთვისაც გააზრებულად და მიზანმიმართულად იყენებს მიღებულ ცოდნას, იყენებს ხაზს (სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური; ფორმას (მარტივი გეომეტრიული) ძირითად და შედგენილ ფერებს, მრავალფეროვან მასალასა და ტექნიკას მიღებული შთაბეჭდილებების გდამოსაცემად ნამუშევრის წარდგენა: ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე. ყურადღებას სამახვილებს შესრულებული დავალების ფარგლებში გამოკვეთილ სამიზნე ცნებაზე.	

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი, აკავშირებს საკითხთან დაკავშირებულ ძირითად არსებით სტრუქტურულ ერთეულებს. საშუალებას აძლევს. გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს, მასალასა და ტექნიკას.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს მიღებული შტაბეჭდილებების გადმოსაცემად ნამუშევარში **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მრავალფეროვან მასალას და ტექნიკას ნამუშევარში საკუთარი შთაბეჭდილებების გადმოსაცემად. შესაქმნელად. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იცის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გარკვეული ნაწილი.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებსა და ხერხებს. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მასალასა და ტექნიკას.. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას,მის მიერ გამოყენებულ მასალასა და ტექნიკას ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იყენებს რამდენიმე მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებას და ხერხს, მასალა და ტექნიკას.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების მხოლოდ მცირე ნაწილს. **ნამუშევრის წარდგენა:** ასახელებს მხოლოდ ერთ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებასა თუ ხერხს.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** გააზრებულად იყენებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, ასახელებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს.
პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	არ აქვს პირობა გააზრებული	არ აქვს პირობა გააზრებული

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

შემოხაზე ის გამოსახულება რომელიც გაკვეთილზე შენ მუშაობას შეესაბამება	

V თემატური მატრიცა

კლასი: I
თემატური ბლოკი: ხელოვნება ჩვენ გარშემო
თემა: სად ვიპოვოთ ხელოვნება
საათების სავარაუდო რაოდენობა: 6 თ

თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები (განზოგადებები თემის ფარგლებში):

- ადამიანები ხელოვნების ნიმუშებს ხვდებიან როგორც მუზეუმებში და გალერეებში, ასევე, ყოველდღიურ ცხოვრებაში (ნახატები, ქანდაკებები, შენობები, სამოსი, საყოფაცხოვრებო საგნების დიზაინი და სხვ.)

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,2,3,4)
ქვეცნებები:

- **ხაზი** – სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი;
- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;
- **ფერი** – ძირითადი და შედგენილი.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგი 2,3,4)
ქვეცნებები: ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, ანაბეჭდი, კოლაჟი, კონსტრუირება;

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები (შედეგი 1,2. 3,4)
ქვეცნებები: მხატვრობა, ქანდაკება, არქიტექტურა, გამოყენებითი ხელოვნება.

საკითხი – ხელოვნება ყოველდღიურ ცხოვრებაში

საკვანძო შეკითხვები:

- როგორი ფორმით ვხვდებით ხელოვნებას ყოველდღიურად?
- როგორ ამოვიცნო ხელოვნების სხვადასხვა დარგი?
- რომელი პროფესიები გვხვდება ხელოვნებაში?

კომპლექსური დავალების პირობა:

შექმენი დიორამა „ხელოვნების ქუჩა“. დახატე ან სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით გამოსახე გარემო: მთები, ღრუბლები და სხვ. ააგე ნაგებობები, მორთე სხვადასხვაგვარი ხაზით, ფორმით და ჩაამწკრივე შენს ქუჩაზე. გამოძერწე ან მარტივი კონსტრუქციით შექმენი ზღაპრების გმირები (მაგ., კონკია, წითელქუდა, ჯამბო და სხვ.) და განალაგე „ხელოვნების ქუჩაზე“.

განსახილველი ქეისი კომპლექსური დავალების განსახორციელებლად:

ბავშვებმა გადაწყვიტეს ემოგზაურათ საკუთარ ქვეყანაში და მოენახულებინათ ყველა ის ადგილი, სადაც ხელოვნების ამა თუ იმ დარგის ნამუშევარს შეხვდებოდნენ. რასაკვირველია, წინასწარ მოემზადნენ, რუკაზე იპოვეს ყველა მუზეუმი და გალერეა და საგულდაგულოდ დაგეგმეს საინტერესო მოგზაურობა.

თუმცა საქმე ისაა, რომ მათ ეს მოგზაურობა ვირტუალურად დაგეგმეს და განახორციელეს. ინტერნეტი და კომპიუტერი დღეს შესანიშნავ შესაძლებლობას გვთავაზობს შინიდან გაუსვლელად მოვინახულოთ საინტერესო ადგილები, დავტკბეთ მათი სილამაზით, ვიხეტიალოთ ძველი ქალაქების ქუჩებში, დავათვალიეროთ არქიტექტურის ნიმუშები და ქანდაკებები. ამ საინტერესო მოგზაურობის შედეგებს კი მოსწავლეები ხელოვნების ყველა გაკვეთილზე გაუზიარებენ კლასს.

სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:	**შეფასების კრიტერიუმები (კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მისადაგებული)**
1. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) • სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას, ანუ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშუალებებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და და ხერხებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.). **2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა.** • ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასა და ტექნიკას. **3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები** • ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; • სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების თითოეული დარგისათვის რომელიმე მხატვრული საშუალებაა მეტად დამახასიათებელი. • **4. სახვითი ხელოვნების ჟანრები** • ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.	**ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:** • რა მასალა და ტექნიკა გამოიყენე ხელოვნების ქუჩაზე ნაგებობებისა და გარემოს შესაქმნელად? • როგორი ფორმების, ფერების, მასალისა და ტექნიკის გამოყენებით შექმენი ზღაპრების გმირები, ნივთები; შენობები?

1

კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები).

ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა

რესურსები:

https://artsandculture.google.com/story/HQXxJGKCu3jYcg

https://artsandculture.google.com/project/shenzhen

https://www.youtube.com/watch?v=eB91flTprsI

კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:

- როგორ შევქმნა ნამუშევრები საკუთარი შთაბეჭდილებების გადმოსაცემად და როგორი ხაზები, ფორმები და ფერები გამოვიყენო მისი შექმნისას?
- როგორ შევარჩიო მასალა და ტექნიკა კომპლექსური დავალების შესასრულებლად?
- რა სპეციფიური ნიშნები აქვს კომპლექსური დავალების ფარგლებში შესრულებულ ხელოვნების ნაწარმოებს? ხელოვნების რომელ დარგს მიეკუთვნება ის?

კომპლექსური დავალების არსი: კომპლექსური დავალების არსს წარმოადგენს, დაანახოს მოსწავლეს რომ მას ყველგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხვდება ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნამუშევრები. თითოეულ დარგს გააჩნია თავისებურებები, რაც ამ დარგის სპეციფიკით არის განპირობებული. ამდენად, განსხვავებულია სხვადასხვა დარგის ხელოვნების ნამუშევრის მასალა, ტექნიკა, გამოყენებული გამომსახველობითი საშუალებები. პრაქტიკული ნამუშევრის შესრულებისას მოსწავლემ ეს უნდა გაითვალისწინოს და ასე შეარჩიოს შესაბამისი მასალა, ტექნიკა, გამომსახველობითი საშუალებები, ელემენტები და პრინციპები.

ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა

ნაბიჯი 1

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი** – სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, დიაგონალური;
- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული, ბუნებაში არსებული;
- **ფერი** – ძირითადი და შედგენილი.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, ანაბეჭდი.

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები

ქვეცნებები: არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა, გამოყენებითი ხელოვნება.

4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები

ქვეცნებები:

რესურსები:

https://www.boredpanda.com/top-33-worlds-strangest-buildings/?utm_source=google&utm_medium=organic&utm_campaign=organic

https://www.boredpanda.com/strangest-sculptures-from-around-the-world/?utm_source=-google&utm_medium=organic&utm_campaign=organic

https://matadornetwork.com/read/statues-honor-sacred-mythical-endangered-animals/https://www.pinterest.ca/nju/pottery-designs/

<u>გაკვ. 28. უცნაური ფორმის ნაგებობები</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ფოტოებს და აღწერონ ნაგებობები, ხომ არ ამსგავსებენ რომელიმე გამოსახულებას ან ნივთს?

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს; სავარაუდოდ, ასახელებენ სხვადასხვა გამოსახულებებს. მაგ., ერთი სახლი უკუღმაა ამოტრიალებული, მეორე თევზის ფორმისაა და ა.შ.

ამ აქტივობისას მასწავლებელმა მოსწავლეების ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, თუ როგორი ფორმებია გამოყენებული ამ ილუსტრაციებზე წარმოდგენილ შენობებში და დაუსვას დამაზუსტებელი შეკითხვები:

- როგორი ფორმები ჭარბობს სიდნეის თეატრის შენობაში? (აქ სხვადასხვა ზომის სამკუთხედებია გამოყენებული); თბილისის ხიდზე (ტალღოვანი ფორმა), რივერსაიდის მუზეუმის ნაგებობაზე (ზიგზაგისებური ტეხილი ფორმა);
- როგორი ფორმებია გამოყენებული პოლონეთის ერთ–ერთ სახლზე? (დაბრეცილი, ტალღოვანი).

მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რომ ნებისმიერ შენობას და, მათ შორის, ასეთ უჩვეულო შენობებსაც აქვს სახურავი, კარი და ფანჯრები. შესაძლოა ისინიც უჩვეულო ფორმისაა, მაგრამ მათ გარეშე არქიტექტურა წარმოუდგენელია.

- რატომაა წარმოუდგენელი შენობა სახურავის, კარისა და ფანჯრების გარეშე? (შენობას სახურავი სჭირდება წვიმის, ქარის, თოვლის, მზისა და ბუნების სხვა მოვლენებისაგან ადამიანის დასაცავად; შენობას აუცილებელია ჰქონდეს შესასვლელი და გამოსასვლელი; ფანჯრები საჭიროა იმისათვის, რომ შენობაში შევიდეს შუქი და ჰაერი).

შესაძლებელია, მასწავლებელმა აქვე კითხოს მოსწავლეებს, რა ქვია იმ პროფესიის მქონე ადამიანს, ვინც ნაგებობებს აშენებს?

მოსწავლის აქტივობა: შესაძლოა, რომელიმე მოსწავლემ დაასახელოს არქიტექტორი. სხვა შემთხვევაში მასწავლებელი თავად ასახელებს მას. აქტივობის არსი ისაა, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ არქიტექტორები, ჩვეულებრივ, ტრადიციულ ნაგებობებთან ერთად, სხვადასხვა უჩვეულო ფორმის შენობებსაც აგებენ, მაგრამ როგორც არ უნდა განსხვავდებოდეს ისინი ერთმანეთისაგან, ეს მაინც არქიტექტურაა.

შენიშვნა: ამ ეტაპზე მოსწავლეებს არ ვთხოვთ, რომ იმთავითვე დაიმახსოვრონ სიტყვა არქიტექტორი, ვინაიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ხშირად გაჟღერებული ეს სიტყვა მაინც დარჩება მათ მეხსიერებაში და აღარ ეუცხოვებათ შემდეგ, როდესაც საუბარში ან წიგნებში შეხვდებიან მას.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს: მოდით, მოვიფიქროთ, რომელი საგნებისაგან შეგვიძლია ავაგოთ შენობები. მერხზე ამოალაგეთ წიგნები, ფანქრები, ფურცლები, საშლელი, პენალი, ნებისმიერი სხვა ნივთი, რომლის ფორმის გამოყენება შეგიძლიათ მარტივი კონსტრუქციის ასაგებად. თავად გადაწყვიტეთ, რას ააგებთ, რომელ საგანს გამოიყენებთ და როგორ შექმნით „შენობას“ სხვადასხვა ფორმის საგნებისაგან.

რეკომენდაცია: შესაძლებელია, მასწავლებელმა მოსწავლეებს მიაწოდოს რაიმე იდეა ან, საჭიროების შემთხვევაში, თავადაც აჩვენოს მოსწავლეებს ასეთი კონსტრუქციის შექმნის მაგალითი. მაგ., ირიბად დაყენებული, შეტყუპული წიგნებით შეიძლება პირამიდის ფორმის შექმნა. კალმისტარი ან ფანქარი, რომელსაც წვერზე წამოცმული აქვს მრგვალი

1 საშლელი, ანძისმაგვარ ფორმას შექმნის. ასევე, მერხზე დაყენებულ სქელ რვეულებს ან წიგნებს შორის თაღის მაგივრობას გასწევს ნახევარწრიულად მოკეცილი ფურცელი, რომლის ნაპირებიც შეიძლება წიგნების გვერდებს შორის შეაცურო და ასე დაამაგრო. ეს აქტივობა მხიარული თამაშის ხასიათს მიიღებს.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები მერხზე განლაგებული ნივთებისაგან ქმნიან მარტივ კონსტრუქციებს – „არქიტექტურულ ნაგებობებს“.

მოსწავლეები დაათვალიერებენ ერთმანეთის ნამუშევრებს. მასწავლებელი საშუალებას აძლევს თითოეულ მოსწავლეს იქვე, მერხთან, წარმოადგინოს საკუთარი კონსტრუქცია და მოუთხროს თანაკლასელებს, რისი გაკეთება სურდა და როგორი ფორმა გამოუვიდა.

მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას და აქვე უხსნის, რომ მათ შეუძლიათ გამოიყენონ ნებისმიერი ფორმა: გეომეტრიული თუ ბუნებაში არსებული. მათ ასევე შეუძლიათ თავიანთ შენობას ნებისმიერი საგნის ფორმა მისცენ, ოღონდ, დაიცვან აუცილებელი პირობა, შენობას უნდა ჰქონდეს კარი და ფანჯრები.

დავალების პირობა:

დახატე უცნაური ფორმის შენობა. მისი შექმნისას გამოიყენე ნებისმიერი გეომეტრიული თუ ბუნებაში არსებული ფორმა. შეგიძლია ეს შენობა ნებისმიერ ფერად შეღებო.

შენიშვნა: მასწავლებელმა შეიძლება შეახსენოს მოსწავლეებს, რომ მათ უკვე ნანახი აქვთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ფერადი სახლები, აქვთ ფერადი ქალაქის შექმნის გამოცდილება და ახლა შეუძლიათ ამის გამოყენება.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ როგორ შენობას დახატავენ. როგორი ფორმის იქნება მათი შენობა, გეომეტრიულ ფორმებს გამოიყენებენ თუ რომელიმე საგნის ფორმას.
- მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ სად გაუკეთებენ შენობას კარს, ფანჯრებს; როგორი ფორმის იქნება კარ–ფანჯარა.
- რა ფერის იქნება მათი სახლი, ერთი ფერის იქნება თუ ჭრელი?
- მოსწავლეებმა თავად უნდა აირჩიონ სახატავი მასალა (ფერადი ფანქრები, ფლომასტერები, გუაშის საღებავები და სხვ.).
- პრეზენტაციისას მათ უნდა ისაუბრონ როგორი სახლი დახატეს, რომელი ფორმები გაოიყენეს და რატომ? სად განალაგეს კარები, ფანჯრები და როგორი ფორმისაა ისინი, რა ფერია მათი სახლი და რატომ?

<u>გაკვ. 29. მრავალფეროვანი ფიგურები</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მოსწავლის სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნიმუშებს და პასუხი გასცენ შეკითხვებს:

- რომელი ცხოველებია წარმოდგენილი სახელმძღვანელოში? (დათვი, ბეგემოტი, ჩიტი);
- დააკვირდით რა მასალისაგანაა ისინი დამზადებული? (სავარაუდოდ, იტყვიან, რომ გამოძერწილია ან ქვისგანაა გამოქანდაკებული).
- თუ იცით, რა ქვია გამოძერწილ ან გამოქანდაკებულ ხელოვნების ნიმუშებს?

შესაძლოა, რომელიმე მოსწავლემ იცოდეს და თქვას, რომ ხელოვნების ამგვარ ნიმუშებს ქანდაკება ჰქვია. თუ მათ არ იციან ეს ტერმინი, მასწავლებელი აცნობს მათ და აგრძელებს

შეკითხვები დასმას.

შენიშვნა: არ არის აუცილებელი მოვთხოვოთ მოსწავლეებს ამ ტერმინის დამახსოვრება.

- გინახავთ როდისმე ქანდაკება? სად? (ქუჩაში, საგამოფენო დარბაზში, შესაძლოა სახლშიც ქონდეთ პატარა ზომის პლასტიკა); აღწერეთ ის.

მოსწავლეების პასუხის შემდეგ მასწავლებელი მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში მოცემულ ფოტოებს და სვამს შეკითხვებს:

- სახელმძღვანელოში წარმოდგენილი უჩვეულო ქანდაკებებიდან რომელი მოგწონთ?
- შეეცადეთ, აღწეროთ და დაახასიათოთ თითოეული მათგანი.
- როგორ ფიქრობთ, ღია სივრცეში დადგმული ეს ქანდაკებები როგორ გარემოს ქმნის, რა შთაბეჭდილებას აღუძრავს მნახველს?

მოსწავლეების აქტივობა: დასმულ შეკითხვებზე მოსწავლეების პასუხები მრავალგვარი შეიძლება იყოს. ამ უჩვეულო ობიექტების აღწერისა და დახასიათების დროს, მოსწავლეებს არ გამოეპარებათ, რომ ისინი ერთგვარად ახალისებენ გარემოს და დადებით განწყობილებას უქმნიან ადამიანებს.

მასწავლებლის აქტივობა: კითხვა-პასუხის პროცესში მასწავლებელი ამახვილებს ყურადღებას იმაზე, თუ რამდენად უცნაურია, დიდ ქალაქში სახურავზე ნაყინი იდოს ან ამწვანებულ პარკში უზარმაზარ კოვზზე ალუბლის კუნწულას ვხედავდეთ.

შეკითხვები:

- როგორი ფორმა გამოიყენა ავტორმა სახლის სახურავზე „წამოსკუპებული“ ნაყინისათვის? (სამკუთხედი);
- რა საგანს ხედავთ მინდორზე? (ბადმინტონის ბურთს);

მოსწავლეთა პასუხების შემდეგ მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ქანდაკების თემა ნებისმიერი რამ შეიძლება იყოს და, როგორც ახლა მათ დაინახეს, ნებისმიერი ნივთი შეიძლება ქანდაკებად ვაქციოთ.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს თავდაც სცადონ უცნაური ქანდკების შექმნა, თუმცა მანამდე უსვამს შეკითხვას:

- ხომ არ იცით, რისგან, რა მასალისგან იქმნება ქანდაკება? (ხისაგან, ქვისაგან, თაბაშირისაგან, თიხისაგან, სპასტილინისაგან).

მოსწავლეებმა შესაძლოა არ იცოდნენ ამ მასალების შესახებ, მაშინ მასწავლებელი აწვდის ამ ინფორმაციას და ეკითხება, რომელ მასალას აირჩევდნენ ისინი საკუთარი ქანდაკებისათვის და რატომ? პასუხი ამ კითხვაზე მარტივია, მოსწავლეები მარტივად მიხვდებიან, რომ ქვისაგან და ხისაგან გამოქანდაკება რთული საქმეა, მათთვის ბევრად უფრო ხელმისაწვდომია რბილი და იოლად დასამორჩილებელი მასალა: თიხა და პლასტილინი. მასწავლებელი სთხოვს აირჩიონ, თიხით შექმნიან ისინი საკუთარ ქანდაკებას თუ პლასტილინისაგან გამოძერწავენ და იგი მათ აძლევს დავალებას.

დავალების პირობა:

შექმენი მცირე ზომის ქანდაკება. მოიფიქრე, რას გამოძერწავ თიხისგან ან პლასტილინისაგან და როგორ ფორმებს გამოიყენებ. შენი ნამუშევარი შეგიძლია გააფერადო კიდეც.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები მოიფიქრებენ და შეარჩევენ გამოსახულებებს, რომლებსაც თავად გამოძერწავენ. მათ შეუძლიათ გამოძერწონ ნებისმიერი საგანი.
- მათ შეუძლით გამოძერწონ გეომეტრიული ფორმები და ააწყონ გამოსახულებები.

1

<u>გაკვ. 30. დასურათებული ამბები</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ ზღაპრის მოსმენისას, ალბათ, თვალწინ წარმოუდგებათ ხოლმე ამ ზღაპრის გმირები, თითქოს ხედავენ, როგორ გამოიყურებიან ისინი, როგორი სამოსი აცვიათ, როგორ მოძრაობენ. ამაში ხშირად მხატვრების მიერ შექმნილი კარგად ილუსტრირებული წიგნები ეხმარებათ.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეებს (მასწავლებლის დავალებით) მოტანილი აქვთ მათი საყვარელი ილუსტრირებული წიგნები, რომლებსაც წარმოადგენენ და ისაუბრებენ, რატომ მოსწონთ ეს ილუსტრაციები. მასწავლებელი კითხვებით ეხმარება მოსწავლეებს, რათა მათ დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრებები.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მოსწავლის სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ილუსტრაციებს და ამოიცნონ სხვადასხვა ნაწარმოების პერსონაჟები.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები აკვირდებიან მოსწავლის სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ილუსტრაციებს და, სავარაუდოდ, დიდი უმრავლესობა ამოიცნობს ნაწარმოებს და პერსონაჟებს. ამ აქტივობისას მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა ჰკითხოს, რით ამოიცნეს მათ ეს პერსონჟები (გარეგნობით, ჩაცმულობით, ნივთებით). ეს შეკითხვა თითოეული პერსონაჟის მიმართ შეიძლება იყოს დასმული. გარდა ამისა, პერონაჟების აღწერის დროს, საუსრველია, მასწავლებელმა დასვას შემდეგი შეკითხვები:

- როგორ გამოსახა მხატვარმა ჩექმებიანი კატა, მისი სამოსი? ასეთი წარმოგედგინა ეს გმირი თუ განსხვავებული?
- როგორ გამოსახა მხატვარმა ბაყბაყდევი ზღაპრიდან „ნაცარქექია“ და შეესაბამება თუ არა მისი სახე შენს წარმოდგენას? შენ სხვაგვარად ხომ არ დახატავდი? რას შეცვლიდი მის სახეში?
- როგორი ფორმები აქვს „სამი გოჭის“ სახლებს? (ორი სწორკუთხაა, ერთი წრიული ფორმისაა).
- როგორ ფორმებს იყენებს მხატვარი ნაცარქექიას ილუსტრაციაზე უკან, ფონზე გამოსახული მთებისათვის? (სამკუთხა ფორმებს).
- როგორი ხაზებით ხატავს მხატვარი კონკიას კაბას? (ტალღოვანი ხაზებით).
- როგორი ფერებით გამოსახა მხატვარმა სახლების სახურავები კარლსონის ილუსტრაციაზე და რა შთაბეჭდილებას ქმნის ეს? (მხატვარმა შავ ფონზე ფერადი პატარა კუბებით გამოსახა სახურავი და ეს ღამეში ხალისიან განწყობილებას ქმნის).

შეკითხვები მასწავლებელმა საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია დაამატოს.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, ნებისმიერი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით შექმნან მათი საყვარელი ზღაპრის ან მოთხრობის ილუსტრაცია.

დავალების პირობა:

დაასურათე რომელიმე ერთი ამბავი შენი საყვარელი ზღაპრიდან. გამოსახე ზღაპრის გმირი ან გმირები შესაბამის გარემოში, შენ მიერ წარმოსახულ სამოსში.

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები შეარჩევენ მათთვის სასურველ ზღაპარს და ამ ზღაპრიდან რომელიმე ერთ ეპიზოდს დაასურათებენ.
- მოსწავლეები ხატავენ შერჩეულ გმირს, გამოსახავენ მას ისეთ სამოსში, რომელშიც.

იგი თავად წარმოუდგენიათ. ამისათვის იყენებენ სხვადასხვა ფორმას საჭიროების მიხედვით, სხვადასხვა ტიპის ხაზებს, მიზანმიმართულად არჩევენ ფერებს

- მოსწავლეები თავიანთ გმირებს ხატავენ გარემოში, რადგან მათ კონკრეტული ეპიზოდი უნდა დახატონ, ამიტომ მათ შესაძლოა მოუწოთ სახლების დახატვა, რისი გამოცდილებაც უკვე აქვთ; შეიძლება მათ პეიზაჟის ფონზე გამოსახონ თავიანთი გმირები და ამის გამოცდილებაც უკვე აქვთ.
- პრეზენტაციისას მოსწავლეები საუბრობენ, რომელი ზღაპარი და ამ ზღაპრის რომელი ეპიზოდი შეარჩიეს და რატომ? რამ გამოიწვია მათი ინტერესი?
- რომელი პერსონაჟები გამოსახეს და როგორ? როგორი ტანსაცმლით გამოსახეს ისინი? როგორი ხაზები, ფორმე და ფერები გამოიყენეს ამისათვის და რატომ? როგორი გარემო შეუქმნეს მათ გმირებს და რამდენად შეესაბამება ეს გარემო ამ ეპიზოდს?

ნაბიჯი 2.

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4) ქვეცნებები:

- **ხაზი –** სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი;
- **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული, ბუნებაში არსებული;
- **ფერი** – ძირითადი და შედგენილი.

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, ანაბეჭდი, აპლიკაცია, კოლაჟი.

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები

ქვეცნებები: გამოყენებითი ხელოვნება.

4. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები

ქვეცნებები:

<u>გაკვ. 31. ნივთები ჩვენ გარშემო</u>

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მიმოიხედონ ირგვლივ, დააკვირდნენ, რამდენი ნივთია გარშემო! დაფიქრდნენ, ყველა მათგანი საჭიროა ადამიანისათვის?

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები, სავარაუდოდ, დაასახელებენ უამრავ ნივთს და ახსნიან მის საჭიროებას, ზოგიერთის საჭიროება შეიძლება ეჭვის ქვეშაც კი დააყენონ.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმზღვანელოში მოცემულ ნივთებს, დაასახელონ ისინი და მათში იპოვონ სხვადასხვა გეომეტრიული ფორმა (მაგ., სანათზე – ნახევარწრიული ფორმა, ჩაიდანსა და ყელსაბამზე – წრიული, წიგნები კარადაზე – სწორკუთხედი და ა.შ.). მომდევნო გვერდზე, სადაც სამოსია წარმოდგენილი აქაც დაასახელონ, როგორ ფორმებს პოულობენ ისინი.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ფერადი ქაღალდებისაგან გამოჭრან ნებისმიერი გეომეტრიული ფორმა (სხვადასხვაგვარი და სხვადასხვა ზომის სწორკუთხედები, სამკუთხედები, წრეები, ნახევარწრეები და სხვ.) და შეეცადონ, მათგან თავად შექმნან სხვადასხვა სახის ტანსაცმელი. მათ ეს ფორმები ფურცელზე უნდა განალაგონ შემდეგ ახსნან, რომელი ფორმები გამოიყენეს და როგორ, რის შემდეგაც მასწავლებელი მათ

1 აძლევს დავალებას.

დავალების პირობა:

დახატე გოგონა და ბიჭუნა. აპლიკაციის ან კოლაჟის ტექნიკით შემოსე ისინი. მათი სამოსი შექმენი სხვადასხვა ფორმის გეომეტრიული ფიგურებისაგან. გამოიყენე ნებისმიერი მასალა (ქაღალდი, ქსოვილი, ღილები, ლენტები და სხვ.).

პრაქტიკული სამუშაო:

- მოსწავლეები მოზრდილ ფორმატზე ხატავენ გოგონას და ბიჭუნას ფიგურებს;
- სხვადასხვა მასალისაგან (ქაღალდი, ქსოვილი, ღილები, ლენტები და სხვ.) ჭრიან და ამზადებენ მათი სამოსის სხვადასხვა ნაწილებს;
- შემდეგ წებოთი აწებებენ ამ ფიგურებზე და ასე შემოსავენ მათ;
- პრეზენტაციისას მოსწავლეებმა უნდა ისაუბრონ, როგორ დაამზადეს სამოსი, როგორი ფორმები გამოიყენეს ამისათვის, როგორ, რა მასალით გააფორმეს შემდეგ ეს სამოსი;
- როგორი შედეგი მიიღეს და რას შეცვლიდნენ თავიანთ ნამუშევარში, თავიდა, რომ მოუწიოთ ამ დავალების შესრულება.

<u>გაკვ. 32. ნივთის „სამკაული“</u>

მასწავლებლის აქტივობა. მასწავლებელი სვამს შეკითხვებს:

- რას ფიქრობთ, რატომ რთავენ ადამიანები ნივთებს?
- რით შეიძლება მოვრთოთ (შევამკოთ) ერთი ფერის სადა საგანი?

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეთა პასუხები შესაძლებელია მრავალფეროვანი იყოს. სავარაუდოდ, მოსწავლეები პასუხობენ, რომ ნივთები ბევრნაირად შეიძლება შევამკოთ – დავახატოთ ზედ სხვადასხვა გამოსახულება: ჰეპლები, ყვავილები, ფერადი ხაზები და ა.შ.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ სხვადასხვა ტიპის ხაზისა და ფორმის განმეორებით მათ შეუძლიათ სხვადასხვა საგნის მორთვა. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ამგვარ აქტივობას: იგი ურიგებს მოსწავლეებს ფერადი ქაღალდებისაგან გამოჭრილ პატარა სამკუთხედებს და სთხოვს მათ, ისინი ფორმატზე ერთ ხაზზე განალაგონ. ზოგიერთმა მოსწავლემ სამკუთხედები შეიძლება ისე განალაგოს, რომ მათ შორის მანძილები არათანაბარი იყოს, ზოგი კი მათ შორის თანაბარ მანძილებს დაიცავს. მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ თუ ერთგვაროვან ფორმებს შორის მანძილი თანაბრი იქნება მაშინ ჩვენ მივიღებთ რიტმს. მოსწავლეებს რიტმი უკვე ნასწავლი აქვს და ახლა იხსნებენ ამ ცნებას.

ამის შემდე მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ფერადი ქაღალდებისაგნ გამოჭრილ კვადრატებს და სთხოვს, რომ ეს ფორმები ფურცელზე ერთ ხაზზე დააწყონ ისე, რომ სამკუთხედი და კვადრატი მონაცვლეობდეს. მოსწავლეები აცნობიერებენ, რომ მათ ახლაც რიტმი შექმნეს.

შეკითხვა:

- ხომ არ გინახავთ რომელიმე საგანზე (რვეული, ტანსაცმელი, წინდა და სხვ.) ფორმების ამგვარი მონაცვლეობა, როდესაც ორი სხვადასხვა ფორმა ერთმანეთის მონაცვლეობით მეორედება? (მოსწავლეები უთუოდ გაიხსენებენ ასეთ შემთხვევას)

მასწავლებელი ეუბნება, რომ, როდესაც ფორმები ასე მონაცვლეობს და რიტმს ქმნის ის შეიძლება ნივთის ერთგვარ „სამკაულად“ გამოვიყენოთ და მას ორნამენტი ეწოდება.

შენიშვნა: არ არის აუცილებელი მოსწავლეს მოვთხოვოთ ამ ცნების ახსნა–განმარტების დამახსოვრება.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებდააკვირდნენ სახელმძღვანელოში მოცემულ საგნებს, რომლებიც ორნამენტებითაა შემკული და აღწერონ მათზე გამოსახული ის ფორმები და ხაზები, რომლებიც ქმნიან ორნამენტს.

შენიშვნა:

მასწავლებელს, შეუძლია, და ეს სასურველიცაა, რომ წინასწარ თავადაც მომარაგებული ჰქონდეს მარტივი ორნამენტებით შემკული საგნები და ისინიც წარუდგინოს კლასს.

შეკითხვები:

რომელი ფორმები მეორდება ხალიჩაზე და ქმნის ორნამენტს? (რომბები)

რომელი ფორმების გამეორებას ვხედვთ ხელთათმანებზე, ქოლგაზე? (ხელთათ-მანებზე – წითელ გულებს, ქოლგაზე – კოპლებს).

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის, რომ ორნამენტის შექმნა ხაზების საშუალებითაც არის შესაძლებელი. იგი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ ქოლგას, მასზე დატანილ ხაზებს და დაასახელონ, აქ გამოყენებული ხაზები (ზიგზაგისებური, ტეხილი, წრიული). ასევე, მოსწავლეებმა უნდა აღწერონ სხვა ნივთებზე დატანილი გამოსახულებები და მათი მონაცვლეობა; მათ შორის, მათი თანატოლის მიერ შექმნილ ნამუშევარზე (ზიგზაგისებური, სპირალური, წყვეტილი ხაზები და სხვ.).

ამ აქტივობის არსი ისაა, რომ მოსწავლემ დაინახოს, რომ ორნამენტის შექმნა შესაძ-ლებელია როგორც ხაზებით, ასევე, ფორმებით, ოღონდ მისი მთავარი პრონციპია ფორმების განმეორებადობა და რიტმი.

მასწავლებლის აქტივობა:

- „რით ხატავნ მხატვრები?“ (ფუნჯით).

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ ორნამენტის შექმნა სხვადასხვა ტექნიკითა და მასალით შეიძლება. ის შეიძლება დავხატოთ ან აპლიკაციის ტექნიკით შევქმნათ. თუმცა ორნამენტის შექმნა ბეჭდვის ტექნიკითაც არის შესაძლებელი. ამისათვის საჭიროა საღებავები და რაიმე საგანი, რომლითაც ქაღალდზე გამოსახულებას დავბეჭდავთ.

- თქვენი აზრით, რით შეიძლება გამოსახულების ანაბეჭდი მივიღოთ ფურცელზე? (პასუხები მრავალფეროვანი შეიძლება იყოს)

მასწავლებელი მოსწავლის სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ანაბეჭდის ტექნიკით შესრულებულ ნიმუშებზე ამახვილებს მოსწავლეების ყურადღებას. ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს დავალებას.

დავალების პირობა:

ანაბეჭდის ტექნიკით ფურცელზე შექმენი ორნამენტი. გამოიყენე სხვადასხვა ფერის საღებავი და ნებისმიერი საგანი ანაბეჭდის მისაღებად (შუაზე გაჭრილი კარტოფილი ან სტაფილო, ძაფის კოჭა, ღრუბელი და სხვ.) ორნამენტისათვის გამოიყენე სხვადასხვა გეომეტრიული ფორმა და დაიცავი თანაბარი მანძილი მათ შორის.

1

პრაქტიკული სამუშაო:

მუშაობისას მოსწავლეებმა შემდეგი რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინონ:

- გუაშის საღებავით სარგებლობისას, მათ ჯერ ფერები უნდა მოამზადონ;
- შემდეგ ამოსვარონ მასში კოჭი, ან კარტოფილის ნაჭერი, ან ღრუბელი და ქაღალდზე მათი საშუალებით ერთი და იგივე ფორმა, რამდენჯერმე გაიმეორონ, ცვალონ ფერები, შესაძლოა, ფორმებიც და შექმნან მარტივი ორნამენტი;
- მოსწავლეებს შეუძლიათ ფორმები ერთ ხაზზე დაალაგონ ან თავისუფლადაც მიმოფანტონ ფურცელზე.
- მათ შეუძლიათ გამოჭრან ორნამენტი და დააწებონ ფერად ან თეთრ ფორმატზე ან წინასწარ მოტანილ ერთჯერად ჭიქებზე წებოთი ან წებოვანი ლენტით.
- მოსწავლეები კლასის წინაშე წარადგენენ საკუთარ ნამუშევარს, საუბრობენ, რომელი საგანი გამოიყენეს ორნამენტის მისაღებად.
- როგორი ფორმების განმეორებით შექმნეს ორნემენტი, რომელი ფერები გამოიყენეს? გამოიყენეს თუ არა ხაზები ორნამენტის შექმნისას?

ეტაპი III – კომპლექსური დავალების შესრულება და წარდგენა

<u>გაკვ. 33. ხელოვნების ქუჩა</u>

კომპლექსური დავალების პირობა

შექმენი დიორამა „ხელოვნების ქუჩა“. დახატე ან სხვადასხვა მასალითა და ტექნიკით გამოსახე გარემო: მთები, ღრუბლები და სხვ. ააგე ნაგებობები, მორთე სხვადასხვაგვარი ხაზით, ფორმით და ჩაამწკრივე შენს ქუჩაზე. გამოძერწე ან მარტივი კონსტრუქციით შექმენი ზღაპრების გმირები (მაგ., კონკია, წითელქუდა, ჯამბო და სხვ.) და განალაგე „ხელოვნების ქუჩაზე“.

დავალების შესასრულებლად “ხელოვნების ქუჩა “მუშაობის პროცესში გაითვალის-წინეთ:

- დააკვირდი შენს გარშემო არსებულ გარემოს (საგნებს, ნივთებს, შენობებს, წიგნებს, ანიმაციურ ფილმებს და სხვ.) და მათგან შეარჩიე ისეთები, რომლებსაც შენ ხელოვნების ნიმუშად ჩათვლი და შექმენი;
- მათ შესაქმნელად გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზები, ძირითადი და შედგენილი ფერები, ბუნებაში არსებული და გეომეტრიული ფორმები შენი ჩანაფიქრის შესაბამისად.
- მუშაობისას გამოიყენე სხვადასხვა ტექნიკა. შეგიძლია დახატო, შეგიძლია გამოიყენო აპლიკაციისა და ძერწვის, კონსტრუირების ხერხები., გამოიყენო სხვადასხვა მასალა

შენი ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე:

- რა მასალა და რომელი ტექნიკა გამოიყენე ხელოვნების ქუჩაზე ნაგებობებისა და გარემოს შესაქმნელად?
- როგორი ფორმების, ფერების, მასალისა და ტექნიკის გამოყენებით შექმენი ზღაპრების გმირები, ნივთები, ნაგებობები?

I კლასი

შეფასება **SOLO** ტაქსონომიის გამოყენებით

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

საგანი „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,2,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი** – სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი.
- **ფორმა** – მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;
- **ფერი** – ძირითადი და შედგენილი

2. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, ანაბეჭდი, კოლაჟი, კონსტრუირება;

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნებები: მხატვრობა, ქანდაკება, არქიტექტურა, გამოყენებითი ხელოვნება.

კომპლექსური დავალების პირობა:

შექმენით დიორამა „ხელოვნების ქუჩა“, დახატეთ გარემო-მთები, ღრუბლები, ააგეთ ნაგებობები,მორთე სხვადასხვაგვარი ხაზებით, ფორმებით და ჩაამწკრივე შენს ქუჩაზე, გამოძერწეთ ან მარტივი კონსტრუქციით შექმენი ზღაპრების გმირები (მაგ. კონკია, წითელქუდა, ჯამბო და სხვა). შექმენი მრავალფეროვანი გამოსახულებები ხელოვნების ქუჩისთვის სხვადასხვა ფორმით, ფერით, მასალითა და ტექნიკით.

კრიტერიუმი სამიზნე ცნება	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები **(ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს ესმის საკითხის არსი, რაც მას ცოდნის განზოგადების საშუალებას აძლევს.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლეს ესმის საკითხის არსი. გააზრებულად იყენებს კონსტრუირების, ძერწვის, აპლიკაციის, ხატვის ტექნიკას, მიზანმიმართულად არჩევს ხაზებს,ფორმებს, ფერს მიღებულ ცოდნას,დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას დიორამის შესაქმნელად. გამოირჩევა ორგინალური ხედვითა და შემოქმედებითი მიდგომით. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე. ყურადღებას სამახვილებს შესრულებული დავალების--დიორამის ფარგლებში გამოკვეთილ სამიზნე ცნებებზე.	

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი, აკავშირებს საკითხთან დაკავშირებულ ძირითად არსებით სტრუქტურულ ერთეულებს. საშუალებას აძლევს. გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს, მასალასა და ტექნიკას.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს ნამუშევრის შესაქმნელად. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე და ურთიერთდაკავშირებულად საუბრობს შესრულებული დავალების ფარგლებში,მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებზე.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ძირითადად, გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მრავალფეროვან მასალას და ტექნიკას ნამუშევრის შესაქმნელად. ნამუშევრის წარდგენა:ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას ძირითად საკითხებზე და ურთიერთდაკავშირებულად საუბრობს მის მიერ გამოყენებულ მრავალფეროვან მასალასა და ტექნიკაზე.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იცის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების გარკვეული ნაწილი.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებსა და ხერხებს. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მასალასა და ტექნიკას.. ნამუშევრის წარდგენა ნამუშევრის წარდგენისას,მის მიერ გამოყენებულ მასალასა და ტექნიკას ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იყენებს რამდენიმე მხატვრულ გამომსახველობითი საშუალებას და ხერხს, მასალა და ტექნიკას.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების მხოლოდ მცირე ნაწილს. **ნამუშევრის წარდგენა:** ასახელებს მხოლოდ ერთ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებასა თუ ხერხს.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** გააზრებულად იყენებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, ასახელებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს.
პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	არ აქვს პირობა გააზრებული	არ აქვს პირობა გააზრებული

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

შემოხაზე ის გამოსახულება რომელიც გაკვეთილზე შენ მუშაობას შეესაბამება	

VI თავის გაკვეთილები

კლასი: I
თემატური ბლოკი: მე და გარესამყარო
თემა: ჩვენი დღესასწაულები
საათების სავარაუდო რაოდენობა: 8 სთ

ამ თავში თავმოყრილია ის გაკვეთილები, რომლებიც დღესასწაულებს ეხება. მათ ჩვენ წელიწადის სხვადასხვა დროს ვზეიმობთ. ამიტომ მათი ჩატარების დრო მასწავლებელმა თავად უნდა განსაზღვროს და გაკვეთილი ჩაატაროს კონკრეტული დღესასწაულის გათვალისწინებით. შესაბამისად, ამ თავის ბოლოს არ არის კომპლექსური გაკვეთილი და თითოეულ გაკვეთილს საკუთარი სამიზნე ცნებები აქვს განსაზღვრული.

გაკვ. 34. საახალწლო ნაძვის ხე

1. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4) ქვეცნებები:**
   - **ხაზი –** სწორი, მრუდე, კლაკნილი, ტალღოვანი, ხვეული, სპირალური;
   - **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;
   - **ფერი –** ღია და მუქი.
2. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4) ქვეცნებები:** ხატვა, აპლიკაცია.
3. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – (შედეგი 1,2,3,4) ქვეცნება:** მხატვრობა.
4. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები** – **(შედეგი: 1,2,3,4) ქვეცნება:**

მასწავლებლის აქტივობა:
გაკვეთილი იწყება პატარა გამოკითხვით. მასწავლებელი სვამს შეკითხვას:

მოახლოვდა ახალი წელი. ჩამოთვალეთ, რა გახსენდებათ პირველ რიგში, როდესაცახალ წელზე ფიქრობთ? იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს რიგრიგობით უპასუხონ დასმულ შეკითხვას.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები, სავარაუდოდ, დაასახელებენ ახალ წელთან დაკავშირებულ ისეთ სიმბოლოებს, როგორიც არის ნაძვის ხე, თოვლისპაპა, საჩუქრები და სხვ.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი უსმენს მოსწავლეებს, თითქოს აგროვებს მათ პასუხებს; იმ შემთხვევაში თუ მოსწავლე განსხვავებულ პასუხს სცემს შეკითხვას და ასახელებს ისეთ საგანს ან ცნებას, რომელიც არ არის დაკავშირებული ახალ წელთან, მასწავლებელი აზუსტებს პასუხს, ცდილობს დააკორექტიროს ისე, რომ მოსწავლეების ყველა პასუხი სწორედ ახალ წელთან იყოს დაკავშირებული.

შემდეგ მასწავლებელი საუბრობს იმის შესახებ, რომ ახალი წლის ზეიმი ნაძვის ხის გარეშე მართლაც წარმოუდგენელია, ის ხომ საახალწლო ზეიმის ყურადღების ცენტრშია ყოველთვის. შემდეგი შეკითხვები ისევ ნაძვის ხის გარშემოა, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს:

- აღწერეთ როგორ ხვდებით ახალ წელს?
- როდის დგამთ ნაძვის ხეს და ვინ მონაწილეობს მის მორთვაში?
- როგორი სათამაშოებით რთავთ ნაძვის ხეს და ამ სათამაშოებიდან რომელია თქვენთვის ყველაზე საყვარელი?

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეთა პასუხები, მათი გამოცდილება შესაძლებელია, განსხვავებული იყოს იმის შესაბამისად, თუ რამდენად განსხვავებულია ახალ წელთან დაკავშირებული ტრადიციები თითოეულ ოჯახში.

რესურსი:

https://upload.wikimedia.org/wikipedia/commons/thumb/b/b9/Picea_abies1.JPG/270px-Picea_abies1.JPG

https://encrypted-tbn0.gstatic.com/images?q=tbn:ANd9GcQuL8xAkK0l-1GVD8YwioEy-aeN-jTx2E7MDeA&usqp=CAU

https://agrokavkaz.ge/wp-content/uploads/2019/01/cisferi_naZvi_naZvi_326388892729993739_3839202023839_382320202c.jpg

https://gamwvaneba.ge/uploads/posts/2016-09/1474809902_j.jpg

მასწავლებელმა მოსწავლეებს ყურადღებით უნდა მოუსმინოს. გაკვეთილის შემდეგ მონაკვეთში მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაეცნონ ნაძვის ხის ფოტოებს, რომლებიც სახელმძღვანელოშიცაა წარმოდგენილი და ელექტრონული ან ნაბეჭდი სახით, როგორც თვალსაჩინოება მასწავლებელს აქვს მომზადებული. მასწავლებლის თხოვნით მოსწავლეებმა უნდა აღწერონ სხვადასხვა ნაძვის ხე და უპასუხონ შეკითხვებს:

- აქ წარმოდგენილ ნაძვის ხეებს შორის რომელი მოგწონს ყველაზე მეტად?
- როგორი ფორმა აქვს ამ ხეებს?
- განსხვავდება თუ არა ნაძვის ხეები ერთმანეთისგან ფერით? რომელია უფრო მუქი ან ღია მწვანე ფერის?

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები რიგრიგობით საუბრობენ ფოტოებზე წარმოდგენილ ნაძვის ხეებზე, აღწერენ, როგორი ფორმები აქვთ მათ, მუქია თუ ღია მათი შეფერილობა. მასწავლებელი სთხოვს მათ, საგანგებოდ მომზადებულ ფორმატზე ფერადი ფლომასტერებით შემოხაზონ ნაძვის ხეების სხვადასხვა ფორმა და, ამავე დროს, ღია ან მუქი მწვანე ფლომასტერით/მარკერით გააფერადონ ისინი.

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი აჯამებს აქტივობას და ხაზს უსვამს იმას, რომ ნაძვი მარადმწვანე მცენარეა. ზამთარში, როდესაც ხეების უმრავლესობა ფოთლებშემოცლილია და შიშველი ტოტების ამარაა დარჩენილი, ნაძვი მწვანე სამოსით იწონებს თავს. ზოგ ადამიანს სურს, ცოცხალი ნაძვის ხით შეხვდეს ახალ წელს, მაგრამ დიდი რაოდენობით ხეების მოჭრა დიდ ზიანს აყენებს ბუნებას. ერთი ხის გაზრდას ხომ წლები სჭირდება. ამიტომ, უმჯობესია, ხელოვნური ნაძვის ხეები შეიმკოს სათამაშოებით.

ამ აქტივობის არსი ისაა, რომ მოსწავლეები აკვირდებიან და აცნობიერებენ, როგორი გეომეტრიული ფორმის სახით შეიძლება გამოსახო სხვადასხვა ნაძვის ბუნებრივი ფორმები. ასევე, გააცნობიერონ ღია და მუქი ფერის განსხვავება. ეს აქტივობა ნიადაგს შეამზადებს პრაქტიკული სამუშაოსათვის, რომელიც მოსწავლეებმა გაკვეთილზე უნდა შეასრულონ.

მასწავლებლის აქტივობა:
მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ მოემზადონ პრაქტიკული დავალების შესასრულებლად. მათ უნდა დაათვალიერონ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ფოტოები, რომლებზეც სახატავი მასალისა და სხვადასხვა ხელოვნური რესურსის (ფერადი ქაღალდები, ფერადი თასმები) გამოყენებით მათი თანატოლები ქმნიან საახალწლო ნაძვის ხის აპლიკაციას. შემდეგ მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს დავალების პირობას.

დავალების პირობა:
გამოიყენე აპლიკაციის ტექნიკა და სხვადასხვა ტიპის ხაზის, გეომეტრიული ფორმების, ღია ან მუქი ფერების მეშვეობით შექმენი ნაძვის ხის გამოსახულება; შემდეგ მორთე ის საახალწლოდ.

შენიშვნა: ამ დავალების შესასრულებლად მოსწავლეებს დასჭირდებათ სხვადასხვა სახატავი

1 მასალა: ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, ფერადი ფურცლები და თასმები, მაკრატელი, წებო და სუფთა ფორმატი მზა ნამუშევრის ფონისათვის.

სასურველია, მასწავლებელმა ყურადღებით გააკონტროლოს დავალების შესრულების ეტაპები და, საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს მოსწავლეებს მუშაობის სწორად წარმართვაში.

პრაქტიკული სამუშაო

მოსწავლეები სხვადასხვა ტიპის ხაზის (სწორი, მრუდი, ზიგზაგისებური ან ტეხილი) მარტივი გეომეტრიული ფორმების (სამკუთხედების) გამოყენებით ქმნიან ნაძვის ხის მონახაზს, სურვილისამებრ აფერადებენ მუქი ან ღია მწვანე ფერით. შემდეგ ფრთხილად ჭრიან მიღებულ გამოსახულებას და ფერად ფურცელზე აწებებენ მას.

რეკომენდაცია: უმჯობესია, მასწავლებელმა აჩვენოს მოსწავლეებს გამოსახულების გამოჭრის მარტივი ხერხი: ფურცელი გადაკეცონ შუა ხაზზე და ისე გამოჭრან ხის ტოტები. როდესაც მოსწავლეები გამოჭრიან ნაძვის ხის გამოსახულების ერთ მხარეს და გაშლიან გადაკეცილ ფურცელს, მთლიანი ნაძვის ხის გამოსახულებას მიიღებენ;

ნაძვის ხის გამოსახულების შესამკობად მოსწავლეები იყენებენ როგორც ბუნებრივ (წიწვები, გირჩები, წითელი კენკრა), ასევე, ხელოვნურ რესურსს (ფერადი ფურცლები და თასმები, ძაფები, ფერადი ღილები, მძივები და სხვ.). ისინი იყენებენ ხატვის და აპლიკაციის ტექნიკას, აფერადებენ, ჭრიან, აწებებენ ხის გამოსახულებას ფერად ქაღალდზე და რთავენ ხელოვნური და ბუნებრივი მასალით.

რეკომენდაცია: მოსწავლეებს შეუძლიათ ამოჭრან მათ მიერ შექმნილი გამოსახულება და დააკრან ფერად ფურცელზე. ასევე, შესაძლებელია, დიდი ზომის ფორმატზე თავად დააწებონ მათ მიერ ინდივიდუალურად შექმნილი ნაძვის ხეები.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები კლასის წინაშე წარადგენენ საკუთარ ნამუშევრებს. ისინი პასუხობენ შეკითხვებს:

- რომელი ტექნიკა აირჩიე დავალების შესასრულებლად?
- რომელი მასალა გამოიყენე და როგორ?
- როგორი ფორმები გამოიყენე ნამუშევარში და რატომ?

<u>გაკვ. 35. საახალწლო წინდა</u>

1. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)**
   ქვეცნებები:
   - **ხაზი –** სწორი, მრუდე, კლაკნილი, ტალღოვანი, ხვეული, სპირალური;
   - **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;
   - **ფერი –** ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი.
2. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა (შედეგი 2,3,4)**
   ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია.
3. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – (შედეგი 1,2,3,4)**
   ქვეცნება: მხატვრობა.
4. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – (შედეგი: 1,2,3,4)**
   ქვეცნება

მასწავლებლის აქტივობა:

მოახლოებული ახალი წლის თემასთან დაკავშირებით, მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

- ჩამოთვალეთ ახალი წლის ყველაზე საინტერესო მომენტები, რა გიყვართ ყველაზე

მეტად: ნაძვის ხის მორთვა, სტუმრების მოსვლა. ახალი წლის დადგომა და მილოცვები? რას ელოდებით ყველაზე მეტად?

მოსწავლის აქტივობა: სავარაუდოდ, მოსწავლეები ახალი წლის ტრადიციული რიტუალებიდან ბევრს ჩამოთვლიან და მათ შორის საახალწლო საჩუქრების მიღებაც იქნება.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, უპასუხონ, წინასწარ ფიქრობენ ხოლმე, რა სურთ რომ საჩუქრად მიიღონ? ტრადიციულად, სად ხვდებათ ხოლმე საახალწლო საჩუქრები?

მოსწავლის აქტივობა: ცხადია, მოსწავლეთა პასუხები შეიძლება განსხვავებული იყოს: ზოგიერთი ნაძვის ხესთან, ზოგი კი ლამაზად შეფუთულ საჩუქრებს სახლის ან ოთახის კართან პოულობს. შესაძლებელია, მოსწავლეთა ერთმა ნაწილმა ისაუბროს, რომ საჩუქრები საახალწლო წინდაში ჩადებული ხვდებათ.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი მოუთხრობს მათ, რომ საჩუქრების წინდაში ჩადების ტრადიცია დიდი ხანია არსებობს. ბავშვები ცარიელ წინდებს ნაძვის ხის ქვეშ დებენ ან კარზე კიდებენ იმის მოლოდინში, რომ ახალი წლის დილას იქ საჩუქრები დახვდებათ. მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს წინდის ნიმუშს და უხსნის, რომ გაკვეთილის თემა სწორედ ამგვარი წინდისა და სხვა საახალწლო ნივთების შექმნაა გამომსახველობის სხვადასხვა საშუალებების: ხაზის, ფორმის, ფერის და მრავალფეროვანი მასალისა და ტექნიკის გამოყენებით. შემდეგ მასწავლებელი მიმართავს მათ თხოვნით, დაათვალიერონ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ნიმუშები, აღწერონ, დაასახელონ, რა ფერია თითოეული მათგანი, აღნიშნონ, რომელი წინდის ფორმა და მორთულობა მოსწონთ.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნიმუშებს. სასურველია, გაიხსენონ, თავად როგორი ფერისა და ფორმის საახალწლო წინდები აქვთ სახლში.მათი მოსაზრებები შეიძლება განსხვავებული იყოს. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა ყურადღება საახალწლო წინდების ფორმაზე, მათ დეკორზე გაამახვილონ. წინდებთან ერთად აქვე ზამთრის თბილი ხელთათმანებიც არის გამოსახული, როგორც სუსხიანი ზამთრის ნაცნობი ატრიბუტი. წინდების მსგავსად, ხელთათმანებიც ფერადი ელემენტებით არის მორთული. მოსწავლეები საუბრობენ მათ ფორმებზე, ფერად ხაზებზე, რომლითაც ამგვარი ხელთათმანები არის შემკული.

ამ აქტივობის არსი ისაა, რომ მოსწავლეები საახალწლო და ზოგადად ზამთრის ატრიბუტების ფორმებს, მათი დეკორის ელემენტებს აკვირდებიან. ისინი მსჯელობენ, როგორი ტიპის ხაზებით ან რომელი ფერებით შესრულებული დეკორი მოსწონთ უფრო მეტად. ეს დაეხმარება მათ მოემზადონ გაკვეთილზე შესასრულებელი დავალებისათვის, წინასწარ ამოარჩიონ მათთვის სასურველი ფერის ფერადი სახატავი მასალა, ფერადი ფურცლები, თასმები და მოემზადონ დავალების შესასრულებლად.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოემზადონ
პრაქტიკული სამუშაოსათვის და აცნობს მოსწავლეებს დავალების პირობას.

დავალების პირობა:
გამოიყენე სხვადასხვა გეომეტრიული ფორმა, ძირითადი და შედგენილი, მუქი და ღია ფერები, მრავალფეროვანი სახატავი მასალა, ფერადი ფურცლები, ქსოვილი, თასმები და შექმენი საახალწლო წინდა, ასევე, ახალი წლისათვის დამახასიათებელი სხვა გამოსახულებები (მაგ., ხელთათმანი, ნაძვის ხე, თოვლის კაცუნა და სხვ.).

მასწავლებელი რჩევებს აძლევს მოსწავლეებს პრაქტიკული სამუშაოს შესასრულებლად:

- ფორმატზე ან ფურცელზე შემოხაზეთ წინდის კონტური;
- თუ ფურცელი ფერადია და მოსწავლეს გადაწყვეტილი აქვს წინდის გამოჭრა, მან ყურადღებით უნდა გამოჭრას მოხაზული გამოსახულება კონტურული ხაზის გასწვრივ. უკვე მიღებულ ფორმას შემდეგ იგი დეკორატიულად აფორმებს;

1

- თუ მონახაზი თეთრ ფურცელზეა შესრულებული, მოსწავლე აფერადებს მას. შესაძლებელია ამ გაფერადებულ გამოსახულებაზე ფერადი ქაღალდებისაგან ან ქსოვილისაგან გამოჭრილი დეტალების დაწებებაც.
- დეკორატიული ელემენტების შექმნისას მოსწავლე იყენებს მარტივ გეომეტრიულ ფორმებს, მიმართავს აპლიკაციის ტექნიკას, სხვადასხვა მასალის (ქსოვილი, ქაღალდი, მაქმანი, ღილი,ბუნებრივი რესურსი) სინთეზს;
- სასურველია, ნამუშევრების შესამკობად ახალი წლის სიმბოლიკის – ნაძვის ხეების, სათამაშოების და ა.შ.გამოყენება.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები წარმოადგენენ ნამუშევრებს და საუბრობენ მათმიერ გამოყენებულ ფორმებზე, ფერებსა და ტექნიკაზე. მოსწავლეები საუბრობენ, თუ რატომ აირჩიეს ესა თუ ის ფორმა და ფერი, კმაყოფილი არიან თუ არა მიღებული შედეგით.

მასწავლებლის აქტივობა: ნამუშევრების პრეზენტაციისას მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მოსწავლეების მიერ გამოყენებული ხაზების, ფორმების, ფერებისა და გამოყენებული ტექნიკის აღწერას. საჭიროების შემთხვევაში, დაუსვას მოსწავლეებს დამაზუსტებელი კითხვები. მნიშვნელოვანია იმის კითხვაც, თუ რა შედეგს მიაღწიეს მოსწავლეებმა ამა თუ იმ მასალის ან ტექნიკის გამოყენებით.

რეკომენდაცია: სასურველია, მასწავლებელმა მოსწავლეთა ნამუშევრებისათვის დიდი ფერადი ფორმატი ან სტენდი მოამზადოს, რომელზეც მათ მიერ შესრულებული წინდები, ხელთათმანები თუ სხვა გამოსახულებები გამოიფინება.

<u>გაკვ. 36. შობა</u>

1. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)**
   ქვეცნებები:
   ხაზი – სწორი, ზიგზაგური, მრუდე, კლაკნილი, ტალღოვანი, ხვეული;
   ფორმა – მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;
   ფერი – ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი.
2. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4)**
   ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია.
3. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – (შედეგი 1,2,3,4)**
   ქვეცნება: მხატვრობა.
4. **სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების ჟანრები – (შედეგი: 1,2,3,4)**
   ქვეცნება

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი საუბრობს იმაზე, რომ დღესასწაულებს შორის აერთ-ერთი ყველაზესაყვარელი დღესასწაულია შობა.

- რა იცი შობის შესახებ?.

მოსწავლის აქტივობა: შესაძლებელია, მოსწავლეებმა იცოდნენ, რომ შობა დღესასწაულია, მაგრამ არ იცოდნენ ზუსტად მისი მნიშვნელობა. ამდენად, პასუხები შესაძლებელია, სხვადასხვანაირი იყოს.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი უყვება მოსწავლეებს, რომ ერთ სუსხიან მთვარიან ღამეს ვარსკვლავები კაშკაშებდნენ, მინდორზე ცხვრის ფარას მშვიდად ეძინა. ბუნება თითქოს გარინდულიყო სასწაულის მოლოდინში...

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს როგორ ფიქრობთ, რა უნდა მოხდეს ახლა?

მოსწავლის აქტივობა: პასუხები შესაძლებელია, სხვადასხვანაირი იყოს.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი აგრძელებს თხრობას, რომ ცაზე კაშკაშა ვარსკვლავი აკიაფდა, რომელსაც მწყემსები გაოგნებულები შესცქეროდნენ. ეს იმის ნიშანი იყო, რომ იესო დაიბადა. ქრისტეს შობის შესახებ ანგელოზებმა ახარეს მწყემსებს. ცაში კი მათი გუნდი საამურად გალობდა.

სასურველია, მასწავლებელმა ჰკითხოს მოსწავლეებს, როგორ წარმოუდგენიათ მათ ეს სცენა და მასში მონაწილე პერსონაჟები? მხატვრები ძალიან ხშირად გამოსახავენ ამ სცენას, მათი ნამუშევრები კი ხშირად არის დატანილი, მაგალითად, მისალოც ბარათებზე. მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, ხომ არ უნახავთ შობის სცენის ამსახველი სურათები წიგნში, ტელევიზორში. იგი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ და აღწერონ ისინი, აღნიშნონ, რა არის ხოლმე გამოსახული ამ ნამუშევრებზე?

მოსწავლის აქტივობა: თუ მოსწავლეებს ნანახი აქვთ ასეთი ნამუშევრები, მაშინ აღნიშნავენ, რომ იქ ხშირად არის ყრმა იესო, ცხოველები, რომლებიც დასცქერიან ჩვილს, მწყემსები, რომლებიც ჩვილის თაყვანსაცემად არიან მოსული და ანგელოზები.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს დაათვალიერონ სახელმძღვანელოში მოცემული მათი თანატოლების ნამუშევრები, აღწერონ ისინი.

შეკითხვები:

- დაასახელეთ, რა მიგანიშნებთ იმაზე, რომ აქ შობაა გამოსახული?
- დაუკვირდით იმას, როგორ ფორმებს იყენებენ თქვენი თანატოლები ანგელოზების გამოსახვისას?
- ყურადღება მიაქციეთ იმას, თუ როგორ არის ეს ნამუშევრები შესრულებული, დახატულია ისინი თუ გამოყენებულია სხვა მასალა და ტექნიკა?

მოსწავლის აქტივობა: ნამუშევრების აღწერისას მოსწავლეები ასახელებენ ფრთებს, რომ-ლითაც ისინი შეუცდომლად ხვდებიან, რომ ესანგელოზები არიან. მათი სხეულები ოვალური ან სამკუთხა ფორმისაა, ფრთებსაც მომრგვალებული ფორმა აქვს. გამოსახულებები შესრულებულია ქაღალდისაგან გამოჭრილი სხვადასხვა ელემენტებისაგან, რომლებიც შემდეგ ერთმანეთზეა დაწებებული. დაწებებულია, ასევე, ის წვრილი, სხვადასხვა გეომეტრიული ფორმის მქონე ელემენტები, რომლითაც შემკულია სხეულები და ფრთები. მასწავლებელი კიდევ ერთხელ ახსენებს მოსწავლეებს, რომ ამ ტექნიკას აპლიკაცია ეწოდება. საჭიროების შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს უჭირთ ტექნიკის იდენტიფიცირება, მასწავლებელი ეხმარება და მათ ყურადღებას სწორედ აპლიკაციის ტექნიკისათვის დამახასიათებელ ელემენტებზე ამახვილებს.

შენიშვნა: არ არის აუცილებელი, რომ მოსწავლეებმა ეს ტერმინი ზედმიწევნით ზუსტად იცოდნენ და დაასახელონ კიდეც. მნიშვნელოვანია, რომ ისინი აფიქსირებდნენ იმას, რომ ანგელოზების გამოსახულებებზე სახის, სხეულების სხვადასხვა ნაწილები სხვადასხვა მასალის გამოყენებით არის შექმნილი. კერძოდ, გამოჭრილია და შემდეგ დაწებებული ფორმატზე. მოსწავლეები ადვილად ამოიცნობენ მარტივ გეომეტრიულ ფორმებსაც (მაგალითად, სხეულების სამკუთხა ფორმები, მომრგვალებული ფრთები, პატარა ზომის ოთხკუთხედები, რომლითაც შემკულია გამოსახულებები).

აქტივობის არსი ისაა, რომ მოსწავლეები კიდევ ერთხელ ნახავენ, როგორ შეიძლება გამოიყენო განსხვავებული ფორმები და მასალა ერთიანი გამოსახულების მისაღებად. ეს აქტივობა ნიადაგს ამზადებს დავალების შესრულებისათვის.

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს დავალების პირობას და სთავაზობს მათ მოემზადონ დავალების შესასრულებლად. მოსწავლეებმა უნდა მოამზადონ რესურსები: ფორმატი, ფერადი ფურცლები, ფერადი თასმები, მაქმანების ნარჩენები, ასევე, სახატავი მასალა, მაკრატელი, წებო.

1

დავალების პირობა:

გამოიყენე სხვადასხვა ტიპის ხაზები, ფორმები, ფერები, მრავალფეროვანი მასალა (ფერადი ქაღალდები, ქსოვილი, მძივები, ბამბა და სხვ.) და ტექნიკა (ხატვა, აპლიკაცია) და შექმენი ანგელოზთა გუნდი.

სამუშაოს დაწყებამდე მასწავლებელი პრაქტიკულ რჩევებს აძლევს მათ:

- პირველ რიგში, უბრალო ფანქრის გამოყენებით მოხაზეთ ფორმები (ტანი სამკუთხა ფორმის შეიძლება იყოს, თავი – მრგვალი).
- შეგიძლიათ ნაწილები ცალ-ცალკე გამოჭრათ და შემდეგ მიაწებოთ ერთმანეთს;
- ფრთები შეგიძლიათ განსხვავებული მასალისაგან გამოჭრათ (მაგ., მაქმანი, გამჭვირვალე ქსოვილი და სხვ.).
- შეგიძლიათ, ერთდროულად გამოიყენოთ ხატვისა და აპლიკაციის ტექნიკა.
- შეგიძლიათ რამდენიმე განსხვავებული ანგელოზის გამოსახულება შექმნათ საკუთარი ფანტაზიით.

პრაქტიკული სამუშაო:

მოსწავლეები იწყებენ სამუშაოს შესრულებას.

- თავდაპირველად მოსწავლეები ფანქრით მოხაზავენ სამკუთხა ფორმას, რომელსაც ანგელოზის სხეულისათვის გამოიყენებენ;
- მრგვალ ფორმას გამოსახულების თავისათვის მოხაზავენ;
- მრუდ ან მომრგვალებულ ტალღოვან ხაზებს გამოიყენებენ და მოხაზავენ მომრგვალებულ ან ოვალურ ფორმებს ანგელოზების ფრთების შესაქმნელად.
- როდესაც ანგელოზის გამოსახულების ყველა ნაწილი მოხაზულია, მოსწავლეები მაკრატლით გამოჭრიან მათ და „ააწყობენ“ ანგელოზის გამოსახულებას.
- სხეულსა და ფრთებს ფერადი ფურცლებისაგან გამოჭრილი სხვადასხვა ფორმებით შეამკობენ. მათ შეიძლება გამოიყენონ გამჭვირვალე ქსოვილის ან მაქმანის ნაჭრებიც ანგელოზთა სამოსისა და ფრთებისათვის.

ინდივიდუალური სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები ბარათების გათამაშებით განაწილდებიან 4-5 წევრიან ჯგუფებში და იწყებენ შედარებით დიდი ზომის ფორმატზე საკუთარი ნამუშევრების დაწებებას. ამგვარად მოსწავლეების ინდივიდუალური და ერთობლივი მუშაობის შედეგად იქმნება ანგელოზთა გუნდი.

შენიშვნა: მასწავლებელმა რჩევები უნდა მისცეს მოსწავლეებს ანგელოზების ფორმატზე კომპოზიციურად განაწილებისას.

სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული ჯგუფი თანხმდება, თუ როგორ წარადგენენ ნამუშევარს, ჯგუფიდან ერთი წარმდგენი იქნება თუ რამდენიმე.

გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მოსწავლეები ყველა ნამუშევრის წარდგენის შემდეგ უსვამენ კითხვებს წარმდგენს/ წარმდგენებს, მოსწავლეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებას ჯგუფების მიერ წარმოდგენილი ნამუშევრების შესახებ.

<u>გაკვ. 37. ახალი წლის დღესასწაული – „ნორ ტარი“</u>

1. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახ-ველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)**
   ქვეცნებები:
   - **ხაზი –** სწორი, ზიგზაგური, მრუდე, კლაკნილი, ტალღოვანი, ხვეული;

- **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;
- **ფერი –** ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი.

2. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4)**
   ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია.
3. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – (შედეგი 1,2,3,4)**
   ქვეცნება: მხატვრობა.
4. **სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების ჟანრები – (შედეგი: 1,2,3,4)**
   ქვეცნება

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს იმაზე საუბრით, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ცნობილ დღესასწაულებსაც კი სხვადასხვა დროს და სხვადასხვაგვარად აღნიშნავენ. მაგ., ახალ წელს დღეს თითქმის მთელი მსოფლიო 31 დეკემბერს აღნიშნავს. ამიტომ ეს დღესასწაული ზამთარს და თოვლს გვახსენებს, მაგრამ ძველად და ახლაც სხვადასხვა ხალხი მას სხვა დროს აღნიშნავდა. მაგალითად, ძველ ეგვიპტეში ახალი წელი შემოდგომის დასაწყისში აღინიშნებოდა, მაშინ, როდესაც ადამიანები უხვ მოსავალს იღებდნენ. ხოლო ჩინეთში ახალ წელს ახლაც თებერვალში აღნიშნავენ.

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს:

- ხომ არ გსმენიათ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ხალხის ტრადიციების შესახებ, როდის აღნიშნავენ ისინი ახალ წელს?
- ხომ არ მიგიღიათ მონაწილეობა ასეთ განსხვავებულ დღესასწაულებში?

მოსწავლის აქტივობა: შესაძლებელია კლასში იყვნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები, რომლებსაც ახალი წლის შეხვედრის საინტერესო და განსხვავებული ტრადიცია აქვთ. ისინი მოყვებიან ამ ტრადიციების შესახებ. მასწავლებელი ყურადღებით უსმენს მოსწავლეებს და დამაზუსტებელი კითხვებით ეხმარება აზრის ჩამოყალიბებაში. თუ კლასში ვერავინ პასუხობს დასმულ კითხვას, მასწავლებელი თავად აგრძელებს საუბარს.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება ისეთ დღესასწაულზე, როგორიც არის „ნორ ტარი“, რომელიც სომხურად ახალ წელს ნიშნავს. მასწავლებელი უხსნის მათ, რომ ახალი წლის ანუ სომხურად „ნორ ტარ“ დღესასწაული დეკემბერში აღინიშნება. სადაც არ უნდა იყვნენ ამ დროს, ყველა ცდილობს სახლში ჩამოვიდეს და ოჯახთან ერთად იზეიმოს ახალი წელი. უფროსები ემზადებიან ახალი წლის შესახვედრად, მრავალ ტრადიციულ კერძს და ტკბილეულს ამზადებენ. ტკბილეულთან ერთად მიღებულია მამლის ჩუქება. ყველას უნდა ჰქონდეს სახლში თუნდაც ერთი ბროწეული. ამ დღესასწაულს ბავშვებისათვის ბევრი სიხარული მოაქვს, რადგან მათ განსაკუთრებულ საჩუქრებს უკეთებენ.

დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

სომხური ეკლესიის მიერ დაწესებულია ახალი წლის აღსანიშნავად საზეიმო წირვაზე ბროწეულის, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოს კურთხევა. წირვაზე მისულ ადამიანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თუნდაც ერთი ბროწეული, რომელიც შემდეგ სახლში მიაქვს და ოჯახის წევრებს უნაწილებს მას.

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდ-გენილ ფოტოებს, გამოთქვან საკუთარი აზრი მათ შესახებ.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნიმუშებს, საუბრობენ რომელი მოსწონთ და რატომ. პასუხობენ შეკითხვებს:

- აღწერეთ, რა მასალა და რომელი ტექნიკა გამოიყენეს თქვენმა თანატოლებმა მამლის გამოსახულების შესაქმნელად?

1

- რომელი ბუნებრივი მასალაა გამოყენებული ამ ნამუშევრებში?
- ჩამოთვალეთ, როგორი ფორმები და ფერებია გამოყენებული ამ ნამუშევრებში?

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, ფურცელზე მოხაზონ სხვადასხვა ფორმა: წრე, ოვალი, მართკუთხედი. ასევე, მრუდე და მომრგვალებული ხაზების გამოყენებით მოხაზონ მარტივი სიმეტრიული და ასიმეტრიული ფორმები. მათთვის სასურველი ძირითადი და შედგენილი ფერებით გააფერადონ და შემდეგ გამოჭრან ისინი. მოსწავლეებს მათ მიერ დამზადებული ამ ფერადი ფორმებით უნდა ააწყონ რაიმე გამოსახულება (ცხოველის, ფრინველის რომელიმე საგნის).

მოსწავლის აქტივობა: ისინი უკვე კარგად იცნობენ სხვადასხვა ფორმას, ხაზავენ მათ ფურცელზე და სასურველი ფერებით აფერადებენ. გამოჭრილ ფერად დეტალებს ისეთი თანმიმდევრობით განალაგებენ ფურცელზე, რომ რაიმე გამოსახულება მიიღონ.

აქტივობის არსი ისაა, რომ მოსწავლეები გეომეტრიული, სიმეტრიული და ასიმეტრიული ფორმების და ძირითადი და შედგენილი ფერების გამოყენებით ეჩვევიან პირობითი ანუ რეალურს მიმსგავსებული გამოსახულებების „აწყობას“ ფორმატზე და მათ ახლა მამლის გამოსახულება უნდა „ააწყონ“ სხვადასხვანაირი ფორმების მეშვეობით, გააფერადონ ის და შეამკონ სხვადასხვა ხერხით.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილზე შესასრულებელი დავალების პირობას და სთხოვს მოამზადონ შესაბამისი მასალა და სახატავი რესურსი.

დავალების პირობა:

გამოიყენე შენთვის უკვე ნაცნობი ხატვის, აპლიკაციისა და კოლაჟის ტექნიკა და სხვადასხვა ტიპის ხაზის, გეომეტრიული ან ბუნებაში არსებული ფორმისა და ფერის (ძირითადი და შედგენილი) საშუალებით შექმენი მამლის გამოსახულება.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები ქმნიან მამლის გამოსახულებას სხვადასხვა ტიპის ხაზის, ფორმის, ფერის, მასალისა და ტექნიკის გამოყენებით.

მასწავლებელი მათ აძლევს რჩევას, რომ თავდაპირველად დააკვირდნენ მამლის გამოსახულებას და მასში აღმოაჩინონ სხვადასხვა მათთვის უკვე ნაცნობი მარტივი გეომეტრიული ფორმები (მაგ.., მამლის კისერი და ფეხები – სამკუთხა ფორმები, სხეული – წრე ან ნახევარწრე, ბიბილო ზიგზაგისებური ხაზით დაბოლოებული ნახევარწრე და ა.შ.)

მოსწავლეები გაკვეთილზე შესრულებული აქტივობის მსგავსად, ცდილობენ, მარტივი გეომეტრიული ფორმებით მის გამოსახვას. შემდეგ კი ძირითადი და შედგენილი ფერებით აფერადებენ მას. ზოგ შემთხვევაში მოსწავლეები მამლის ფორმების გასაფორმებლად სხვადასხვა ტიპის ფერად ხაზებს იყენებენ და ორნამენტისებური ნახატით ამკობენ ფორმას, რაც ფერადი ბუმბულებით დაფარული სხეულის შთაბეჭდილებას ქმნის.

მამლის ფერადი კუდის მისაღებად მოსწავლეები სხვადასხვაფრად აფერადებენ მოგრძო და ნახევწრიული ფორმის გამოჭრილ ქაღალდებს და შემდეგ აწებენ მათ მამლის სხეულზე ერთ დიდ ფერად კონად. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ერთ-ერთი ნამუშევრის მსგავსად, მათ შეუძლიათ გამოიყენონ ფერადი ფოთლები და მათი დახმარებით „ააწყონ“ მამლის ფერადი კუდი. გამოსახულება განსაკუთრებით ეფექტური გამოვა, თუ მას დიდი ზომის ფერად ფორმატზე მოათავსებენ.

სამუშაოს დასრულების შემდეგ, მოსწავლეები წარადგენენ ნამუშევრებს და საუბრობენ მათ შესახებ. მათი პრეზენტაციის ეფექტურად წარმართვის მიზნით მასწავლებელი სთავაზობს მათ, უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს:

- როგორი ფორმები გამოიყენეთ მამლის გამოსახულების სხვადასხვა ნაწილების მოსაღებად?

- რა ტიპის ხაზები გამოიყენეთ გამოჭრილი ფორმების შესამკობად?
- როგორი ფერები გამოიყენეთ ფერადი ნაწილების შექმნისას?
- რა სახის ხელოვნური ან ბუნებრივი რესურსი გამოიყენეთ მუშაობის დროს?

<u>გაკვ.38 აღდგომა</u>

სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) - (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი – სწორი,სპირალური, ხვეული, მრუდე, ტალღოვანი, ზიგზაგური,**
- **ფორმა – მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;**
- **ფერი – ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი;**

2. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა - (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია;

3. სამიზნე ცნება - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები - (შედეგი 1,2,3,4)

ქვეცნება: მხატვრობა

4. სამიზნე ცნება - სახვითი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები - (შედეგი: 1,2,3,4)

ქვეცნება:

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რა იციან მოსწავ-ლეებმა აღდგომის დღესასწაულის შესახებ, რა ახსენდებათ აღდგომაზე საუბრისას.

მოსწავლის აქტივობა: სავარაუდოდ, მოსწავლეები ასახელებენ აღდგომის დღესასწაულის ისეთ ატრიბუტებს, როგორიც არის წითლად შეღებილი კვერცხი, პასკა. თითოეული მოსწავლის გამოცდილება, რასაკვირველია, დაკავშირებული იქნება იმასთან, თუ როგორ აღინიშნება ეს დღესასწაული მის გარემოში. ამდენად, თითოეულის პასუხი, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოსწავლის ოჯახი ამ ქრისტიანულ დღესასწაულს არ აღნიშნავს, დაკავშირებული იქნება საზოგადოდ აღდგომის თემასთან, ასოციაციებთან, რომლებიც მოსწავლეს უჩნდება საქართველოში მისი აღნიშვნის ტრადიციებთან დაკავშირებით.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაათვალიერონ სახელმძღვანელოში მოცემული ნამუშევრები. აღწერონ, რა არის გამოსახული თითოეულ მათგანზე. იგი სთავაზობს მოსწავლეებს, რამდენიმე შეკითხვას, რომლებზე პასუხის გაცემაც დაეხმარება მათ მნიშვნელოვანი დეტალების აღქმაში:

- დაათვალიერეთ ნიკო ფიროსმანის ნამუშევარი. აღწერეთ, რა არის მასზე გამო-სახული.
- რომელი დეტალებით შეიძლება ამოიცნოთ რომელ დღესასწაულს ასახავს ეს ნამუშევარი?

მოსწავლის აქტივობა: ნიკო ფიროსმანის ნამუშევრის გაცნობისას მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ ისეთი დეტალების დასახელება, როგორიც არის სურათის ცენტრში გამოსახული მაღალი პასკა, ლანგარზე დადებული წითლად შეღებილი კვერცხები, რაც

1 აღდგომის დღესასწაულზე მიგვანიშნებს. მოსწავლეები სურათის სხვა დეტალებსაც აღწერენ, მაგალითად, მწვანე ხახვის კონას, თეფშზე დადებულ მოხარშულ თევზს, მუქი ფერის ბოთლს. შესაბამისად, სურათზე სააღდგომოდ გაშლილი სადღესასწაულო სუფრაა ასახული.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოემზადონ მარტივი სავარჯიშოს შესასრულებლად. ამისთვის ისინი უნდა დააკვირდნენ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ სქემატურ ნახაზს, რომელზეც ნაჩვენებია, როგორ უნდა გამოიჭრას კვერცხის ფორმა ქაღალდისაგან. ამ ნახაზის დახმარებით მოსწავლეები მარტივად შექმნიან თეთრი ფურცლისგან კვერცხის ფორმებს. მასწავლებელი მათ ყურადღებას ამახვილებს კვერცხის ფორმაზე და სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ, რომელ გეომეტრიულ ფორმას გავს წარმოდგენილი ნიმუში. იგი სთხოვს მოსწავლეებს, წინასწარ მომზადებულ რესურსი, მართკუთხა ფორმის თეთრი ფურცლები ზუსტად შუაზე გაკეცონ, ხოლო შემდეგ ორად მოკეცილ ფურცელზე მოხაზონ ოვალის ფორმის ნახევარი. შემდეგ მოსწავლეები მაკრატლით გამოჭრიან მონახაზს და ფურცლის გაშლის შემდეგ მიიღებენ კვერცხის ფორმას.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოს, გადაკეცილ ფურცლებზე მოხაზავენ ოვალის ფორმას და ჭრიან რამდენიმე კვერცხის ფორმას.

აქტივობის არსი ისაა, რომ მოსწავლეები საკუთარი ხელით ქმნიან მარტივ ფორმას, იყენებენ მომრგვალებულ ხაზებს, მაკრატლით გამოჭრისას ავითარებენ წვრილ მოტორიკას და საბოლოოდ თვალნათლივ ხედავენ, როგორ შეიძლება მარტივად მიიღო ოვალური გეომეტრიული ფორმები. სავარჯიშო ამზადებს მოსწავლეებს პრაქტიკული დავალების შესასრულებლად.

დავალების პირობა:

ფერადი ქაღალდებისაგან დაამზადე სააღდგომო კვერცხები, მოხატე ან მორთე ისინი აპლიკაციის ხერხით. დიდ ფორმატზე სხვადასხვა ტიპის ხაზის, ფორმისა და ფერის გამოყენებით დახატე ან აპლიკაციის ტექნიკით გამოსახე ხე ფართოდ გაშლილი ტოტებით, რომლებზეც ჩამოკიდებ შენი ხელით შექმნილ კვერცხებს.

მასწავლებლის აქტივობა:

ვიდრე მოსწავლეები შეუდგებიან დავალების შესრულებას, მასწავლებელი აძლევს მათ პრაქტიკულ რჩევებს და მითითებებს:

- წინასწარ მომზადებულ სუფთა ფორმატზე (ფორმატი შეიძლება იყოს თეთრიც და ფერადიც), მოსწავლეებმა უნდა შექმნან დიდი ტოტებიანი ხის გამოსახულება.
- ამისათვის მათ ფორმატზე უნდა დახატონ ხე და მისი ტოტები ყავისფერი ან ნებისმიერი, მათთვის სასურველი ფერის ფანქრით ან ფლომასტერით.
- ამავე დროს, თითოეული მოსწავლე წინასწარ გაკვეთილზე გამოჭრილ ფორმებს აფერადებს და რთავს სხვადასხვა ტიპის ხაზების ან ნებისმიერი სხვა რესურსის (მაგ., თასმების, ბრჭყვიალა ქაღალდების, ძაფების და სხვ.) გამოყენებით. ამისათვის წინასწარ მომარაგებული ფერადი და ბრჭყვიალა ქაღალდებისაგან უნდა გამოჭრან ზოლები, რგოლები, სამკუთხედები ან უბრალოდ უსწორმასწოროდ დახიონ ფურცლები.
- ამ ფერადი ქაღალდებით უნდა შექმნან მარტივი ორნამენტი და აპლიკაციისტექნიკის გამოყენებით, დააწებონ ისინი კვერცხის ზედაპირზე.
- მათ მიერ შექმნილ კვერცხებს მოსწავლეებმა უნდა დააწებონ ძაფები და მათი საშუალებით წებოვანი ქაღალდით მიამაგრონ ფორმატზე გამოსახულ ხეზე.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი საერთო ფორმატს, რომელზეც მოსწავლეებმა უნდა დახატონ ან დააწებონ ხის გამოსახულება, აკრავს დაფაზე.

მოსწავლის აქტივობა: ყველა მოსწავლე გამოდის და საკუთარ კვერცხს აკრავს ფორმატზე. შესაძლებელია, თითოეულმა მოსწავლემ ერთი ან რამდენიმე დეკორატიული კვერცხი შექმნას და „ჩამოკიდოს“ ხეზე.

კლასის რიცხოვნებიდან გამომდინარე, მასწავლებელმა შესაძლებელია მიიღოს გადაწყვეტილება და მოსწავლეებმა ინდივიდუალურად შექმნან თავისი ხე და მორთონ ის მათ მიერ შექმნილი სააღდგომო კვერცხებით.

რეკომენდაცია: მნიშვნელოვანია, როგორ გაანაწილებენ მოსწავლეები ფორმატზე კვერცხებს, გაითვალისწინებენ თუ არა, რომ მათმა ნამუშევარმა მთლად არ უნდა დაფაროს სხვისი. ამავე დროს, ხეზე უნდა დაეტიოს ყველა მოსწავლის ნამუშევარი.

შესაძლებელია, რომელიმე მოსწავლემ ხის მაგივრად შექმნას კალათი შიგნით ჩალაგებული სააღდგომო კვერცხებით. ეს მოსწავლემ უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელ გამოსახულებას შექმნის, ორივე გამოსახულების შექმნისას, მოსწავლემ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა ტიპის ხაზები, მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული ფორმები, მრავალფეროვანი მასალა და ტექნიკა. სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ, როგორი გამოვიდა სააღდგომო ხეები თუ კალათები; ისინი აფასებენ, მოსწონთ თუ არა ის და რატომ.

მოსწავლის აქტივობა:

პრაქტიკული სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები საუბრობენ, როგორი ხაზები, ფორმები და ფერები გამოიყენეს კვერცხების შესამკობად, რომელი მასალა და ტექნიკა შეარჩიეს ნამუშევრის შესაქმნელად.

<u>გაკვ. 39. ნოვრუზი</u>

1. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)**
   ქვეცნებები:
   - **ხაზი –** სწორი, ზიგზაგური, მრუდე, კლაკნილი, ტალღოვანი, ხვეული;
   - **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;
   - **ფერი –** ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი.
2. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4)**
   ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია.
3. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – (შედეგი 1,2,3,4)**
   ქვეცნება: მხატვრობა.
4. **სამიზნე ცნება – სახვითი ხელოვნების ჟანრები – (შედეგი: 1,2,3,4)**
   ქვეცნება:

მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნის ზოგიერთი გაკვეთილი ეძღვნება რომელიმე დღესასწაულის თემას. გაკვეთილი, როგორც წესი, ტარდება წელიწადის იმ მონაკვეთში, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ დღესასწაულს.

გაზაფხულის დადგომის შემდეგ ერთ-ერთი ასეთი გაკვეთილი ნოვრუზის ტრადიციულ დღესასწაულს ეძღვნება. სასურველია, მასწავლებელმა გაიგოს, კონკრეტულად როდის აღინიშნება ეს დღესასწაული და დაამთხვიოს იმ პერიოდს.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს, რომ გაზაფხულის მოსვლას და ბუნების განახლებას საქართველოს მუსლიმი მოსახლეობა ნოვრუზის დღესასწაულით აღნიშნავს. მისი აუცილებელი სიმბოლო ჯეჯილია, რომელსაც სუფრაზე

1 დგამენ და ერთმანეთს ხილითა და ტრადიციული ტკბილეულით უმასპინძლდებიან. სადღესასწაულოდ მორთულ მაგიდაზე ხშირად აკვარიუმსაც დგამენ, რომელშიც ულამაზესი თევზები დაცურავენ.

სასურველია, მოსწავლეებმა გაიხსენონ, კიდევ რა სმენიათ ამ დღესასწაულის შესახებ, ხომ არ უნახავთ, როგორ ზეიმობენ მას ჩვენ ქვეყანაში ან ხომ არ მიუღიათ თავად მონაწილეობა ამ ზეიმში.

შენიშვნა: ნოვრუზი მუსლიმი მოსახლეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაულია. მის შესახებ კარგადაა ცნობილი ჩვენი ქვეყნის იმ რეგიონებში, სადაც მუსლიმები ცხოვრობენ. ამიტომ ინფორმაცია ამ დღესასწაულის შესახებ ამ რეგიონებში მცხოვრებ მოსწავლეებს ექნებათ.

მოსწავლის აქტივობა: თუ მოსწავლეებმა იციან ნოვრუზის დღესასწაულთან დაკავშირებული რაიმე ტრადიციის, ან მისი სიმბოლოების შესახებ, ისინი ყვებიან ამის შესახებ.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დააკვირდნენ მოსწავლის სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ნიმუშებს, რათა აითვისონ ეტაპობრივად შესასრულებელი ნაბიჯები, რაც მათ დაეხმარება შემდეგ პრაქტიკული სამუშაოს შესრულების დროს.

მასწავლებელი აცნობს მათ დავალების პირობას და სთხოვს შეასრულონ ის.

დავალების პირობა:
გამოიყენე აპლიკაციის ტექნიკა და სხვადასხვა ტიპის ხაზის, ფორმისა და ფერის საშუალებით შექმენი ნამუშევარი ნოვრუზის სადღესასწაულო სუფრის თემაზე.

შექმენი ნამუშევარი ნოვრუზის სადღესასწაულო სუფრის თემაზე. დახატე და ასევე, აპლიკაციის ტექნიკის გამოყენებით შექმენი ნოვრუზის სადღესასწაულო სუფრა ჯეჯილით, აკვარიუმით და მასში თევზების გამოსახულებებით. გამოიყენე შესაბამისი ფორმები და ფერები.

დავალების შესრულებამდე მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს აუცილებელ რჩევებს და პრაქტიკულ ინსტრუქციებს:

- შეარჩიეთ მასალა, რომელსაც გამოიყენებთ მუშაობის პროცესში ჯეჯილის, ხილის თუ ყვავილების შესაქმნელად. მასალა: ფერადი ფურცლები, ბუნებრივი რესურსი-ფოთლები, ყვავილები.
- შეარჩიეთ შესაბამისი ზომის რომელიმე მრგვალი საგანი, რომელსაც გამოიყენებთ წრის შემოსახაზად აკვარიუმის ფორმის მისაღებად;
- აკვარიუმს შეიძლება ოთხკუთხა ფორმაც ჰქონდეს; ასეთ შემთხვევაში დახატეთ და გამოჭერით კვადრატი ან მართკუთხედი;
- შეარჩიეთ, როგორ ხაზებს, ფორმებს ან ფერებს გამოიყენებთ თევზების შესაქმნელად;
- ჯეჯილისათვის გამოიყენეთ მწვანე ქაღალდი, რომელსაც წვრილ ზოლებად დაჭრით და კონებად დააწებებთ ქაღალდზე.
- კონკრეტული ფორმების მოხაზვისა და გამოჭრის შემდეგ გააფერადეთ ან ხაზების დახმარებით მარტივი ორნამენტით შეამკეთ ისინი;
- ყველა საჭირო ფორმის გამოჭრის და გაფერადების შემდეგ გამოიყენეთ აპლიკაციის ტექნიკა და ფერად ფორმატზე დააწებეთ ისინი;
- ყურადღება მიაქციეთ, რომ ფორმატზე თანაბრად გაანაწილოთ ყველა ელემენტი.

მოსწავლეები ქმნიან ნამუშევარს და წარმოადგენენ კლასის წინაშე. ნამუშევრის წარდგენისას მოსწავლეები საუბრობენ როგორი ხაზები გამოიყენეს, მაგ., ტალღოვანი ხაზების მეშვეობით

გამოსახეს წყალი აკვარიუმში, ფორმატზე დაიტანეს კლაკნილი და სპირალური ხაზებით შექმნილი მარტივი ორნამენტი; მრგვალი და ოვალური ფორმები გამოიყენეს თევზების და ხილის გამოსახვისას, ძირითადი და შედგენილი ფერებით გამოსახეს ყვავილები ლარნაკში და ა.შ.

<u>გაკვ. 40. გილოცავთ დაბადების დღეს!</u>

1. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)**
   ქვეცნებები:
   - **ხაზი –** სწორი, ზიგზაგური, მრუდე, კლაკნილი, ტალღოვანი, ხვეული;
   - **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული;
   - **ფერი –** ძირითადი და შედგენილი, ღია და მუქი.
2. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4)**
   ქვეცნებები: ხატვა, აპლიკაცია, კოლაჟი.
3. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები – (შედეგი 1,2,3,4)**
   ქვეცნება: მხატვრობა.
4. **სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჟანრები – (შედეგი: 1,2,3,4)**
   ქვეცნება:

მასწავლებლის აქტივობა: გაკვეთილი იწყება ერთგვარი თამაშით. მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, დაათვალიერონ მის მიერ მომზადებული თვალსაჩინოებები და თავად ამოიცნონ, რა თემას ეძღვნება გაკვეთილი. მასწავლებელს მომზადებული აქვს ფოტოები ან ნახატები, რომლებზეც წარმოდგენილია: ფერადი ბუშტები, ყვავილების თაიგულები, ტორტი, რომელზეც ანთებული სანთლებია გამოსახული, სასაჩუქრე ფერად ქაღალდში შეფუთული ნივთები.

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები თვალსაჩინოებების დათვალიერებისთანავე ამოიცნობენ წარმოდგენილ გამოსახულებებს და გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ყველა მათგანი დაბადების დღის ატრიბუტია. შესაბამისად, გაკვეთილის თემა დაბადების დღე უნდა იყოს.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი ადასტურებს გაკვეთილის თემას და საუბრობს იმაზე, რომ დაბადების დღეს მოზარდები სხვადასხვაგვარად აღნიშნავენ. იგი სთხოვს მოსწავლეებს, გაუზიარონ კლასს, როგორ აღნიშნავენ ხოლმე დაბადების დღეს ისინი, აქვთ თუ არა მათ რაიმე საინტერესო ტრადიცია. მოსწავლეების პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს და სთავაზობს მათ, გაიხსენონ ცნობილი ზღაპრის გმირის ვინი პუჰის დაბადების დღე. როგორ ემზადებოდნენ ზღაპრის სხვა პერსონაჟები ამ დღესასწაულისათვის, როგორ აღნიშნეს ის?

რესურსი:

<u>https://srulad.com/movie/7520-winnie-the-pooh-vini-puhi.html</u>

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეებმა ნახეს/მოისმინეს ვინი პუჰის დაბადების დღის ეპიზოდი, დაათვალიერეს სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ილუსტრაციები, რომლებიც ასევე ვინი პუჰის დაბადების დღეს შეეხება. მოსწავლეები მსჯელობენ იმის შესახებ, როგორი ატმოსფეროა ამ ნამუშევრებზე, რომელი დეტალები მიანიშნებს, რომ დაბადების დღის ეპიზოდზეა აქცენტი გაკეთებული. საუბარი ამ თემაზე შეამზადებს ნიადაგს პრაქტიკული სამუშაოსათვის.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი მოსწავლეების ყურადღებას ამახვილებს იმ ფორმებზე, რომლებიც გამოყენებულია დაბადების დღესთან დაკავშირებული ატრიბუტების გამოსახვისას. იგი სვამს შემდეგ კითხვებს:

- როგორი ფორმებია გამოყენებული დაბადების დღის ტორტის გამოსახვისას?

1

- თქვენ როგორი ფორმის და როგორ გაფორმებულ ტორტს ისურვებდით თქვენს დაბადების დღეზე?
- როგორი ფორმა აქვთ ბუშტებს?
- რა ფერის ბუშტებია ილუსტრაციებზე?

მოსწავლის აქტივობა: მოსწავლეები აკვირდებიან სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ილუსტრაციებს, აღწერენ მათ, ასახელებენ დაბადების დღის ტრადიციული ატრიბუტების გამოსახვისას გამოყენებულ ფორმებს, ფერებს.

აქტივობის არსი ისაა, რომ მოსწავლეები შეამზადოს პრაქტიკული სამუშაოსათვის, დაეხმაროს მათ იმის გააზრებაში, როგორ შეიძლება გამოიყენო მრავალფეროვანი ხაზები, გეომეტრიული ფორმები და ფერები საზეიმო განწყობილების შესაქმნელად.

დავალების პირობა:
ხატვის, აპლიკაციისა და კოლაჟის ტექნიკის გამოყენებით დიდ ფორმატზე შექმენი ნამუშევარი დაბადების დღის თემაზე. შეარჩიე შენთვის სასურველი ფორმები, ფერები და ხაზები სადღესასწაულო განწყობილების შესაქმნელად.

მასწავლებლის აქტივობა: მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს დავალების პირობას და აძლევს მათ პრაქტიკული ხასიათის რჩევებს, რათა დაეხმაროს ჩანაფიქრის მხატვრულად რეალიზებაში:

- აირჩიეთ სახატავი მასალა: ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები, ფერადი ფურცლები;
- ფერადი ფურცლებზე მოხაზეთ მრგვალი და ოვალური ფორმები ბუშტებისათვის, კვადრატის ან მართკუთხა ფორმები სასაჩუქრე ყუთებისათვის;
- გაითვალისწინეთ, რომ თუ ბუშტების და ყუთების გაფორმებას ფანქრებით ან ფლომასტერით გადაწყვეტთ, ისეთი ფერის მარტივი ორნამენტი დაიტანეთ ზედ, რომელიც კარგად გამოჩნდება ფერად ფონზე;
- მისალოცი ნივთების, საჩუქრების გასაფორმებლად გამოიყენეთ ნებისმიერი ფერადი მასალა: ძაფები ან თასმები, მაქმანი, ქსოვილის ზოლებად გამოჭრილი ნაჭრები და სხვ.
- ტორტის გამოსახულების მისაღებად დაგჭირდებათ სხვადასხვა ზომის რამდენიმე წრის მოხაზვა, რომლებსაც შემდეგ ერთმანეთის თავზე მიყოლებით დააწებებთ;
- შეგიძლიათ ასევე წინასწარ მოხაზოთ და გამოჭრათ რამდენიმე ფერადი ყვავილის ფორმა, რომელსაც შემდეგ თაიგულივით შეკრავთ ერთად და ასე დააწებებთ თქვენ ნამუშევარზე.

პრაქტიკული სამუშაო:
მოსწავლეები ეტაპორივად ასრულებენ დავალებას, ფერად ფურცლებზე მოხაზავენ სასურველ ფორმებს (წრე, ოვალი, ოთხკუთხედი, კვადრატი), შემდეგ მარტივი ორნამენტით ამკობენ მათ, კოლაჟის ტექნიკის გამოყენებით ბუნებრივი ან ხელოვნური რესურსით აფორმებენ ფორმებს. საბოლოოდ დიდ ფორმატზე აპლიკაციას ქმნიან: აწებებენ წინასწარ დამზადებულ ფორმებს, ისე, რომ მიიღონ დაბადების დღის თემაზე შესრულებული ნამუშევარი.

სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეები წარადგენენ ნამუშევრებს და მოუთხრობენ კლასელებს, როგორ გამოიყენეს სხვადასხვა ფორმა, ხაზი და ფერი მის შესაქმნელად.

I კლასი

შეფასება SOLO ტაქსონომიის გამოყენებით

მოსწავლის სახელი, გვარი ----------

საგანი „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“

1. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) – (შედეგი 1,3,4)

ქვეცნებები:

- **ხაზი –** სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, დიაგონალური;
- **ფორმა –** მარტივი გეომეტრიული,ბუნებაში არსებული;
- **ფერი –** ძირითადი და შედგენილი.

2. სამიზნე ცნება: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტექნიკა – (შედეგი 2,3,4)

ქვეცნებები: ხატვა, ძერწვა, აპლიკაცია, კოლაჟი, კონსტრუირება;

3. სამიზნე ცნება – სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები (შედეგი 1,2. 3,4)

ქვეცნება: მხატვრობა

კომპლექსური დავალების პირობა: შექმენით ნამუშევარი თემაზე „ჩემი დაბადების დღე“ ხატვისა და აპლიკაციის ხერხის გამოყენებით. სხვადასხვა ტიპის ხაზის, გეომეტრიული ფორმებისა და ძირითადი და შედგენილი ფერების გამოყენებით, შექმენით სხვადასხვა ზომისა და ფორმის საჩუქრები, ფერადი ბუშტები, ტორტი და სხვ.

კრიტერიუმი სამიზნე ცნება	**სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	**სახვითი ხელოვნების ტექნიკა**	**სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები**
აბსტრაქტული დონე მოსწავლეს სიღრმისეულად აქვს გააზრებული საკითხის არსი / არსობრივი მახასიათებლები, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას.	<u>**მოსწავლეს შეუძლია:**</u> **ნამუშევრის შექმნა:** კომპლექსური დავალების პირობა ზუსტადაა გაგებული.მოსწავლე მიზანმიმართულად და შემოქმედებითად იყენებს მრავალფეროვან სახვითი ხელოვნების საშუალებებსა და ხერხებს, მასალასა და ტექნიკას ხაზი (სწორი, ტალღოვანი, ტეხილი, წყვეტილი, ზიგზაგი, მრუდი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, დიაგონალური),ფორმა (მარტივი გეომეტრიული,ბუნებაში არსებული), ფერი (ძირითადი და შედგენილი) კომპლექსური დავალების „ ჩემი დაბადების დღე“ შესაქმნელად. მოსწავლის ნამუშევარში ჩანს მისეული ხედვა, ეფექტური, ორიგინალური მიდგომა შესასრულებელი სამუშაოსადმი. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე საუბრობს გამართულად, დამაჯერებლად, ნამუშევრის წარდგენისას. ფოკუსირებას ახდენს საკვანძო, ძირითად საკითხებზე. საუბრობს შესრულებული დავალების ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე. პირად გამოცდილებას უკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობას.		

მიმართებითი დონე მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** ძირითადად, მოსწავლე საკუთარი ჩანაფიქრის შესაბამისად,გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს და ხერხებს **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას საკვანძო, ძირითად საკითხებზე და ურთიერთდაკავშირებულად საუბრობს შესრულებული დავალების ფარგლებში,მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებზე.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** ძირითადად, მოსწავლე საკუთარი ჩანაფიქრის შესაბამისად,გააზრებულად და შემოქმედებითად იყენებს მრავალფეროვან მასალას და ტექნიკას ნამუშევრის შესაქმნელად. ნამუშევრის წარდგენა:ნამუშევრის წარდგენისას, მოსწავლე ძირითადად ახდენს ფოკუსირებას საკვანძო, ძირითად საკითხებზე და ურთიერთდაკავშირებულად საუბრობს მის მიერ გამოყენებულ მრავალფეროვან მასალასა და ტექნიკაზე.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** ძირითადად, მოსწავლე გააზრებულად იყენებს დარგის მახასიათებლებს და იცავს მიმართებებს. **ნამუშევრის წარდგენა:** მოსწავლე გააზრებულად საუბრობს დარგის მახასიათებლებზე.
მულტისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** მოსწავლე ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებსა და ხერხებს. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მის მიერ გამოყენებულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებსა და ხერხებს ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** ნაწილობრივ გააზრებულად იყენებს მასალასა და ტექნიკას. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, მის მიერ გამოყენებულ მასალასა და ტექნიკას ნაწილობრივ აკავშირებს შესრულებულ ნამუშევართან.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** უმეტეს შემთხვევაში, შეუძლია შექმნას ნამუშევარი სახვითი ხელოვნების რომელიმე დარგში. **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, ნაწილობრივ შეუძლია დარგის მახასიათებლებზე საუბარი და შექმნილი ნამუშევრის მიკუთვნება.
უნისტრუქტურული დონე მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** გააზრებულად იყენებს მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებისა და ხერხების მხოლოდ მცირე ნაწილს. **ნამუშევრის წარდგენა:** ასახელებს მხოლოდ ერთ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებასა თუ ხერხს.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** გააზრებულად იყენებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს **ნამუშევრის წარდგენა:** ნამუშევრის წარდგენისას, ასახელებს მასალისა და ტექნიკის მხოლოდ მცირე ნაწილს.	**<u>მოსწავლეს შეუძლია:</u>** **ნამუშევრის შექმნა:** იშვიათად ქმნის ნამუშევარს ამათი იმ დარგსა თუ ჟანრში. გაუაზრებლად იყენებს ნამუშევარში სახვითი ხელოვნების დარგის მახასიათებლებს. **ნამუშევრის წარდგენა:** მხოლოდ მინიშნებას აკეთებს დარგის მახასიათებელზე.
პრე-სტრუქტურული დონე მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არ აქვს რელევანტური ინფორმაცია.	არ აქვს პირობა გააზრებული		

მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა

შემოხაზე ის გამოსახულება რომელიც გაკვეთილზე შენ მუშაობას შეესაბამება	

7. შეფასების რუბრიკები

ნახატის/კოლაჟის/აპლიკაციის შეფასების სქემა

შეფასება				
ჩანაფიქრის შესაბამისობა შერჩეულ გამომსახველობით საშუალებებთან	მოსწავლე ვერ ფლობს შესაბამის სახვით-გამომსახველობით საშუალებებს, შესაბამისად, ვერ იყენებს მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად.	მოსწავლე ნაწილობრივ ფლობს გარკვეულ სახვით-გამომსახველობით საშუალებებს, მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად.	მოსწავლე ძირითადად ფლობს სახვით გამომსახველობით საშუალებებს, მასალასა თუ ტექნიკას საკუთარი ჩანაფიქრის, იდეისა თუ დამოკიდებულების გადმოსაცემად.	მოსწავლე საკუთარი ჩანაფიქრის, იდეის, დამოკიდებულების გამოსახატავად შემოქმედებითად იყენებს სახვით-გამომსახველობით საშუალებებს, ხერხებს, მასალასა თუ ტექნიკას.
ორგანიზებულობა/ ეტაპების დაგეგმვა	პრაქტიკული სამუშაოს ეტაპები არ არის დაგეგმილი, არ არის მომზადებული საჭირო აღჭურვილობა.	პრაქტიკული სამუშაოს ეტაპები ნაწილობრივაა დაგეგმილი, მომზადებულია საჭირო აღჭურვილობის ნაწილი.	პრაქტიკული სამუშაოს ეტაპები ძირითადად დაგეგმილია, მომზადებულია საჭირო აღჭურვილობის დიდი ნაწილი.	მოსწავლე ყოველთვის ორგანიზებულია, გეგმავს შესასრულებელი სამუშაოს ეტაპებს, ასრულებს მოსამზადებელ სამუშაოს და ამზადებს საჭირო აღჭურვილობას.
დროის ლიმიტი	მოსწავლე ვერ ანაწილებს დროს და არ იცავს დროის ლიმიტს.	მოსწავლე არათანაბრად ანაწილებს დროს სამუშაოს გარკვეული ეტაპის შესასრულებლად, ზოგჯერ იცავს დროის ლიმიტს.	მოსწავლე ნაწილობრივ ანაწილებს დროს სამუშაოს სხვადასხვა ეტაპის შესასრულებლად, ძირითადად იცავს დროის ლიმიტს.	სამუშაოს ყველა ეტაპის შესასრულებლად დრო ეფექტურადაა გამოყენებული, განაწილებული და დაცულია დროის ლიმიტი.

ციფრული ნამუშევრის შეფასების რუბრიკები

შერჩეული ადეკვატური ციფრული მოდელის გამოყენებით შექმნილი ციფრული ნამუშევარი ორიგინალურია. ჩანაფიქრის შესაბამისად, მიღწეულია სასურველი ეფექტი.	მოსწავლის მიერ შექმნილი ციფრული ნამუშევარი ძირითადად არ არის ამოცანის ადეკვატური. ჩანაფიქრის შესაბამისად არ არის მიღწეული სასურველი ეფექტი.	მოსწავლის მიერ შექმნილი ციფრული ნამუშევარი ნაწილობრივ ამოცანის ადეკვატურია, ჩანაფიქრის შესაბამისად -ნაწილობრივ მიღწეულია სასურველი ეფექტი, გამოყენებულია ადეკვატური ციფრული მოდელი.	მოსწავლის მიერ შექმნილი ციფრული ნამუშევარი ამოცანის ადეკვატურია, ჩანაფიქრის შესაბამისად - ძირითადად მიღწეულია სასურველი ეფექტი, გამოყენებულია ადეკვატური ციფრული მოდელი.	მოსწავლის მიერ შექმნილი ციფრული ნამუშევარი ორიგინალურია. ჩანაფიქრის შესაბამისად, მიღწეულია სასურველი ეფექტი, შექმნილია ადეკვატური ციფრული მოდელის გამოყენებით.
მოსწავლე იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს იდეების, მოსაზრებების გაზიარებისა და შესრულებული ნამუშევრის წარდგენის მიზნით.	მოსწავლემ იდეები, მოსაზრებები ძირითადად ვერ გააზიარა და შექმნილი ციფრული ნამუშევარი ძირითადად ვერ წარადგინა შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.	მოსწავლემ მოსაზრებები და შექმნილი ციფრული ნამუშევარი გააზიარა, წარადგინა ნაწილობრივ შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.	მოსწავლემ იდეები, მოსაზრებები ძირითადად გააზიარა და შექმნილი ციფრული ნამუშევარი წარადგინა ძირითადად შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.	მოსწავლემ იდეები, მოსაზრებები გააზიარა და შექმნილი ციფრული ნამუშევარი წარადგინა შესაბამისი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით.

პროექტის შეფასების სარეკომენდაციო ცხრილი:

კრიტერიუმი	**კარგი**	**საშუალო**	**სუსტი**
თემატიკა. საძიებო პროექტი, მასში დასმული პრობლემა/ საკითხები რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანია მოსწავლის განვითარებისთვის – შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განსავითარებლად			
მიზანი. რამდენად კონკრეტული, მიღწევადი, ნათელი და გაზომვადია			
ამოცანები. რამდენად შეესაბამება თითოეული ამოცანა პროექტის მიზანს			
განხორციელების გზები. რამდენად უზრუნველყოფს მიზნის მიღწევას, რამდენად რაციონალურია და პრაქტიკული, რამდენად რეალურია ვადები და არის თუ არა ფუნქციები სწორად გადანაწილებული ჯგუფის წევრებს შორის			
შედეგი. რამდენად რეალურია აღნიშნული შედეგის მიღწევა და რამდენად შეესაბამება მიზანსა და ამოცანებს			
რესურსები. რამდენად ზუსტად არის განსაზღვრული, რა არის საჭირო პროექტით გათვალისწინებული საქმიანობებისათვის			
სტრუქტურა. რამდენად ლოგიკურად არის აგებული პროექტი (თანმიმდევრობა)			

მასწავლებლის რეფლექსია

როგორ/რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ახდენთ თვითშეფასებას?
თემატური ერთეულის დასრულების შემდეგ, მასწავლებელმა ინდივიდუალური წერილობითი რეფლექსიის დროს პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს: • რა იყო ჩემი, როგორც მასწავლებლის წარმატება? • რის საფუძველზე მივაღწიე ამას? • რა სირთულეს წავაწყდი? • რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა თემატური ერთეულის ფარგლებში თითოეული გაკვეთილის გეგმით განსაზღვრულ მიზნებს? • რა გავლენა იქონია გაკვეთილზე გამოყენებულმა სტრატეგიებმა მიღებულ შედეგებზე? • მოსწავლეთა მიერ შესრულებული პრაქტიკული ნამუშევრები რისი თქმის საშუალებას მაძლევს? (ხატვა, ძერწვა, კონსტრუირება ან მათ მიერ შესრულებული ტესტები, ესე) • რომელი სტრატეგიების გამოყენებით გახდა შესაძლებელი (თემატური ერთეულის ფარგლებში – თითოეული გაკვეთილის განმავლობაში) ცოდნის კონსტრუირება? • მისაღწევი მიზნების შესაბამისად, როგორ შეიცვალა თემატური ერთეულის ფარგლებში შემავალი გაკვეთილის/გაკვეთილების გეგმები გაკვეთილის მსვლელობის პროცესში? რატომ? • მომავალში ამ თემატურ ერთეულში შემავალი გაკვეთილის ხელმეორედ ჩატარების შემთხვევაში რას შევცვლი? რატომ?

შეფასების რუბრიკების ნიმუშები:

- მოსწავლის ნამუშევრის (პრაქტიკული უნარების განვითარების) შეფასების რუბრიკები (მ. ბარტელის მიხედვით)

მასწავლებელი: ——————————————————————————

მოსწავლე: ——————————————————————————

ზრდა, სიახლე და გაუმჯობესება	• შეესაბამება თუ არა ნამუშევარი იმავე მოსწავლის წინა ნამუშევარს? • ჩანს თუ არა მასში მეტი ემოციურობა და გამომსახველობა? • ჩანს თუ არა ახალი იდეა, მეტი ნააზრევი? • ჩანს თუ არა მეტი ოსტატობა?	კარგი	საშუალო	საჭიროებს გაუმჯობესებას
შემოქმედებითობა და მოულოდნელი აღმოჩენები/ მიგნებები	• რამდენად ინოვაციური, ორიგინალურია ნამუშევარი? • წინა ნამუშევართან შედარებით ჩანს თუ არა რაიმე ცვლილება?			
დავალების შესრულება	• დავალებაში რამდენად კარგადაა გადაჭრილი დასახული ამოცანა/ პრობლემა? • თუ მოსწავლეს შესრულებული დავალება განსხვავებულად აქვს გადაწყვეტილი, ჰქონდა თუ არა სერიოზული მიზეზი?			
გულმოდგინება	• ნამუშევარი გულმოდგინედაა შესრულებული. ნამუშევრის სტილი გააზრებულია და ოსტატურადაა შესრულებული.			

ჯგუფის მუშაობაზე დაკვირვების სქემა

გუნდის ძლიერი მხარეები

გუნდის სუსტი მხარეები

დამატებითი კომენტარები

ლექსიკონი

აპლიკაცია – ტექნიკა, რომლის შემთხვევაში გამოსახულება მიიღება სურათის ზედაპირზე სხვადასხვა მასალის დაწებებით

დიორამა – ნახატი, რომლის წინ მოთავსებულია მოცულობის მქონე ფიგურები

კოლაჟი – ტექნიკა, რომლის შემთხვევაში ზედაპირზე საგნებია დამაგრებული ან დაწებებული

კონტური – საგნის გარშემომწერი ხაზი

მობილი – სხვადასხვა მასალით შექმნილი მოძრავი კონსტრუქცია

ნაკრძალი – ტერიტორია, სადაც დაცულია ბუნებრივი პირობები: მცენარეების ჯიშები, ფრინველთა და ცხოველთა სახეობები, ლანდშაფტი. ნაკრძალის დაცვას სახელმწიფო უზრუნველყოფს, ხოლო მისი მონახულება სპეციალური პირობების დაცვით არის შესაძლებელი

ნატურმორტი – ნამუშევარი, რომელზეც უსულო საგნებია გამოსახული

ორნამენტი – სხვადასხვა ხაზის, ფერისა და ფორმის გამეორებით შექმნილი გამოსახულება

პეიზაჟი – ბუნების ხედი

პორტრეტი – კონკრეტული ადამიანის გამოსახულება

ფაქტურა – ნამუშევრის, საგნის, ნივთის ზედაპირის თავისებურება



www.klio.ge
ISBN 978-9941-496-49-3
9 789941 496493
გამომცემლობა „კლიო“

დაფინანსებულია „მოსწავლეებისა და მასწავლებლების
სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში